# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 27 მარტი 2008 №068 (3292) ფასი 50 თეთრი


# საქართველო ჩრდილო ირლანდია

## ჩრდ. ირლანდია 4:1 საქართველო

1:0 ლაფერტი (24), 2:0 ჰილი (32), 3:0 ლაფერტი (34), 3:1 ჰილი (54ა.კ.), 4:1 ტომპსონი (86)
ჩრდილოეთ ირლანდია: ტეილორი (მანუსი 80), ბერდი, ჰიუზი, კრეიგანი (მაკოლი 57), ევანსი, გილესპი, ჯონსონი (ოკონორი 46), დევისი (გოლტი 70), ელიოტი, ჰილი (ტომპსონი 70), ლაფერტი (ფინი 46)
მწვრთნელი: ნაიჯელ უორთინგტონი
საქართველო: მაკარიძე სალუქვაძე, კალაძე, შაშიაშვილი (ჯაკობია 81), ა. კვახაძე, კვირკველია, ცქიტიშვილი (ელიავა 90), ყენია (ხიდეშელი 81), კანკავა, კობახიძე, ა. იაშვილი
მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი

ქართველებს იმედგაცრუების მეტი რა გვიგემია და, ერთით მეტი, ერთით ნაკლები, აბა, რას დაგვაკლებს, მაგრამ მაინც...

გახსოვთ, ადრე როგორ იყო? დიდი ანგარიშით წაგებას და უილაჯო თამაშს ტრაგედიად აღვიქვამდით, წუხელ კი, რაღა დაგიმალოთ და, არც მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნის შეგრძნება გვქონდა, არც კატასტროფისა და უიღბლობაზე წუწუნიც დიდი უსინდისობა გამოგვივა.

ჩრდილოეთ ირლანდიასთან მატჩის ტრანსლაციას მოუთმენლად რომ ველოდით, რეპორტაჟი ჩაიშალა. იმედი გვაქვს, თბილისში დაბრუნების მერე არავინ გვეტყვის, ბიჭებმა დაბღლვნეს ყველაფერი, მაგრამ როგორც ყოველთვის, არ გაგვიმართლაო.

ტელერეპორტაჟი კი ჩაიშალა, მაგრამ ამ მატჩის ნახვა ინტერნეტშიც შეიძლებოდა: განვითარებულ ქვეყნებში, სადაც ინტერნეტის სიჩქარე ნორმალურია — ხარისხიანად; ჩვენთან კი, შენელებული ინტერნეტის ქვეყანაში — ხარვეზებით. ოღონდ იმ ხარვეზებიან ინტერნეტრეპორტაჟშიც „ხარისხიანად“ გამოჩნდა ჩვენი თამაშის ხარისხი.

ახლა რა უნდა გვითხრან? ის, რომ გიორგი დემეტრაძემ ვიზის აღება ვერ მოახერხა? რომ დავით მუჯირს სიცხე ჰქონდა? რომ ვილაცამ მწვრთნელის დავალება ვერ შეასრულა? რომ, სამაგიეროდ, ლევან ყენია იყო კარგი? რომ ალექსანდრე იაშვილს ორი ძალიან მაგარი მომენტი ჰქონდა? რომ მეორე ტაიმში უკეთ ვითამაშეთ, ვიდრე პირველში? მაგრამ ამას რომ გვეტყვიან, ისიც გვითხრან, რამდენჯერ შეიძლება გაიმართლო თავი ერთი და იგივე მიზეზით...

ხოლო თუ ეს მიზეზები გადაულახავი სირთულისაა და საშველი არ არის, მაშინ ნუღარ გვეტყვიან, რომ საქართველო ჯგუფიდან გასვლისთვის იბრძვის და ამის კარგი შანსიც აქვს...

თამაში კი რა — ჩვენს საჯარიმოში მასპინძელთა პირველი გასეირნებისას გიორგი მაკარიძემ იყოჩაღა, მერე ირლანდიელმა თავდამსხმელმა ვერ ივარგა, როცა კარიდან ათიოდ მეტრში ჩვენებმა ფიანდაზი დაუგეს. მერე... თუმცა კმარა, ყველაფერი ისედაც ძალიან მოსაბეზრებელი და გამაღიზიანებელია.

გაშვებული გოლები ისეთები იყო, ჩვენები ოდნავ უკეთ რომ გარჯილიყვნენ, არ გავიდოდა. ის ერთი გატანილი — საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი მცველს ხელზე მოხვდა, ლევან ცქიტიშვილის პენალტი მეკარის ხელიდან ძელმა აისხლიტა, ირლანდიელმა დევიდ ჰილიმ კი მოგერიების ნაცვლად საკუთარ კარში ჩაჭრა.

ირლანდიელთა მეოთხე გოლი კი... იქაურები ხარობენ — 14 წელია, ირლანდიურ ლიგაში მოთამაშე ფეხბურთელს სანაკრებო გოლი არ ჰქონდა გატანილიო.

როგორც უკვე ვთქვით, ყველაფერი ძალიან მოსაბეზრებელი და გამაღიზიანებელია...

ნამატჩევს ბელფასტში ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან უჩა უგულავას რომ დავურეკეთ, ეს გვითხრა:

— სათქმელიც რა არის, საზიზღრობა იყო.

— ნაკრების მთავარ მწვრთნელთან ახალი კონტრაქტი ჯერ არ გაფორმებულა...

— ამ მატჩის შედეგს ტოპმიოლერთან გასაფორმებელ კონტრაქტთან კავშირი არ აქვს.

— მაინც რამ გამოიწვია ასეთი შედეგი?

— მუჯირს სიცხე ჰქონდა, ასათიანი ტრავმის გამო ვერ ჩამოვიდა...





# ორი მეგობარი



გია გეგუჩაძე და ბესო ჩიხრაძე

## გია გეგუჩაძე: მოედანზე მინდა

**ფეხბურთის კლუბი „გაგრა", რომლის საშინაო სარბიელიც მუხრანშია, უკვე ორი სეზონია, პირველი ლიგიდან უმაღლესში გადასვლას ცდილობს, მაგრამ ჯერჯერობით ეს ვერ შეძლო. „გაგრა" ახლაც უძლიერესთა ლიგისკენ მიისწრაფვის და საამისოდ კარგი შანსიც აქვს, მაგრამ ზამთრის არდადეგების შემდეგ გუნდმა რამდენიმე მნიშვნელოვანი ქულა დაკარგა და... ამ ბოლო დროს არცთუ კარგ თამაშს კი „გაგრადან" სპორტული დირექტორის გია გეგუჩაძის წასვლა მოჰყვა, რამაც ქართული საფეხბურთო სამყარო ნაირ-ნაირად აალაპარაკა, „გაგრა"-გეგუჩაძის დაშორება, რომ იტყვიან, რეზონანსული ამბავი გამოდგა. ამასობაში კი „გაგრას" პრეზიდენტმა ბესო ჩიხრაძემ და თავად გია გეგუჩაძემ ჟურნალისტებს გვიმასპინძლეს და ეს გვითხრეს:**

**ბესო ჩიხრაძე**: გია გეგუჩაძე ორი წლის წინ კიევში გავიცანი და საკმაოდ თბილი ურთიერთობა ჩაგვიყალიბდა, მას ზოგადად ფეხბურთის განვითარების ისეთივე ხედვა ჰქონდა, როგორიც მე. შემდეგ ერთმანეთი კიდევ უკეთ გავიცანით და თითქოს უსიტყვოდ შევთანხმდით, რომ გია გეგუჩაძე „გაგრაში" იმუშავებდა. მოგვიანებით ეს თანამშრომლობა შედგა კიდეც და შედეგიც მივიღეთ — შეიცვალა ჩვენი გუნდის თამაშის ხარისხი, რამდენიმე ფეხბურთელი 19-წლამდელთა ნაკრებში გამოიძახეს, თავდამსხმელი ვახტანგ ფანცხავა კი ფრანგულ „ლე მანში" წავიდა... ფრანგები ისე დაინტერესდნენ, რომ აქაც ჩამოვიდნენ ამ და სხვა ფეხბურთელებისთვის თვალი არ მოუშორებიათ. წმინდა საფეხბურთო თვალსაზრისით, ჩვენი კლუბის წინსვლაზე ისიც მეტყველებს, რომ „გაგრას" ფეხბურთელებით ბევრი ევროპული კლუბია დაინტერესებული. თურქეთში ამასწინათ შეკრებაზე ვიყავით და მათი ყურადღება არც იქ გვაკლდა. მალე ბელგიური „დენდერის" წარმომადგენლებიც ჩამოვლენ. მოკლედ, ბოლო დროს საკმაოდ განვვითარდით და გია გეგუჩაძის მიმართ მადლობის მეტი რა მეთქმის. გია გეგუჩაძე ნიჭიერი და ძლიერი მწვრთნელია. მან თბილისის „დინამოსთან" ერთად კარგი შედეგი აჩვენა. გასაკვირიც არ არი,ს გიას მწვრთნელად მუშაობის და წარმატების ამბიცია რომ აქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, „გაგრას" დღესდღეობით არ გააჩნია იმის საშუალება, ის შესაბამისი პირობებით დააკმაყოფილოს. როგორც პრეზიდენტს, გული მწყდება, რომ გია გეგუჩაძე გუნდიდან წავიდა, თუმცა მეგობრობა გრძელდება. გია ჩვენ კიდევ დაგვეხმარება და იმედი მაქვს, მომავალში ერთად მუშაობის საშუალებაც გვექნება. თუმცა ამ ეტაპზე გეგუჩაძე „გაგრაში" აღარ არის.

**გია გეგუჩაძე**: მადლობა ბესო ჩიხრაძეს მხარდაჭერისთვის, ჩვენ ახლაც მეგობრები ვართ. „გაგრა" სწორ გზაზე დგას, განვითარების მართებული კურსი და თავისი ფილოსოფია აქვს. „გაგრას" ყველა წინაპირობა გააჩნია, რომ ძლიერ კლუბად ჩამოყალიბდეს. იქ პროფესიონალები მუშაობენ და ამასაც ამიტომ ვამბობ. პირად საქმესთან დაკავშირებით კი გეტყვით, რომ მაქვს ჩემი ამბიცია, მსურს, მოედანზე ვიყო და გუნდი ჩემი შეხედულებისამებრ მოვამზადო. მოკლედ, წმინდა სამწვრთნელო საქმე მინდა, „გაგრაში" კი სპორტული დირექტორი ვიყავი.

**— რაკი „გაგრა" დატოვეთ, ალბათ უკვე გაქვთ სხვა გუნდის გაძღოლის შემოთავაზება...**

— არა, ჯერ კონკრეტული არაფერია. ვნახოთ, რა იქნება...

**— იოჰან ბოსკამპის გუნდში ხომ არ აპირებთ წასვლას?**

— არა, ბოსკამპს უკვე ჰყავს თავისი გუნდი და უახლოეს მომავალში საქმეს იქ არ გავაგრძელებ. ისე კი, ბოსკამპი ჩემი მეგობარია და მას ხშირად ვესაუბრები. რაც შეეხება მწვრთნელად მუშაობის ვარიანტებს, გეტყვით, რომ ყველა წინადადებას განვიხილავ...

**ბესო ჩიხრაძე**: იცით, გია გეგუჩაძის გადაბირება დონეცკის „შახტარის" ფეხბურთის აკადემიას სურდა, მაგრამ ხელსაყრელი პირობების მიუხედავად, იქ არ წავიდა. გიას ლატვიაში, ბელარუსში, აზერბაიჯანში, ყაზახეთში და სხვა ქვეყნებშიც იწვევდნენ, უმაღლესი ლიგის გუნდებს სთავაზობდნენ, მაგრამ მან უარი თქვა. ვფიქრობ, რომ გეგუჩაძე სამწვრთნელო საქმეს ევროპაში გააგრძელებს, ვიცი, მას ბევრი გუნდი ეპატიჟება.

**კობა ინასარიძე**



# ორი წელი ორ თვეში გამოჩნდება

— „ლევანტეს" ექიმებსა და ფიზიოთერაპევტებს ჩემი ტრავმის თაობაზე თითქმის ყოველდღე ვესაუბრებოდი. გუნდი, ოჯახი, მეგობრები — ყველანი მხარში მედგნენ და მამხნევებდნენ, თუმცა სანამ კვირას „ვილიარეალთან" მოედანზე არ გავედი, თავს ფეხბურთელად ვერ ვგრძნობდი... ახლა კი ბედნიერი კაცი ვარ — განუცხადა შოთა არველაძემ ესპანურ მედიას.

ვალენსიურ გუნდში თავიდან ქართველ ვეტერანზე დიდ იმედებს ამყარებდნენ, თუმცა შოთამ ზაფხულში ძველი ტრავმა გაიმიზეზა, რის გამოც იძულებული გახდა, ფეხბურთს კარგა ხნით ჩამოშორებოდა (ორჯერ გაიკეთა მუხლზე ოპერაცია). ამიტომაც არველაძის ესპანური დებიუტი დაგვიანებით შედგა — პრიმერადივიზიონის 29-ე ტურში ჯოვანი დე ბიაზიმ შოთა თამაშში 85-ე წუთზე ჩართო.

„ბოლო ერთი წლის განმავლობაში უფეხბურთოდ ძალიან დავიტანჯე. ყველა ჩემს ტრავმაზე საუბრობდა, თუმცა ღვთის შეწევნით და ოჯახის თუ თანაგუნდელთა დახმარებით რთული სიტუაციის გადალახვა შევძელი" — ამბობს არველაძე.

მედიამ არველაძეს დაგვიანებული დებიუტზეც ჰკითხა. საქმე ის გახლავთ, რომ ქართველმა „ლევანტეს" ექიმთაგან მოედანზე გასვლის თანხმობა გასული წლის ბოლოს მიიღო, თუმცა პრიმერაში პირველად 23 მარტს ითამაშა.

„ტრავმა საკმაოდ რთული იყო და მარტო მენისკს არ ეხებოდა. ექიმებმა მერე მითხრეს, რომ კიდევ გარკვეული ხანი იყო საჭირო" — პასუხობს შოთა.

სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით კი მან აღნიშნა, რომ დიდ ფეხბურთში დარჩენას, სულ მცირე, ორი წელი მაინც აპირებს: „მინდა, კარიერა გავაგრძელო, თუმცა ეს ადვილი არ იქნება — მე 35 წლის ვარ, ხოლო „ლევანტეს" მომავალი ჯერ გაურკვეველია. მომავალ ორ თვეზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული".

**ლადო ხომერიკი**

# გაბონელებმა გაბონი მოიარეს

**საქართველოში** მოთამაშე სამმა გაბონელმა ლეგიონერმა გუშინწინ თავისი ქვეყნის ეროვნული გუნდის მაისურა მოირგო.

გაბონის ნაკრები ამხანაგურად კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებს გაეჯიბრა და უგოლოდ დაუზავდა.

მეკარე დიდიე ოვონო, მცველი ერნესტ აკუასაგა და ნახევარმცველი პოლ კესანი ძირითად შემადგენლობაში იყვნენ, მათგან მხოლოდ კესანი შეცვალეს მეორე ტაიმში.

შეგახსენებთ: ოვონო „დინამოს" ფეხბურთელია, ხოლო კესანი და აკუასაგა „ზესტაფონის".

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# მეგრელაძის 100 და ერთი

| | | |
|---|---|---|
| 1. | ზურაბ იონანიძე | 209 |
| 2. | ლევან ხომერიკი | 132 |
| 3. | მიხეილ აშვეთია | 121 |
| 4. | დავით ჯანაშია | 120 |
| 5. | ზვიად ენდელაძე | 112 |
| 6. | პაატა მაჭუტაძე | 106 |
| 7. | ოთარ კორღალიძე | 105 |
| 8. | გიორგი დარასელია | 105 |
| 9. | მერაბ მეგრელაძე | 104 |
| 10. | ივანე ჯუღელი | 102 |
| 11. | დავით გოდერძიშვილი | 102 |
| 12. | სულიკო დავითაშვილი | 101 |
| 13. | დავით მახარაძე | 101 |
| 14. | მამუკა ხუნდაძე | 100 |
| 15. | გიორგი მეგრელაძე | 100 |

*გიორგი მეგრელაძე მეთხუთმეტეა, მათ შორის, ვისაც ჩვენს ჩემპიონატებში 100 და მეტი გოლი გაუტანია და აქ სწორედ ამ სიას გთავაზობთ.*

*ეს კი მეგრელაძის კარიერის საუკეთესო გოლია, „დინამოში" თამაშისას ბოლნისის „სიონს" რომ გაუტანა...*











„სარბიელის" ფოტოკორესპონდენტ გურამ დოლენჯაშვილის ფოტო-სერიალი

# 2+4: სეგრტის კუთხურების სისტემა





ფრანგული „ლიონის“ ჟუნინიოსთვის ჯარიმა თითქმის პენალტია. ასე იყო ადრე რონალდ კუმანისთვის და კიდევ ბევრისთვის. მათ თამაშები და მეტიც, ტურნირებიც კი მოუგიათ ერთი დარტყმით...

კუთხური იქნება თუ ჯარიმა, ისე უნდა ასრულებდე, მეტოქე დაძაბულობა-ძაგძაგში გყავდეს — დღეს სტანდარტულებს დიდი როლი ენიჭება.

ცოტა შორიდან მოვუაროთ და, გავიხსენოთ, რომ ალენ ჟირესის გათავკაცებამდე საქართველოს ნაკრების შესრულებული სტანდარტულები არანაირ ეფექტს არ ახდენდა. ბოლო წლებში კი სიტუაცია სასიკეთოდ შეიცვალა — ჟირესის და კლაუს ტოპმიოლერის ხელში ნაკრებმა სტანდარტულებიდანაც დაიწყო გოლების გატანა. აბა, დააკვირდით, გოლების არცთუ პატარა ნაწილი ჩვენებმა სწორედ ჯარიმა-კუთხურებიდან შეაგდეს.

სათქმელია, რომ ბევრიც გაგვიშვია, მაგრამ ახლა შესრულებულებზე ვილაპარაკოთ...

ორიგინალური გათამაშება კუთხურებისას: ეს საქართველო — ლატვიის გუშინწინდელი ამხანაგური მატჩის საწყის 11 წუთში ოთხჯერ ვნახეთ, ოთხივე ერთნაირად შესრულდა, ოთხივეჯერ გვარიანად აწრიალდნენ ლატვიელთა მეკარე-მცველები და სახიფათო მომენტები შეიქმნა, ერთი კი გოლით დასრულდა.

ქართველი 21-წლამდელების თავკაცმა პეტარ სეგრტმა ნამატჩევსაც გვითხრა, ეს ვარჯიშზე დამუშავებული მეთოდი იყო (თუმც რა მიხვედრა უნდოდა) და მიხარია, რომ ბიჭებმა ხუთიანზე გადაიტანეს მატჩშიო.

მაშ ასე, ქართველების კუთხურები:

მე-5 წუთი: გიორგი მერებაშვილი მარცხნიდან აწვდის, საჯარიმოში ქართველთაგან მხოლოდ ირაკლი კლიმიაშვილი და მურთაზ დაუშვილი მოძრაობენ, ოთხნი კი ზედ საჯარიმოს ხაზთან ერთად დგანან და მაღალი ჩაწოდებისთანავე სხვადასხვა ადგილას შერბიან მეკარის ბაქანთან. ეს ოთხნი ზურაბ გვაძაბია, დავით მჭედლიშვილი, დავით დევდარიანი და თავით ყველაზე კარგად მოთამაშე რევაზ ბარაბაძე არიან. ხიფათია — ბარაბაძე ფეხით ურტყამს, მაგრამ აცილებს.

მე-11 წუთი: მარჯვნიდან გიორგი ნავალოვსკი აბზრიალებს მაღალ ბურთს, ისევ 2+4 სქემით განლაგდნენ ჩვენები, ოთხეულიდან ერთ-ერთმა შერბენილმა გვაძაბიამ თავური დაარტყა და ლატვიელთა მეკარემ ძლივს მოიგერია კუთხურზე.

ისევ მე-11 წუთი: მარცხნიდან მერებაშვილი აწვდის, ისევ იგივე „სცენარი“ და ლატვიელები ძლივს იგერიებენ ბურთს კუთხურზე.

და ისევ მე-11 წუთი: მერებაშვილი იმეორებს მაღალ ჩაწოდებას, იგივე მოქმედება ქართველებისა და ბარაბაძეს თავით გააქვს!

შთამბეჭდავი და ორიგინალური იყო. რა თქმა უნდა, როცა მეტოქე ალღოს აუღებს და ჩანაფიქრს მიგიხვდება, ამ გათამაშების ეფექტი მცირდება, თუმც სანამ ლავტია ხერხს გამოიცნობდა, გოლი მიიღო.

სტანდარტულებს მრავალფეროვნება სჭირდება, ყველა მატჩში კუთხურის და ჯარიმის ყოველთვის ერთნაირად გათამაშება სარგებლიანი ვერ იქნება, სეგრტს ალბათ სხვა მეთოდებიც აქვს და აკი, შარშან 20 ნოემბერს რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან გატანილი პირველი გოლიც ამას შედეგი იყო.

გეხსომებათ: მარჯვენა ფლანგზე ქართველებმა ჯარიმის დარტყმის უფლება მიიღეს, ნავალოვსკიმ ძალიან მაღლა ასწია ბურთი. საჯარიმოს ხაზიდან სამმა ფეხბურთელმა შეირბინა და მათ შორის იყო ბარაბაძეც, ვინც ლონივრად ჩასვა თავით ბურთი კარში.

უბრალოდ, განსხვავება ის იყო, რომ საჯარიმოში შერბენამდე ჩვენი სამი ფეხბურთელი სხვადასხვა ადგილას იდგა, თანაც, ეს ჯარიმა იყო და არა კუთხური...

**ილია ნანოგაშვილი**

# გიორგი მერებაშვილი: ჯერ საქართველო და მერე სხვა





„დინამოს“ ქომაგებმა გიორგი მერებაშვილს ეს პლაკატი ცხინვალის „სპარტაკთან“ ბოლო მატჩისას გამოუფინეს

**გუშინწინ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ლატვიელ თანატოლებს გაეჯიბრა და 4:0 გაანადგურა. ქართველები 90 წუთის განმავლობაში საგრძნობ უპირატესობას ფლობდნენ და ეს შედეგზეც ასახეს. მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი უდავოდ გიორგი მერებაშვილი იყო, რომელმაც ლატვიელებს სიქა გააძრო — ორი საგოლე პასი გააკეთა და პენალტიც მოინადირა. მერებაშვილს გუშინ გავესაუბრეთ და ჯერ, ცხადია, ლატვიასთან განვლილ მატჩზე ვკითხეთ...**

**— ბევრისთვის მოულოდნელად ლატვიელებს საკმაოდ ადვილად სძლიეთ. რას იტყვი მეტოქეზე?**

— ლატვიელების თამაში ფირზე ვნახეთ. შეკრებაზე ლატვია — უნგრეთის მატჩი გავარჩიეთ და სუსტი გუნდის შთაბეჭდილება არ დაუტოვებია. ძალიან სერიოზულად მოვემზადეთ ამ თამაშისთვის და შედეგმაც არ დააყოვნა. ვფიქრობ, ლატვიელებს შანსი არ დავუტოვეთ, თანაც ის არის სასიხარულო, რომ ჩვენ ბევრი ფეხბურთელი გვაკლდა სხვადასხვა მიზეზთა გამო და ეს არ დაგვტყობია.

**— ამ მატჩში ისიც გამოჩნდა, რომ ნაკრების მწვრთნელები სტანდარტულებს დიდ ყურადღებას უთმობენ...**

— ჯარიმებს და კუთხურებს ყველა ვარჯიშზე ვამუშავებთ და წინსვლაც უკვე ჩანს.

**— ახალგაზრდულ ნაკრებში ბოლო მატჩებში არ გიძახებდნენ. რა იყო ამის მიზეზი?**

— რუსეთთან მატჩი ტრავმის გამო გამოვტოვე. ლუქსემბურგთან ამხანაგურ შეხვედრაში კი მწვრთნელმა სხვა ფეხბურთელებსაც მისცა თავის გამოჩენის შანსი. საერთოდ, ძალიან კარგია, ბევრს რომ ეძლევა ნაკრებში თამაშის საშუალება. მე კვლავ მომეცა შესაძლებლობა და, მადლობა ღმერთს, ნორმალურად გამოვიყურებოდი.

**— ბევრი თვლის, რომ მერებაშვილი ეროვნულ ნაკრებში თამაშს უკვე იმსახურებს...**

— როგორც მწვრთნელები გადაწყვეტენ, ისე იქნება. რა თქმა უნდა, ჩემი დიდი ოცნებაა, საქართველოს ნაკრებში ვითამაშო.

**— ახალგაზრდული ნაკრების ევროშესარჩევში გამოსვლას როგორ აფასებ?**

— შედეგს კარგი არ ეთქმის. თუმც სწორი გზით რომ მივდივართ, ჩანს — ეროვნულ ნაკრებში საკმაოდ ბევრი ფეხბურთელი გამოჩნდა ახალგაზრდულიდან. შედეგიც თუ უკეთესი გვექნება, ამას რა აჯობებს, თუმც ახალგაზრდული ნაკრების მთავარი ამოცანაა, პირველი ნაკრები მოამარაგოს. შესარჩევის ბოლო მატჩებში ვეცდებით, მაქსიმუმს მივაღწიოთ.

**— „დინამოზეც“ გკითხავ. მეორე წრეში ძველებურად ველარ თამაშობთ...**

— პირველ წრეში მართლაც უკეთ გამოვიყურებოდით. ეს ალბათ იმის ბრალიცაა, რომ ჩემპიონატი ფინიშისკენ მიდის და თითოეულ ქულას დიდი ფასი აქვს. ზოგს გამარჯვების საშიშროება აწუხებს, ზოგს ევროთასის საგზურის მოპოვება და მძიმე ბრძოლებიც გვიწევს. მჯერა, მალე უკეთ ვითამაშებთ.

**— ჩემპიონობისთვის ბრძოლაში მთავარ კონკურენტად ვის მიიჩნევ?**

— ჩემი აზრით, „ზესტაფონს“ ჩემპიონობა გაუჭირდება — ბრძოლა „ვიტ ჯორჯიასთან“ მოგვიწევს...

**— საქართველოს თასის ნახევარფინალში კი „ზესტაფონს“ ხვდებით...**

— დიდი მნიშვნელობა არ აქვს, ვის შევხვდებით. „დინამოს“ მიზანი, ტრადიციულად, ჩემპიონობა და თასის აღებაა, ამიტომ ნებისმიერ მეტოქე უნდა დავამარცხოთ.

**— სეზონის დასრულების შემდეგ უცხოეთში წასვლაზე ხომ არ ფიქრობ?**

— ამჟამად მხოლოდ ერთი რამ მაქრიალებს თავში — „დინამოსთან“ ერთად დუბლი შევასრულო, მერე კი ცხოვრება გვიჩვენებს დანარჩენს...

**ნუკრი ლოლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეჭვმიტანილი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო ძვირფასია თუ ეჭვმიტანილი ჩემი მეგობარია და ჭეშმარიტების...

*გნებავთ საქართველოს ჩემპიონატის მატჩებზე ფსონის ჩასვლა დასავლეთევროპულ ტოტალიზატორებში? ნება თქვენია, ოღონდ რამდენიმე გარემოების გათვალისწინება მოგიწევთ. სამაგალითოდ ძალიან ცნობილი ევროპული საბუქმეიკერო კანტორა bwin ავიღოთ, რომლის სახელიც, სხვათა შორის, „მილანის" და „რეალის" მაისურებს აწერია.*

*დავიწყოთ იმით, რომ ინტერნეტით ამ ტოტალიზატორში დარეგისტრირება გაგიჭირდებათ, რაკი ქართველ ინტერნეტმომხმარებლებს bwin-ი ეჭვის თვალით უყურებს. მერე ის, რომ საქართველოს ჩემპიონატის თამაშების ერთმანეთზე გადაბმის უფლებას ან მოგცემენ, ან არა. მესამე ის, რომ შესაძლოა, მაქსიმალური მოგების ოდენობა 100 ან 200 ევროთი შეგიზღუდონ. ამავე დროს, ვთქვათ, ინგლისურ პრემიერლიგაზე არანაირი შეზღუდვა არ არსებობს – თუ იღბალი გაქვთ, მილიონის მოგებაც არ გეკრძალებათ. ჰო, საქართველოს ჩემპიონატის თუ თასის გათამაშების რომელიღაც კონკრეტულ მატჩებს bwin-ის ცხრილებში საერთოდ ვერ ამოიკითხავთ – მათზე ერთ ევროსაც არ იღებენ...*

*ეს ისე, ლირიკულ გადახვევად ჩავთვალოთ, დღევანდელი თემა კი ასეთი გვაქვს: როგორი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს საზოგადოებას გარიგებული ან საეჭვო თამაშების მიმართ. პასუხი, ერთი შეხედვით, ნათელია: უნდა ავღშფოთდეთ და დავგმოთ, მაგრამ ჩვენს სინამდვილეში საპირისპიროდაც მომხდარა და ქვემოთ სწორედ ამაზე გვექნება ლაპარაკი...*

2004 წლის 1 დეკემბერს უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე „დინამომ" ბერძნულ „პანიონიოსთან" 2:5 რომ წააგო და სკანდალი ატყდა, რამდენიმე დღის მერე „სარბიელი" წერდა:

ძალიან ცუდია, რომ ასე ლაპარაკობდნენ, უფრო ცუდი კი ის არის, რაც თავში ვთქვით: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ამ სკანდალს ისე ეკიდებიან, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

არადა, მოხდა. ქართულ ფეხბურთში ასეთი სკანდალები სისტემატურად ხდება, უბრალოდ, ახლა სკანდალმა განსაკუთრებული მასშტაბები მიიღო. რამდენჯერ გაჩენილა ეჭვი, რომ თამაში ჩაწყობილი იყო.

„დინამო" — „ლინფილდი". მაშინ მსაჯის მოქრთამვა დაგვიმტკიცდა და „დინამო" ევროთასებიდან მოიკვეთა;

„ლოკომოტივი" — „კოპენჰაგენი". თბილისელთა პრეზიდენტმა თავად თქვა, რომ მისმა ფეხბურთელებმა საკუთარ წაგებაზე დადეს ფსონი;

„ტირანა" — „დინამო". ვინ იფიქრებდა, რომ „დინამო" ალბანეთში სამბურთიან ფორას გაანიავებდა. ამბობენ, მაშინ ბლომად ფული დაიდო შემდეგ ეტაპზე „ტირანას" გასვლაზეო;

გაიხსენეთ ის ეჭვებიც, გორის „დილას" ინტერტოტოზე თამაშს რომ მოჰყვა;

„ვიტ ჯორჯიას" ფარერებზე წაგებაც გაიხსენეთ და მაშინ გაჩენილი ეჭვებიც.

კარგი, დავუშვათ, რომ ყველა ამ შემთხვევაში ქართული გუნდები სუფთები იყვნენ და ბოროტი ადამიანები მათთვის ჩირქის მოცხებას ლამობდნენ. მაგრამ, მოდით, ისიც გავიხსენოთ, ამ შემთხვევებიდან რომელიმეზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გამოძიება მოაწყო თუ არა...

დიახ, ვერ გავიხსენებთ, არანაირი რეაგირება არც ერთ ნახსენებ თამაშს არ მოჰყოლია! მეტიც: „პანიონიოსთან" მატჩის მერე ფეხბურთის ფედერაციამ „დინამოს" ადვოკატობაც იკისრა და მედიის როლი „გააპუსტიაკა".

აი, რა დაიწერა ჩვენს გაზეთში მაშინ:

ფედერაციის გენერალური მდივნის ვალერი ჩოლარიას თქმით, გნებავთ, უცხოურ და გნებავთ, ქართულ მედიაში გამოქვეყნებული სტატიები ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს.

ამის პასუხად ისევ უეფასეულ კომენტარში ჩავიხედოთ. იქ წერია: „გამოძიებას საფუძვლად მედიაში გამოქვეყნებული ინფორმაცია დაედო."

ანუ უეფას ოფიციალური პირები თვლიან, რომ მედიაინფორმაციები ძალიან მნიშვნელოვანი რამაა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური პირი კი თვლის, რომ არც ისე.

შემდეგ ვალერი ჩოლარია ამბობს: „თუ საქმე გამოძიებაზე მიდგა, ფედერაცია „დინამოს" აუცილებლად დაიცავს."

ჩვენთვის სწორედ ეს მოსაზრებაა ყველაზე შემაშფოთებელი. გენერალურმა მდივანმა არ იცის, გასვრილია თუ არა „დინამო" ბინძურ გარიგებაში, მაგრამ იცის, რომ „დინამო" უნდა დაიცვას. ანუ გამოდის, რომ მას არ აინტერესებს სიმართლე, არ აინტერესებს, დამნაშავეა თუ არა „დინამო". და თუ „დინამო" მართლა დამნაშავეა? ჩავთვალოთ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დანაშაულის დაფარვას და დამნაშავეებისთვის ხელის დაფარებას აპირებს?

გთხოვთ, დააკვირდეთ: ჩვენ სულაც არ ვადებთ ხელს „დინამოს", არ ვამბობთ, რომ „დინამომ" გარიგებული მატჩი ითამაშა, მაგრამ როდესაც არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, ვისაც ეს ეხება, ვალდებულია, საქმის გამოძიებაში აქტიური მონაწილეობა მიიღოს. გენერალური მდივნის ზემოთ მოყვანილი ნათქვამში კი ეს მზადყოფნა არ ჩანს.

ახლა კი გავიხსენოთ, თუ რამ გამოიწვია ეჭვი.

„პანიონიოსიც" და „დინამოც" უეფას ჯგუფში უკვე ჩარჩენილები იყვნენ და იმ მატჩის შედეგს რაიმე პრაქტიკული მნიშვნელობა არ ჰქონდა. მატჩის მსვლელობა კი ასეთი გახლდათ: 0:1 კაკალაძე (38), 1:1 მანციოსი (58), 1:2 ახალაია (60), 2:2, 3:2 მანციოსი (67, 78), 4:2 ბრეშკა (90), 5:2 მარკორა (90).

დანარჩენი „სარბიელის" იმდროინდელი წერილიდან გავიხსენოთ:

BBC-ის ჟურნალისტ ფილ ჰარლოუსთან საუბრისას უეფას პრესმდივანმა თქვა: „ჯერჯერობით ინფორმაციას ვაგროვებთ, მერე კი საქმის გამოძიებას შევუდგებით."

BBC-ის ჟურნალისტის წერილი, საიდანაც ეს ციტატა მოვიტანეთ, ვრცელი, მაგრამ უემოციოა. ფილ ჰარლოუსთვის ეს, უბრალოდ, მორიგი წერილია, უეფას მოხელისთვის კი — მორიგი კომენტარი.

მაგრამ ჩვენთვის ეს ვერ იქნება უბრალო ამბავი, რაკი თბილისის „დინამოს", უკვე მერამდენედ, თამაშის ჩაწყობაში სდებენ ბრალს!

BBC-ის ინფორმაციით, [illegible]ბათს „პანიონიოსი" და „დინამო" შესაძლოა, წინასწარ იყვნენ [illegible]გებული შედეგზე.

ის ემოცია, რომელიც ამ ინფორმაციის კითხვისას გაგვიჩნდა, ცოტა მოგვიანებით გამოვხატოთ, ჯერ კი ფაქტებს მივყვეთ.

ბრიტანული საბუქმეიკერო კანტორა „ბეტფაირში" „პანიონიოსი" — „დინამოს" მატჩის დაწყებამდე გამოჩნდნენ დიდი ფსონის ჩასვლის მსურველები იმაზე, რომ პირველ ტაიმს „დინამო" მოიგებდა, მატჩს კი მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდებოდა.

საფეხბურთო ნიძლავების მოყვარულები უცებ მიხვდებიან, რასაც ნიშნავს ტაიმბოლზე დიდი ფსონის ჩასვლა, თუმცა განმარტება მაინც საჭიროა: მატჩის იმ შედეგს, როცა პირველ ტაიმს ერთი გუნდი იგებს, შეხვედრა კი მეორე გუნდის სასარგებლოდ მთავრდება, ბუქმეიკერები ძალიან მაღალი კოეფიციენტით აფასებენ, რადგან ასეთი რამ იშვიათად ხდება. ქართულ ტოტალიზატორებში ასეთი შედეგის ალბათობას ერთი ოცთან, ერთი ოცდახუთთანაც აფასებენ და, შესაბამისად, მოგებაც ძალიან დიდია. უფრო მაღალი კოეფიციენტები აქვთ ინგლისში, სადაც ასეთ შედეგზე კოეფიციენტი, ჩვეულებრივ, ერთი ოცდაცამეტთანაა, ანუ, ვიმეორებთ: ალბათობა, რომ თამაში სწორედ ასე წარიმართება, ძალიან მცირეა და მასზე დიდი თანხის დადებას არავინ რისკავს.

„პანიონიოს" — „დინამოს" მატჩის წინ კი, მეფსონეთა ენით რომ ვთქვათ, 2/1 ტაიმბოლზე ხალხი დიდ ფულს ჩადიოდა. ეს ადამიანები ან



„ბეტფაირის"
30-კაციანი ჯგუფი



ფილ ბარლოუ



„პანიონიოსი" — „დინამო". მასპინძელი ბრეშკას გოლი ირაკლი ზოიძის კარში

სულელები იყვნენ, ან რაღაც იცოდნენ...

ფაქტი კი ერთია: დაეჭვებულმა ბუქმეიკერებმა კოეფიციენტი არნახულად დასწიეს და ერთი ოთხზე ჩამოაფასეს.

„ბეტფაირის" წარმომადგენელი ტონი კელვინი ამბობს: „ჩვენ თანამშრომელთა სპეციალური 30-კაციანი ჯგუფი გვყავს, რომლის მოვალეობაც საეჭვო ფსონების აღმოჩენაა."

ჰოდა, აღმოაჩინეს კიდეც. მათი აღმოჩენა კი BBC-ის ჟურნალისტის და უეფას ყურამდე მივიდა.

ფაქტები, აი, ეს არის. არანაირი უტყუარი მტკიცებულება, რომ თამაში მართლა გარიგებული იყო, არ არსებობს. მაგრამ მტკიცებულებების გარდა არსებობს ეჭვებიც, რომლის ქონის უფლებასაც ვერავის აუკრძალავ.

ერთი ამბავი გვახსენდება, რომელიც დიდხანს იყო სალაპარაკო. როცა „ლივერპულის" მეკარე ბრიუს გრობელაარი თამაშების გაყიდვაში ამხილეს და სასამართლოც დაინიშნა, მოსამართლემ პროცესის ბოლოს დაუვიწყარი სიტყვები თქვა: „მე მჯერა, რომ გობელაარი დამნაშავეა, მაგრამ საკმარისი სამხილების უქონლობის გამო კანონი მავალდებულებს, გავამართლო."

ჩვენ ინგლისელი მოსამართლის მიერ წლების წინ ნათქვამი სიტყვები შეგვიძლია, ასე მოვთარგმნოთ: ჩვენ არ გვსურს, დავიჯეროთ, რომ „დინამო" ბინძური გარიგების მონაწილეა, მაგრამ რომ აღმოჩნდეს, არ გაგვიკვირდება, რადგან:

— საქართველოს ჩემპიონატის დაარსებიდან უამრავ მატჩზე გაგვჩენია ეჭვი, რომ ის გარიგებული იყო;

— ქართული კლუბი ერთხელ უკვე იყო მოკვეთილი უეფას მიერ მსაჯების მოსყიდვის გამო;

— ქართული კლუბის პრეზიდენტმა ერთხელ უკვე თქვა, რომ მისმა ფეხბურთელებმა საევროთასო მატჩი გაყიდეს;

და რაც მთავარია: ვინც ვალდებულია, რომ თითოეული ასეთი ეჭვი, თუნდაც უსაფუძვლო იყოს, გამოიძიოს, წლების მანძილზე ყურიდან ყურში უშვებს ამ ეჭვებს. დაუსჯელობა კი უცილობლად ბადებს ახალ დანაშაულს.

დღეს კი ფაქტია: თავში მოყვანილი ფაქტები ტყუილი და ვილაცის ბინძური პროვოკაციაც რომ იყოს, გულშემატკივართა ძალიან დიდი ნაწილი მაინც ირწმუნებს, რომ „დინამომ" მართლა ითამაშა გარიგებული მატჩი. ეს ადამიანები დამცირებულად იგრძნობენ თავს, რაკი დარწმუნებულები იქნებიან, რომ მათ ალალ სიხარულსა და ტკივილზე, „დინამოს" ყოველ გამარჯვებას თუ დამარცხებას რომ ახლდა, ვილაც იცინოდა.

**დაგვეთანხმებით, მატჩის მსვლელობა და BBC-ის ჟურნალისტის წერილიც გამოძიების საფუძველს ბადებს და არა იმას, „გნებავთ, უცხოური და გნებავთ, ქართულ მედიაში გამოქვეყნებული სტატიები ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს" და „თუ საქმე გამოძიებაზე მიდგა, ფედერაცია „დინამოს" აუცილებლად დაიცავსო".**

**და ერთხელაც გავიმეოროთ, რომ ჩვენ არც ერთი ქართული კლუბის ცუდი არ გაგვიხარდება, მაგრამ როდესაც ეჭვი ჩნდება, მეტი პრინციპულობაა საჭირო. თორემ პრობლემის მიჩუმათება რასაც მოგვიტანს, კარგად ვიცით.**

**მიჩუმათება ვახსენეთ და, დღევანდელი წერილი „სარბიელში" 6 წლის წინ დაბეჭდილი საპირველგვერდო სტატიით დავასრულოთ, კიდევ ერთ ავადმოსაგონარ საევროთასო მატჩს, „ლოკომოტივ" — „კოპენჰაგენს" რომ ეხება:**

კვამლი უცეცხლოდ არ არისო და, ჭორიც ასეა, უმიზეზოდ არაფრისგან არ ჩნდება.

საქმის არსი ასეთია: „ლოკომოტივის" პრეზიდენტმა აკაკი ჩხაიძემ „კოპენჰაგენთან" სამარცხვინოდ წაგებული მატჩის შემდეგ თავისი რამდენიმე ფეხბურთელი მეტოქის მოგებაზე ფსონის ჩასვლაში დაადანაშაულა, თუმცა გვარები არ დაუსახელებია.

ჭორია! — ერთხმად აცხადებდნენ ფეხბურთელები და ჩვენც საპირისპიროს მტკიცების საბაბი და საბუთი არ გაგვაჩნია. ყოვლად უსახური თამაში კი, შესაძლოა, სულ სხვა მიზეზებით იყო გამოწვეული — იმით, რამაც კლუბის ხელმძღვანელობას მთავარი მწვრთნელის შეცვლა აიძულა, ან იმის, რის გამოც მოთამაშეთა ერთი ნაწილი ხელმძღვანელობას ემდურის. მაგრამ ჩვენ ასევე არ შეგვიძლია, ჭორი ვუწოდოთ კლუბის პრეზიდენტის საჯაროდ გაცხადებულ ბრალდებასაც. მართალია, აკაკი ჩხაიძემ შეარბილა ადრინდელი კომენტარი, საკითხი ისე მწვავედ როდი დგას, როგორც აიტაცეთო, თუმცა ეს საქმის ვითარებას არ ცვლის. ერთია, რომ ბრალდება უკვე წაყენებულია და ამ მატჩის სანახავად მისული ათასობით ადამიანი თავს შეურაცხყოფილად მიიჩნევს და მეორეც — „საკითხი ისე მწვავედ როდი დგას", გაუგებარია. თუ ფეხბურთელები ფსონს მართლაც ჩავიდნენ, საკითხი ძალიან მწვავედ დგას. ხოლო თუ არ ჩასულან, საჭიროდ მიგვაჩნია შუალედური ვარიანტის მოძებნა და პრობლემის მიჩუმათებას ნიშნავს.

**გიორგი დარჯანია**

თქვენი ინტერვიუ
ლევან ყენიასთან
«შალკე» გელზენკირხენი, გერმანია

რუბრიკის მორიგ რესპონდენტ ლევან ყენიასთან კითხვები გამოგზავნეთ 31 მარტის ჩათვლით. დაუსვით თქვენთვის საინტერესო კითხვა ქართული ფეხბურთის ერთ-ერთ იმედს და მიიღეთ პასუხები...

მოგვმართეთ ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: geo_geo_fan@hotmail.com





# ქულები სხვებმა დაკარგონ

## ზაზა სახოკია: ყველაზე ცუდი კალენდარი დინამოს დარჩა

მეორე წრის დაწყებიდან ხშირად იყო ლაპარაკი, რომ ჩემპიონობისთვის მებრძოლ „ვიტ ჯორჯიას" გოლის გამტანი თავდამსხმელი აკლდა და მის ყველაზე სუსტ წერტილად სწორედ შეტევის ხაზს მიიჩნევდნენ. თუმცა მე-18 ტურში ბოლნისის „სიონთან" ვეტერინართა შეტევმა ზაზა სახოკიამ ორჯერ იხეირა — მეტიც შეეძლო, მაგრამ თავისივე თანაგუნდელმა, ირაკლი კლიმიაშვილმა დაასწრო. წლევანდელ სეზონში ეს დუბლი პირველი იყო სახოკიასთვის. მან გოლების გარდა ბევრი სამუშაოც გასწია და „სარბიელმა" ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც შეიყვანა...

— „სიონთან" წლეულს საუკეთესო მატჩი ითამაშე...

— საკუთარ თავზე ლაპარაკი ძნელია, თუმც ბოლნისელებთან მართლაც კარგად ვითამაშე. ისე, მომენტები სხვა მატჩებშიც მქონდა, მაგრამ იღბალი არ მწყალობდა, „სიონთან" კი ორი გავიტანე, რაც თავდამსხმელისთვის ფსიქოლოგიურადაც მნიშვნელოვანია.

— მესამე გოლის გატანაც შეგეძლო, თუმც თანაგუნდელმა ითავა შენი საქმე...

— მეკარესთან უკვე პირისპირ ვიყავი, ბოლნისელი მცველი წამომედო ფეხზე და ბურთთან კლიმიაშვილმა მიმასწრო... მთავარი მაინც შედეგია და ვინ გაიტანს, დიდი მნიშვნელობა არ აქვს.

— ხშირად საუბრობენ, ნიკა გელაშვილის წასვლის შემდეგ „ვიტ ჯორჯიას" გამტანი თავდამსხმელი აკლიაო...

— გელაშვილი მართლაც დიდი ძალა იყო. პირველ წრეში თავდასხმაში ერთად ვიდექით, მისი წასვლის შემდეგ კი ვასილ ლუჭაშვილთან ერთად ვთამაშობ. თავიდან ცოტა შეუთამაშებლები ვიყავით, მაგრამ ბოლო მატჩებში მეტი ურთიერთგაგება იგრძნობა და ალბათ კიდევ უფრო მოვუმატებთ.

— მთლიანად გუნდზე რას იტყოდი?

— ახალგაზრდა გუნდი ვართ, შეკრული. დიდი ხანია, ერთმანეთის გვერდით ვთამაშობთ და წლეულს ერთ-ერთ საუკეთესო სეზონს ვატარებთ. თუ ღვთის ნება იქნა, ალბათ შინ „დინამოსაც" მოვუგებთ და ჩემპიონებიც გავხდებით.

— საჩემპიონო რბოლიდან „ზესტაფონი" გამორიცხე?

— არა. ჩვენს შორის სხვაობა ოთხი ქულაა, წინ კი რვა ტურია. ამ დროში შეიძლება, ბევრი რამ მოხდეს. ისე, ყველაზე ცუდი კალენდარი „დინამოს" აქვს — ჩვენთანაც სტუმრობს და ზესტაფონშიც. მომდევნო ტურში ჩვენც როთული თამაში გვაქვს ბორჯომში — ხელოვნურსაფარიან მოედანზე მიუჩვეველნი ვარ, იქ ბურთიც სხვაგვარად ხტის და კუნთებსაც სხვა დატვირთვა აქვს, თუმცა იმედს არ ვკარგავთ, ჩვენი თავის გვჯერა და უნდა მოვიგოთ. ქულები კი სხვებმა დაკარგონ.

— პირველ წრეში „ბორჯომთან" წააგეთ, შემდეგ კი მიჯრით 12 თამაში მოიგეთ. ახლა მეცამეტე მატჩი ისევ „ბორჯომთან" გიწევთ...

— მართალია, რიცხვ ცამეტზე კარგს იშვიათად ამბობენ, მაგრამ ცრურწმენას არ უნდა ავყვეთ და ჩვენი თამაში ვითამაშოთ. იოლი ნამდვილად არ იქნება, მაგრამ მოგება გვჭირდება და მიზანს უნდა მივაღწიოთ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ორწუთიანი სპასოევიჩი

**თბილისის** „დინამოს" ჩერნოგორიელმა ლეგიონერმა ილია სპასოევიჩმა 2009 წლის ევროპის 21-წლამდელთა ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ირლანდიის ნაკრებთან შეხვედრაში ორი წუთი ითამაშა.

მატჩი 1:1 დასრულდა, სპასოევიჩი კი მოედანზე 88-ე წუთზე სლავენ სტეპანოვიჩის ნაცვლად გამოჩნდა.

ჩერნოგორიელები 68-ე წუთზე ბოჟოვიჩის გოლით იგებდნენ, მაგრამ ოთხ წუთში მასპინძელმა კოგმა ანგარიშის გათანაბრება შეძლო.

**კახა შალამბერიძე**

# საქართველოს 19 ჩემპიონატი

## პირველი ლიგა

II წრე.

### დასავლეთი

**ტორპედო 1:0 მაღაროელი**

1:0 კეჭეყმაძე (80)

ტორპედო: დ. მემარნიშვილი, დათიაშვილი, ჭანკვეტაძე, ხარებავა, ვ. ვაჩიბერაძე, ბ. ჩხეტიანი (ჭყონია 58), ლ. კირკიტაძე, მეტონიძე (გ. გურეშიძე 65), კილაძე, კეჭეყმაძე, ქათამაძე (სირაძე 46)

*სათადარიგონი: დ. ოდიშარია, თვალავაძე, სანთელაძე, ლურსმანაშვილი*

მწვრთნელი: დავით ჯანაშია

მაღაროელი: ბადურაშვილი, შუკაკიძე, გ. ბრეგვაძე, ჩხარტიშვილი, ეგაძე, გამცემლიძე, მდივნიშვილი, გ. ილურიძე, სეფერთელაძე (მიშველიძე 89), სევასტოპულო, ტყემალაძე

*სათადარიგონი: დოლაძე, მ. სამხარაძე, ჯაჯანიძე, ი. ტყებუჩავა, ბიბილაშვილი, მგელაძე*

მწვრთნელი: ბადრი ბრეგვაძე

გაფრთხილება: ჩხეტიანი, მდივნიშვილი

მსაჯი: ლ. კვარაცხელია

100 მაყურებელი

**ზესტაფონი 2 1:2 სამტრედია**

1:0 ბუკია (21), 1:1, 1:2 ბაკარანძე (74, 89)

ზესტაფონი 2: ჯალალონია, სურმავა, ხუმარაშვილი (ნებიერიძე 84), გელაჭეიშვილი, კესანი, შარანგია, ბუკია, გაბრიჭიძე, გორგიაშვილი, ბიტოო (ბერძენაძე 46), დ. ჯანელიძე

*სათადარიგონი: ო. ბოჭორიშვილი, დ. ბერუაშვილი*

მწვრთნელი: მალხაზ ლონლაძე

სამტრედია: ხურციძე, თელია, კვესეიშვილი, გუბელაძე, ნინუა, ქობალია, ა. ივეჩიანი, ეცადეიშვილი, შ. ჩომახიძე (ადეიშვილი 90), ბაკარანძე, კრავეიშვილი (ბოხუა 90)

*სათადარიგონი: თ. კაკალაძე, ჯინჭარაძე, ზ. რაზმაძე, სვინიაევი, მამულაშვილი*

მწვრთნელი: ბადრი ქორიძე

გაფრთხილება: კესანი, შარანგია, შარანგია

გაძევება: შარანგია (90)

მსაჯი: დ. სანაია

100 მაყურებელი

**მეშახტე 1:0 უნივერსიტეტი**

1:0 მაჩალაძე (83პ)

მეშახტე: მერკვილიშვილი, დონაძე, მ. ბოჭორიშვილი, ყურაშვილი, ჯიშიაშვილი, მაჩალაძე, ხაჩიძე, ჩუბინიძე (მერკვილაძე 75), გ. კირკიტაძე, გოგბერაშვილი, ავალიშვილი (ცქიფურიშვილი 51)

*სათადარიგონი: თ. გიორგაძე, თევზაძე, წერეთელი*

მწვრთნელი: დავით გვენეტაძე

უნივერსიტეტი: კუჭუხიძე, გ. ტორაძე, წიქორიძე, შველიძე, კვირიკაშვილი, დარჯანია, ქაშიბაძე (კუბლაშვილი 22), ბარელიძე, ბასილაია, ბოდოკია (ა. სულაქველიძე 85), ზ. ლოსაბერიძე

*სათადარიგო: მეფარიშვილი*

მწვრთნელი: ედუარდ შავგულიძე

გაფრთხილება: დარჯანია, წიქორიძე, ბარელიძე, შველიძე, კუბლაშვილი

მსაჯი: ხ. გაგნიძე

100 მაყურებელი

### გადადებული მატჩები

**მერანი (მ) 1:0 კოლხეთი**

1:0 ციცხვაია (89)

მერანი: ლ. ძაგანია, ჩხიკვაძე, კვიტატიანი, აქუბარდია, ფარცვანია, ლ. ტორაძე (პაპადოპულოსი 46), წოწორია, ციცხვაია, ჩალაძე (ცაგარეიშვილი 72), ბეგოიძე, მუმლაძე

*სათადარიგონი: უგლაძე, რუხაძე, ძიძიგური, ტ. ჟღენტი, ჯ. შეროზია*

მწვრთნელი: მალხაზ ჟვანია

კოლხეთი: გ. შენგელია, გ. კილასონია, გ. სიჭინავა, გეგელია, გოგნაძე, ციკოლია (ლვანია 82), აბურჯანია, ლუსტა, გვიჩია (დ. მოისწრაფიშვილი 73), ხიზანიშვილი, ი. მოისწრაფიშვილი (ნ. ნარსია 31)

*სათადარიგონი: ჩემია, გახარია, მეგრელიშვილი, ზ. შენგელია*

მწვრთნელი: ზაზა ინიაშვილი

გაფრთხილება: ი. მოისწრაფიშვილი, გეგელია, კილასონია, ნარსია, ციცხვაია

მსაჯი: კ. ჭაჭუა

200 მაყურებელი

**სამტრედია 2:2 კოლხეთი**

1:0, 2:0 ბაკარანძე (34, 66პ), 2:1 ცხვიტარია (87), 2:2 ხიზანიშვილი (89)

სამტრედია: ხურციძე (თ. კაკალაძე 79), თელია, გოგია, გუბელაძე, კვესეიშვილი, ქობალია, ა. ივეჩიანი (კრავეიშვილი 56), ეცადეიშვილი, შ. ჩომახიძე, ბაკარანძე (ზ. რაზმაძე 84), ჯინჭარაძე

*სათადარიგონი: ნინუა, მამულაშვილი, გაგუა, გ. გიორგაძე*

მწვრთნელი: ბადრი ქორიძე

კოლხეთი: გ. შენგელია, ლვანია (გეგელია 40), ცხვიტარია, გოგნაძე, სიჭინავა, გ. კილასონია, მეგრელიშვილი (ი. მოისწრაფიშვილი 46), ლუსტა (გახარია 66), აბურჯანია, ციკოლია, ხიზანიშვილი

*სათადარიგონი: მანაგაძე, დ. მოისწრაფიშვილი, ზ. შენგელია*

მწვრთნელი: ზაზა ინიაშვილი

გაფრთხილება: ესეიშვილი, სიჭინავა, გოგნაძე

მსაჯი: მ. ბეუქლიშვილი

100 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაღაროელი | 19 | 16 | 2 | 1 | 41:13 | 50 |
| მერანი (მ) | 19 | 10 | 4 | 5 | 26:16 | 34 |
| მეშახტე | 19 | 11 | 0 | 8 | 31:29 | 33 |
| ზესტაფონი 2 | 19 | 10 | 2 | 7 | 31:18 | 32 |
| ტორპედო | 19 | 8 | 4 | 7 | 28:25 | 28 |
| კოლხეთი | 19 | 7 | 6 | 6 | 25:22 | 27 |
| ხობი | 19 | 6 | 5 | 8 | 23:24 | 23 |
| უნივერსიტეტი | 19 | 6 | 3 | 10 | 16:20 | 21 |
| სამტრედია | 19 | 3 | 4 | 12 | 21:43 | 13 |
| ფაზისი | 19 | 2 | 2 | 15 | 17:49 | 8 |

*„ფაზისი" მოხსნილია გათამაშებიდან*

**XX ტური**

30 მარტი, კვირა

ხობი – კოლხეთი

უნივერსიტეტი – სამტრედია

მაღაროელი – ფაზისი

მეშახტე – ტორპედო

31 მარტი, ორშაბათი

ზესტაფონი 2 – მერანი (მ)

### აღმოსავლეთი

**მეშაძრე 0:0 ნ. დინ-მერანი 2**

მეშაძრე: პ. ოთარაშვილი, დონდოლაძე, ლ. ტყებუჩავა, გ. თარგამაძე, გვარუციძე, ახობაძე (ლ. მანწკავა 66), გ. ლაცაბიძე, ბ. გოცირიძე (კავთელაძე 80), ლ. კვარაცხელია, ი. სიხარულიძე (მესხიძე 56), ებანოიძე

*სათადარიგონი: აბრამიშვილი, გ. გელაშვილი, მ. ლობჟანიძე, ფაილოძე*

მწვრთნელი: გოჩა ტყებუჩავა

ნ. დინ-მერანი 2: დგებუაძე, ტოსტიაშვილი, დაბრუნდაშვილი, ფირანიშვილი, ჯორჯიკია, ხვთისავრიშვილი, ქემუხტაშვილი (გურჩიანი 74), ნაკაშიძე (ა. შენგელია 30), კაკულია (გავაშელი 68), ხუჭუა, ქავთარაძე

*სათადარიგო: ჩიტალაძე*

მწვრთნელი: ოთარ შენგელია

გაფრთხილება: დონდოლაძე, კვარაცხელია, ლაცაბიძე

მსაჯი: ო. ხეცაძე

200 მაყურებელი

**ამერი 2 2:0 კახეთი**

1:0 ხუციძე (73), 2:0 კეკელია (87)

ამერი 2: გვენცაძე, სანიკიძე, ენუქიძე, ჩოხელი, კეკელია, ბოჯგუა (ფუტკარაძე 89), ხუციძე, დოლიძე, სილაგავა, ტატანაშვილი (ნ. ქებაძე 82), გრძელიძე (ცხოვრებაშვილი 60)

*სათადარიგონი: შ. გოგიაშვილი, გ. სიჭინავა, ადეიშვილი, ვ. ჯელაძე*

მწვრთნელი: დავით მახარაძე

კახეთი: გ. ოთარაშვილი, ჩუთლაშვილი, შ. ლობჟანიძე, გ. ლომიძე, მურვანაშვილი, ბედოიძე, კუპრაშვილი (დ. ბურდული 84), კევლიშვილი, ბიძინაშვილი, ლ. ტეტიაშვილი, ძამუკაშვილი (რ. ტეტიაშვილი 58, მაჩაიძე 62)

*სათადარიგონი: ქუფარაშვილი, ტარუღაშვილი, მელექსიშვილი, ზარქუა*

მწვრთნელი: გიგლა იმნაძე

გაფრთხილება: კუპრაშვილი, ლომიძე, ლობჟანიძე

მსაჯი: ა. კრიჭაშვილი

50 მაყურებელი

**ოლიმპი 2 1:1 ჩიხურა**

1:0 გუგუჩია (16პ), 1:1 დოლონაძე (27)

ოლიმპი 2: კალანდაძე, სარაჯიშვილი, გ. ოდიშარია, გ. პაჭკორია, ჩიხრაძე (დ. პაჭკორია 79), გურეშიძე, ზვიადაძე, გუგუჩია, ჯაში, სებისკვერაძე, ტორონჯაძე

*სათადარიგონი: გალდავა, ჭაფოძე, მახარაშვილი, ზედგინიძე, სულუხია, გავაშელიშვილი*

მწვრთნელი: გელა გომელაური

ჩიხურა: მწყერაშვილი, ზივზივაძე, ბარაბაძე, ხურცილავა, ვ. ზაბახიძე, დოლონაძე, ჭილლაძე, ზ. ნოზაძე (ი. ზაბახიძე 50), როგავა (ლ. ჩიკვაიძე 70), მ. მიქაძე, ბ. პეტრიაშვილი (მაჭარაშვილი 80)

*სათადარიგონი: ბეგაშვილი, [illegible], გულიაშვილი, ცარციძე*

მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

გაფრთხილება: ვ. ზაბახიძე, გ. პაჭკორია, ოდიშარია, ჭილლაძე

მსაჯი: ლ. ფანიაშვილი

50 მაყურებელი

**ოლიმპიკი 0:1 დინამო 2**

0:1 სიხარულიძე (10)

ოლიმპიკი: კეკელიძე, ბებუა, გ. ალავიძე, ჯ. გოგიაშვილი, სანოძე (ოქრუაშვილი 73), როსტომაშვილი, მაისურაძე, გ. იაშვილი (ლვინიაშვილი 74), ბ. ჯინჭარაძე, შ. კვანტალიანი (ლაბარტყავა 67), შონია

*სათადარიგო: დაუთაშვილი*

მწვრთნელი: ლევან მელიქია

დინამო 2: გ. ლოსაბერიძე, მინდორაშვილი, გეთიაშვილი, ჩადუნელი, [illegible] ოთარაშვილი (ქანთარია 46), მამუჩიშვილი, ფირცხალავა (ნემსაძე 62), კოპაძე, ჯოხაძე (გ. ჩიკვაიძე 57), ი. სიხარულიძე, ჯიშკარიანი

*სათადარიგონი: გ. ნადირაძე, მამრაში, კაჭკაჭიშვილი, ჭადაშვილი*

მწვრთნელი: დავით კევლიშვილი

გაფრთხილება: გოგიაშვილი, ფირცხალავა

მსაჯი: ლ. სილაგავა

100 მაყურებელი

**გაგრა 0:2 ვიტ ჯორჯია 2**

0:1 კვალინიძე (14), 0:2 ბერიაშვილი (43)

გაგრა: ბათიაშვილი, ქვრივიშვილი, ტეტუნაშვილი (აბაშიძე 58), გ. კვანტალიანი, თოთაძე, ცხადაია, შარიქაძე (ე. ფილია 64), ჩარგეიშვილი, ზ. დათუნაშვილი (ბ. ყიფიანი 46), კორიფაძე, ზ. ძაგანია

*სათადარიგონი: ხომერიკი, ჩოჩია, თ. მეტრეველი, სუხიშვილი*

მწვრთნელი: გიორგი ჭიაბრიშვილი

ვიტ ჯორჯია 2: მიქაბერიძე, ვეკუა, ადამაძე, კასრაძე, პირველი, ვასაძე, კვალინიძე (ლანიაშვილი 46), ინჯგია, ჯიქიძე (როსტიაშვილი 78), გ. ჯანელიძე, გ. ბერიაშვილი (ზაქრაძე 84)

*სათადარიგონი: ღურბელეიშვილი, სორდია, გამრეკლიძე, დვალაშვილი*

მწვრთნელი: მერაბ კოჭლაშვილი

გაფრთხილება: კასრაძე, ვეკუა, ბერიაშვილი, თოთაძე

მსაჯი: მ. ურუშაძე

50 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო 2 | 19 | 11 | 5 | 3 | 29:14 | 38 |
| გაგრა | 19 | 10 | 5 | 4 | 38:30 | 35 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 19 | 9 | 5 | 5 | 28:15 | 32 |
| მეშაქრე | 18 | 8 | 6 | 4 | 26:17 | 30 |
| ჩიხურა | 19 | 8 | 6 | 5 | 29:25 | 30 |
| ოლიმპი 2 | 19 | 7 | 6 | 6 | 26:20 | 27 |
| კახეთი | 19 | 7 | 4 | 8 | 29:30 | 25 |
| ამერი 2 | 18 | 7 | 2 | 9 | 30:31 | 23 |
| ოლიმპიკი | 19 | 3 | 4 | 12 | 23:37 | 13 |
| ნ.დინ-მერანი 2 | 19 | 0 | 5 | 14 | 17:53 | 5 |

**გადადებული მატჩი**

27 მარტი, ხუთშაბათი

მეშაქრე – ამერი

**XX ტური**

30 მარტი, კვირა

ჩიხურა – ოლიმპიკი

31 მარტი, ორშაბათი

ნ.დინ-მერანი 2 – დინამო 2

კახეთი – ოლიმპი 2

ვიტ ჯორჯია 2 – ამერი 2

მეშაქრე – გაგრა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ანატოლი მილჩენკო 70 წლისაა

**70 წელი** შეუსრულდა ფიფას არბიტრს, საქართველოს მეოცე საუკუნის საუკეთესო მსაჯს ანატოლი მილჩენკოს.

ის დაიბადა 1938 წლის 26 მარტს, 1947 წელს შევიდა და 1957 წელს დაამთავრა ბორჯომის საშუალო სკოლა. 1957-60 წლებში საბჭოთა არმიაში სამსახურის წლებში თამაშობდა თბილისის „ოდოში“, 1961 მოიწვიეს სოხუმის „დინამოში“.

1964 წლიდან დაიწყო მილჩენკოს წარმატებული სამსაჯო კარიერა. 1966 წელს მიენიჭა რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება. 1967 წელს კი საკავშირო კატეგორიის არბიტრი ხდება. 1967-75 წლებში მან საკავშირო ჩემპიონატისა და საერთაშორისო შეჯიბრებების მრავალი მატჩი იმსაჯა. მათ შორის: 1971 წლის სსრკ-ის თასის ფინალი, „სპარტაკი“ მოსკოვი — სკა როსტოვი. პირველი დღე 2:2, მეორე დღე 1:0 „სპარტაკის“ სასარგებლოდ. 1972 წლის უეფას თასის ფინალი ლონდონში, „ტოტენჰემი“ — „ვულვერჰემპტონი“ (ტოფიკ ბახრამოვის ასისტენტი). 1974 წლის ევროპის ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალი ბერლინში: „კარლ-ცაისი“ იენა — „სპარტა“ პრაღა (მთავარი მსაჯი). 1975 წლის ევროპის იუნიორთა ჩემპიონატის ფინალი ბერნში: ინგლისი — ფინეთი. 1979 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის: არგენტინა — პოლონეთი.

საინტერესოა, რომ მაშინ არგენტინის შემადგენლობაში იყო დიეგო მარადონა. იმავე წელს მას საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭა.

ამ რანგში 47 წლის ასაკამდე მან მრავალი მაღალი დონის მატჩი იმსაჯა, მათ შორის, 1985 წლის 16 ოქტომბერს „უემბლიზე“ ინგლისისა და თურქეთის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი.

მილჩენკოს ეკუთვნის სსრკ ჩემპიონატებში მთავარმსაჯობის რეკორდი — 202 მატჩი, მასვე ეკუთვნის მეორე რეკორდი — 376 თამაში საბჭოთა კავშირის, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებისა და ოლიმპიური ნაკრებების დონეზე.

ის 14-ჯერ მოხვდა საბჭოთა კავშირის საუკეთესო მსაჯთა ათეულში.

ცნობისთვის: რეკორდი ეკუთვნის მოსკოველ პაველ კაზაკოვს (15).

მილჩენკოს უმსაჯია შეხვედრები, რომელთა მონაწილეები იყვნენ: მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, მურთაზ ხურცილავა, სოსო ბარქაია, სერგო კუტივაძე, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი, ალექსანდრე ჩივაძე, ლევ იაშინი, ედუარდ სტრელცოვი, ვალერი ლობანოვსკი, ოლეგ ბლოხინი, ფრანც ბეკენბაუერი, გერდ მიულერი, მარკო ვან ბასტენი, იოჰან კროიფი, მიშელ ლაუდრუპი, დანიელ პასარელა და მრავალი სხვა დიდი ვარსკვლავი.

მილჩენკოს დამთავრებული აქვს საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი სპეციალობით ინჟინერ-ტექნოლოგი.

წარმატებული იყო ანატოლი მილჩენკოს საქმიანობა, როგორც აფხაზეთის სპორტკომიტეტის უფროსი სპეციალისტის და კიდევ უფრო ნაყოფიერი მისი სამეურნეო საქმიანობა 1974-1991 წლებში, როგორც ტურისტული სასტუმრო-კომპლექს „სოხუმის“ დირექტორი.

1992-93 წლებში ბატონი ანატოლი სოხუმის დამცველთა რიგებში იყო, იმ სოხუმის, რომელიც განსაკუთრებით უყვარს. ამ ქალაქში შექმნა მან შესანიშნავი ოჯახი სულიკო ტყებუჩავასთან ერთად, აქ შეეძინათ შვილები — 1964 წელს ვაჟი და 1965 წელს ქალიშვილი.

2003 წლის 18 დეკემბრის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ბატონი ანატოლი წერს: „მე საქართველოში დავიბადე და გავიზარდე, მეორე მსოფლიო ომის დროს ქართველები უკრაინელებს ლუკმაპურს გვინაწილებდნენ, ამ ხალხს არასდროს უგრძნობინებია ჩემთვის, რომ უკრაინელი ვარ. მეამაყება, რომ ქართველი უკრაინელი ვარ, ქართული ოჯახი მაქვს, სიძე და შვილიშვილი ქართველი მყავს“.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მაშინდელი ხელმძღვანელობის თხოვნით, ის 1999 წელს ჩაუდგა სათავეში სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტს, რომელსაც 2005 წლამდე თავკაცობდა, ამ პერიოდში მისი უშუალო ხელმძღვანელობით საქართველოში (პირველი დსთ-ში) შეიქმნა მსაჯთა აკადემია, რომლის რექტორიც თავად იყო 2006 წლამდე.

ამჟამად ბატონი ანატოლი საფეხბურთო კლუბ „ვიტ ჯორჯიას“ სპორტული დირექტორია. გვეხმარება აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციაშიც — სააპელაციო კომიტეტს საზოგადოებრივ საწყისებზე ხელმძღვანელობს.

ბატონო ანატოლი, 70 წელი საქმის მკვეთებელი კაცისთვის არცთუ ისე ცოტაა, მაგრამ არც ისე ბევრია ისეთი ენერგიული კაცისთვის, როგორც თქვენ ხართ, რომელიც სოხუმში ახალგაზრდული შემართებით, სულის მხნეობით უნდა დაბრუნდეს და კიდევ მრავალი წელი სიყვარულით და სიკეთით იაროს იმ ქალაქში, რომელიც თქვენთვის ისეთივე ტკბილი მოგონება და დიდი ტკივილია, როგორც ყველა თქვენი თანაქალაქელისთვის.

საიუბილეო თარიღს გილოცავთ, დიდხანს იცოცხლეთ!

**მურად ანჯაფარიძე**
**აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი**

# ჩვენი მეტოქეები
# ესპანეთი ისევ მშრალია

**ესპანეთი 5:0 ყაზახეთი**

1:0 ხურადო (7), 2:0 კაპელი (29), 3:0 კრკიჩი (33), 4:0 მატა (39), 5:0 კალეხონი (55)

**ესპანეთი:** ხიმენესი, მიგელ ტორესი, მონრეალი, პიკე, ტორეხონი, რაულ გარსია (ხავი გარსია 63), სისი, ხურადო, კრკიჩი (კალეხონი 46), მატა (სოლა 46), კაპელი

**ყაზახეთი:** შაბანოვი, ჟუმბაევი, ვოროტნიკოვი, კისლიცინი, ლოგვინენკო, შახმეტოვი (ნოსკოვი 64), ბოროვსკი (ხასენოვი 14), ნურგალიევი, კემბაევი (საბალაკოვი 12), აზოვსკი, კუკეევი

**სანამ** საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გლდანში ლატვიელ თანატოლებს ამხანაგურად უსწორდებოდა, ჩვენი ნაკრების ევროშესარჩევ ჯგუფის მეტოქეები ესპანეთში არკვევდნენ ურთიერთობას.

მასპინძლებმა უმოწყალოდ გვემეს აზიელი მეტოქე და ანგარიში ოდნავადაც ვერ ასახავს ესპანელთა უპირატესობას.

განსაკუთრებით კაპელი და სისი აქტიურობდნენ ფლანგებზე და ყაზახთა მწვრთნელიც იძულებული გახდა, ორი ფეხბურთელი საწყის 15 წუთშივე შეეცვალა.

კაპელი და სისი ხომ ვახსენეთ, ამას დაუმატეთ კრკიჩი, მატა, ხურადო, მიგელ ტორესი და მიხვდებით, ვისთანაც ჰქონდათ ყაზახებს საქმე.

ესპანელები [illegible] ლიდერობენ შესარჩევ ჯგუფს და ძნელი წარმოსადგენია, მომდევნო ეტაპზე გასასვლელად წინ ვინმე გადაეღობოთ.

საქართველოს ნაკრებს კი ამ შესარჩევში ორი მატჩიღა დარჩა სატარებელი — 5 სექტემბერს სტუმრად რუსეთთან და 10 სექტემბერს შინ პოლონეთთან.

**მიხეილ ქორქოლიანი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 5 | 5 | 0 | 0 | 15:0 | 15 |
| რუსეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 9:2 | 12 |
| პოლონეთი | 6 | 2 | 0 | 4 | 4:8 | 6 |
| საქართველო | 6 | 2 | 0 | 4 | 6:13 | 6 |
| ყაზახეთი | 6 | 1 | 0 | 5 | 5:16 | 3 |

# საქართველოს ჭაბუკთა ლიგა

## 1990 წელს დაბადებულები

### დასავლეთი ზონა

**მე-17 ტური**

მართვე 4:0 მგლები
ზესტაფონი 6:1 მესხეთი
ბათუმი 1:2 ბორჯომი
სპარტაკი 2:0 დილა

**მე-18 ტური**

მგლები 4:0 სპარტაკი
მესხეთი 1:5 მართვე
ბორჯომი 0:2 ზესტაფონი
დილა 0:0 ბათუმი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზესტაფონი | 18 | 14 | 2 | 2 | 42:15 | 44 |
| ბორჯომი | 18 | 13 | 3 | 2 | 52:22 | 42 |
| მართვე | 18 | 13 | 2 | 3 | 52:24 | 41 |
| მგლები | 18 | 7 | 3 | 8 | 32:26 | 24 |
| ბათუმი | 18 | 6 | 2 | 10 | 28:34 | 20 |
| სპარტაკი | 18 | 6 | 1 | 11 | 26:43 | 19 |
| დილა | 18 | 5 | 3 | 10 | 24:39 | 18 |
| მესხეთი | 18 | 0 | 0 | 18 | 18:71 | 0 |

### ცენტრალური ზონა

**მე-17 ტური**

იმედი 2:1 ოლიმპიკი
მერანი 3:1 მთ. გლობუსი
თ. ს. აკადემია 0:0 ამერი
35-ე სკოლა 2:1 დინამო

**მე-18 ტური**

მთ. გლობუსი 1:0 35-ე სკოლა
ოლიმპიკი 1:0 მერანი
ამერი 1:0 იმედი
დინამო 5:0 თ. ს. აკადემია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 18 | 13 | 2 | 3 | 59:20 | 41 |
| ამერი | 18 | 10 | 2 | 6 | 36:16 | 32 |
| მერანი | 18 | 9 | 5 | 4 | 37:23 | 32 |
| ოლიმპიკი | 18 | 9 | 2 | 7 | 33:29 | 29 |
| 35-ე სკოლა | 18 | 8 | 3 | 7 | 31:33 | 27 |
| მთ. გლობუსი | 18 | 5 | 4 | 9 | 23:43 | 19 |
| თ. ს. აკადემია | 18 | 4 | 2 | 12 | 14:37 | 14 |
| იმედი | 18 | 2 | 4 | 12 | 13:45 | 10 |

### აღმოსავლეთი ზონა

**მე-17 ტური**

ნორჩი დინამო 2:5 ოლიმპი
ლოკომოტივი 3:0 ოლიმპი 2
ვიტ ჯორჯია 5:0 ავაზა
სიონი 2:3 ერთობა

**მე-18 ტური**

ოლიმპი 4:2 სიონი
ოლიმპი 2 6:0 ნორჩი დინამო
ავაზა 1:5 ლოკომოტივი
ერთობა 2:1 ვიტ ჯორჯია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 18 | 15 | 1 | 2 | 54:20 | 46 |
| ვიტ ჯორჯია | 18 | 13 | 0 | 5 | 40:11 | 39 |
| ოლიმპი | 18 | 10 | 0 | 8 | 41:36 | 30 |
| ნ. დინამო | 18 | 9 | 2 | 7 | 49:37 | 29 |
| ოლიმპი 2 | 18 | 9 | 0 | 9 | 43:37 | 27 |
| ავაზა | 18 | 5 | 0 | 13 | 34:63 | 15 |
| ერთობა | 18 | 5 | 0 | 13 | 20:51 | 15 |
| სიონი | 18 | 4 | 1 | 13 | 32:58 | 13 |

## 1991 წელს დაბადებულები

### დასავლეთი ზონა

**მე-17 ტური**

მესხეთი 0:3 ზესტაფონი
ბორჯომი 1:0 ბათუმი
დილა 1:1 სპარტაკი
მგლები — მართვე გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბათუმი | 17 | 12 | 4 | 1 | 37:13 | 40 |
| ზესტაფონი | 17 | 10 | 6 | 1 | 32:15 | 36 |
| ბორჯომი | 17 | 7 | 5 | 5 | 21:15 | 26 |
| მართვე | 16 | 7 | 3 | 6 | 13:13 | 24 |
| მგლები | 16 | 6 | 5 | 5 | 27:16 | 23 |
| სპარტაკი | 17 | 4 | 6 | 7 | 21:17 | 18 |
| დილა | 17 | 3 | 7 | 7 | 16:21 | 16 |
| მესხეთი | 17 | 0 | 0 | 17 | 10:67 | 0 |

### ცენტრალური ზონა

**მე-17 ტური**

ოლიმპიკი 2:0 იმედი
მთ. გლობუსი 1:4 მერანი
ამერი 3:1 თ. ს. აკადემია
დინამო — 35-ე სკოლა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 35-ე სკოლა | 16 | 12 | 2 | 2 | 31:12 | 38 |
| დინამო | 16 | 11 | 3 | 2 | 32:5 | 36 |
| მერანი | 17 | 9 | 4 | 4 | 27:13 | 31 |
| თ. ს. აკადემია | 17 | 9 | 3 | 5 | 22:14 | 30 |
| ოლიმპიკი | 17 | 8 | 1 | 8 | 25:30 | 25 |
| ამერი | 17 | 5 | 4 | 8 | 16:18 | 19 |
| მთ. გლობუსი | 17 | 4 | 0 | 13 | 18:35 | 12 |
| იმედი | 17 | 0 | 1 | 16 | 6:50 | 1 |

### აღმოსავლეთი ზონა

**მე-17 ტური**

ოლიმპი 2 0:0 ლოკომოტივი
ოლიმპი 0:1 ნორჩი დინამო
ერთობა 1:2 სიონი
ავაზა — ვიტ ჯორჯია გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპი | 17 | 14 | 1 | 2 | 73:13 | 43 |
| ნ. დინამო | 17 | 12 | 3 | 2 | 50:10 | 39 |
| ვიტ ჯორჯია | 16 | 10 | 2 | 4 | 40:22 | 32 |
| სიონი | 17 | 7 | 4 | 6 | 23:41 | 25 |
| ერთობა | 17 | 6 | 4 | 7 | 22:28 | 22 |
| ლოკომოტივი | 17 | 4 | 3 | 10 | 17:27 | 15 |
| ოლიმპი 2 | 17 | 2 | 2 | 13 | 16:57 | 8 |
| ავაზა | 16 | 0 | 5 | 11 | 9:52 | 5 |

## 1992 წელს დაბადებულები

### დასავლეთი ზონა

**მე-17 ტური**

მესხეთი 0:1 ზესტაფონი
ბორჯომი 0:2 ბათუმი
დილა 1:0 სპარტაკი
მგლები — მართვე გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დილა | 17 | 16 | 0 | 1 | 61:13 | 48 |
| მგლები | 16 | 11 | 1 | 4 | 33:24 | 34 |
| ზესტაფონი | 17 | 8 | 5 | 4 | 36:19 | 29 |
| მართვე | 16 | 8 | 3 | 5 | 29:17 | 27 |
| სპარტაკი | 17 | 6 | 3 | 8 | 21:34 | 21 |
| ბათუმი | 17 | 4 | 3 | 10 | 22:32 | 15 |
| ბორჯომი | 17 | 3 | 1 | 13 | 14:42 | 10 |
| მესხეთი | 17 | 3 | 0 | 14 | 18:53 | 9 |

### ცენტრალური ზონა

**მე-17 ტური**

ოლიმპიკი 3:1 იმედი
ამერი 5:0 თ. ს. აკადემია
დინამო 0:1 35-ე სკოლა
მთ. გლობუსი — მერანი გად.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 17 | 12 | 4 | 1 | 52:8 | 40 |
| 35-ე სკოლა | 17 | 11 | 3 | 3 | 41:18 | 36 |
| მერანი | 16 | 8 | 4 | 4 | 35:16 | 28 |
| მთ. გლობუსი | 15 | 7 | 2 | 6 | [illegible] | 23 |
| ოლიმპიკი | 17 | 6 | 3 | 8 | [illegible] | 21 |
| ამერი | 17 | 6 | 2 | 9 | 32:31 | 20 |
| თ. ს. აკადემია | 17 | 3 | 3 | 11 | 12:43 | 12 |
| იმედი | 16 | 2 | 1 | 13 | 15:49 | 7 |

### აღმოსავლეთი ზონა

**მე-17 ტური**

ოლიმპი 3:1 ნორჩი დინამო
ოლიმპი 2 1:1 ლოკომოტივი
ერთობა 0:3 სიონი
ავაზა — ვიტ ჯორჯია გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპი | 17 | 14 | 1 | 2 | 32:7 | 43 |
| ლოკომოტივი | 17 | 10 | 4 | 3 | 38:14 | 34 |
| ავაზა | 16 | 10 | 2 | 4 | 28:22 | 32 |
| ოლიმპი 2 | 17 | 7 | 5 | 5 | 23:22 | 26 |
| ვიტ ჯორჯია | 16 | 7 | 4 | 5 | 34:26 | 25 |
| ნ. დინამო | 17 | 6 | 1 | 10 | 30:41 | 19 |
| სიონი | 17 | 3 | 0 | 14 | 15:54 | 9 |
| ერთობა | 17 | 1 | 1 | 15 | 17:71 | 4 |



# ეს საშინელი „რა ხდება"!



**„ლივერპულის"** მწვრთნელი რაფა ბენიტესი სასწრაფოდ ითხოვს მსაჯებთან შეხვედრას. სალაპარაკოაო.

მიზეზი, ბუნებრივია, ყველასათვის ცხადი გახლავთ: ბენიტესს არ სურს, რომ მომავალშიც განმეორდეს ის, რაც გასულ შაბათს „მანჩესტერ იუნაიტედისა" და „ლივერპულის" შეხვედრის დროს მოხდა — მერსისაიდელთა არგენტინელი ნახევარმცველის, ხავიერ მასკერანოს გაძევებას ვგულისხმობთ.

დღეს უკვე ცნობილია, რომ მასკერანოს მსაჯთან კამათისა და დაუმორჩილებლობისთვის ხანგრძლივ დისკვალიფიკაციას და ჯარიმას მიუსჯიან. მატჩი ტელევიზიით გადაიცემოდა და ყველამ საკუთარი თვალით ნახა, როგორ აკავებდნენ მასკერანოს თანაგუნდელები, კლუბის სხვა თანამშრომლები და თვით ბენიტესიც კი — მსაჯმა სტივ ბენეტმა წითელი ბარათი რომ ამოუღო, ის მოედნიდან არ გადიოდა.

ამასთან დაკავშირებით ბენიტესმა განაცხადა, რომ მისი ფეხბურთელი, რასაკვირველია, შეცდა, მაგრამ არც მსაჯების მხრიდან არის სწორი, ისეთი მარტივი შეკითხვის გამო, როგორიც არის „რა ხდება?", ადამიანი მოედნიდან გააგდონ.

ასე და ამგვარად, ბენიტესი ინგლისელ მსაჯთა უფროსთან, კით ჰეკეტთან ითხოვს შეხვედრას.

„მინდა მასთან ვილაპარაკო, რადგან გამოსავლის მოძებნა აუცილებელია. „ლივერპულში" ფეხბურთს, წესებს და მსაჯებს პატივს ვცემთ. ნუ დაგავიწყდებათ, რომ მასკერანო პირველი ლივერპულელია, რომელიც მიმდინარე სეზონში მსაჯმა მოედნიდან გააძევა" — განაცხადა მერსისაიდელთა ესპანელმა თავკაცმა.

შეგახსენებთ მოვლენათა თანმიმდევრობას: არგენტინელი ნახევარმცველი პოლ სქოულზის წინააღმდეგ უხეშობისთვის თამაშის დასაწყისშივე გააფრთხილეს, ტაიმის მიწურულს კი მსაჯთან მეექვსედ (!) საკამათოდ, 20 მეტრის იქიდან გამოენთო, რაც უკვე წითელ ბარათად დაუჯდა.

წითელი ბარათის გამო მასკერანოს ერთი თამაშის გამოტოვება ავტომატურად უწევს, სადისციპლინო კომიტეტმა სულ რომ არ განიხილოს საქმე. ეს იმას ნიშნავს, რომ არგენტინელი უახლოეს ტურში მერსისაიდულ დერბიში ვერ მიიღებს მონაწილეობას, ხოლო, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ფეხბურთის ასოციაციიდან გამოსული ხმათა თანახმად, მას კიდევ ორი თამაშის გამოტოვებას აიძულებენ.

ხავიერ მასკერანოს ნორვეგიელი თანაგუნდელი იონ არნე რიისე ამბობს:

„მასკერანო თამაშის დაძაბულობისგან აღუღდა, მაგრამ რაც იყო, იყო, ახლა მან ჭკუა უნდა ისწავლოს. ის ჩინებული ფეხბურთელია, რომელსაც „ლივერპული" და გამარჯვება უყვარს, თუმცა, იმ დღეს ზედმეტი მოუვიდა".

„ლივერპულის" ლეგენდა იან რაშში კი, ამასობაში, თავის ყოფილ გუნდს „ევერტონთან" ბრძოლის წინ ამხნევებს:

„ჩემი გუნდისთვის ეს საუკეთესო შანსია. გამარჯვების შემთხვევაში ბიჭებს შეუძლიათ, კვლავ ნაცნობ უმაღლესი ადგილებისთვის ბრძოლაში. მერსისაიდულ დერბიზე უკეთესი გამოიზიანებელი რაღა გინდა? ამ შეხვედრაში გამარჯვება ხომ შემდგომი კვირის ჩემპიონთა ლიგის ორომტრიალში რიხით შესვლას ნიშნავს. მთავარია, დავივიწყოთ, რაც „მანჩესტერ იუნაიტედთან" შეხვედრაში მოხდა და მომავალ გამარჯვებებზე ვიფიქროთ".

**პაპუნა კედია**

# ქორწილია, ქორწილი!

**ამ ზაფხულს** უეინ რუნი წონაში გვარიანად დაიკლებს, ოღონდ, ინგლისელ ქომაგთა სამწუხაროდ, ეს ევროპის ჩემპიონატზე კი არა, სამხრეთ საფრანგეთში დანიშნულ ოთხდღიან ქორწილზე გაუთავებელი ცეკვისა და ღრეობის გამო მოხდება. როგორც გაზეთი „სანი" იუწყება, „მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდი და მისი საცოლე კოლინ მაკლაფლინი ამ „ექსტრავაგანცაში" 3 მილიონ გირვანქას იხდიან. წესით, თანხამ დაბნეულობა არ უნდა გამოიწვიოს, მაგრამ მაინც დავაზუსტოთ: 3 მილიონი გირვანქა 5,99 მილიონი ამერიკული დოლარი ან 3,84 მილიონი ევროა.

თუ მიგაჩნიათ, რომ ასეთი თანხის ოთხ დღეში გადახდა რაიმეთი საინტერესოა, განვაგრძოთ: 10 ივნისს ქორწილში დაპატიჟებულ 60 ოჯახს ბრიტანეთიდან ლაჟვარდოვან სანაპიროზე კერძო თვითმფრინავებით გადაიყვანენ. ცნობილია, რომ კოლინმა საქორწილო ადგილი იტალიასა და საფრანგეთში თვეობით სიარულის შემდეგ მოძებნა — აი, ასე ძნელია ქვისმთლელისა და ბაგა-ბაღის გამზრდელის ოჯახში 22 წლის წინ დაბადებული ლივერპულელი ქალის მაღალი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. როგორც ჩანს, ამას თვით საფრანგეთისა და იტალიის საუკეთესო სასახლეებიც კი ვერ ახერხებენ, თუმცა ის, რომ კონკრეტული ადგილი მაინც არავისთვის არის ცნობილი, უფრო იმის ბრალი უნდა იყოს, რომ კოლინს დეტალების გახმაურება არ სურს. ერთადერთი ხალხი, ვინც ზუსტად იცის, რომელ კოშკში თუ ღრუბელზე გაიმართება ქორწილი, ოჯახის რამდენიმე წევრი და ის მანჩესტერული ფირმაა, რომელმაც კოლინისთვის ეს ღრუბელი შეარჩია.

სტუმრებს, რომელთა შორის არიან მოკრივე რიკი ჰეტონი და „მანჩესტერ იუნაიტედის" ვარსკვლავები ცოლებითა და მეგობარი გოგონებით, ამთავითვე შეატყობინეს, რომ 10-14 ივნისს არაფერი უნდა დაგეგმონ. ეჭვია, რომ საკუთრივ ჯვრისწერა 12 ივნისს გაიმართება, თუმცა ამის შესახებ სტუმრებს წინასწარ არაფერი ეცოდინებათ. ამბობენ იმასაც, რომ თავიდან სტუმრებს თეთრი ან შავი ტანსაცმელი ეცმევათ — ინგლისში არის დროსტარების ასეთი ტრადიცია, „შავ-თეთრი წვეულება" ჰქვია.

წყვილთან დაახლოებულმა ადამიანმა „სანის" ჟურნალისტებს მოუთხრო:

„ზეიმის რამდენიმე დღეზე გაჭიმვა კოლინის იდეაა. მან ეს იმიტომ მოიფიქრა, რომ ხალხი შორიდან არის ჩამოსასვლელი. მერედა, ვინაიდან ამინდის დაახლოებით წინასწარმეტყველება შეიძლება, პროგრამაში ბევრი ისეთი რამ არის, ღია ცის ქვეშ რომ უნდა ჩატარდეს. კოლინი და უეინი იმ ადგილებში ხშირად ისვენებენ, ასე რომ, მათთვის იქაურობა თავისი ამინდით და ბევრი სხვა წვრილმანით კარგად არის ნაცნობი".

და რა არის ნებისმიერ ქორწილში მნიშვნელოვანი? პატარძლის კაბა. კოლინი ნიუ იორკის მოდების სახლ Marchesa-ს 100 000-გირვანქიან კაბას უკვეთავს. ცნობილია, რომ რუნის გულის სწორი კაბისა და მასზე გაბნეული სპილოს ძვლის მორთულობების მისაზომებლად რამდენჯერმე ჩაფრინდა ამერიკაში.



**პაპუნა კედია**



# შვიდი ფინალი

**პატრის ევრამ** „მანჩესტერ იუნაიტედის" ბიჭებს ასე უთხრა: „ზეიმამდე ჯერ შვიდი ფინალი გვაქვს სათამაშო".

„იუნაიტედმა", შაბათს, „ლივერპულის" 3:0 ძლევით პრემიერლიგის ტიტულისკენ დიდი ნაბიჯი გადაგა, მაგრამ არის კი ამით ყველაფერი დამთავრებული?

ევრამ, რომელიც საფრანგეთის ნაკრებში იყო გამოძახებული (ფრანგები კი გუშინ სწორედ ინგლისელებს ეთამაშნენ), განაცხადა:

„ლივერპულის წინააღმდეგ მართლაც დიდი თამაში გვქონდა და მისი მოგებით ყველანი ბედნიერები დავრჩით. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ეს დიდებული რამ გახლდათ, მაგრამ ჩემპიონატის დასრულებამდე კიდევ შვიდი ტურია და შვიდივე თამაში ფინალის ტოლფასი გახლავთ".

და ამის პასუხად ხმა ვინ ამოიღო, თუ იცით? ბირმინგემის „ასტონ ვილას" ნახევარმცველმა კრეიგ გარდნერმა, რომელიც ევრასა და კომპანიას ამ შაბათს „ოლდ ტრაფორდზე" უნდა დაუპირისპირდეს.

„უამრავი ადამიანი დარწმუნებულია, რომ ჩვენ „მანჩესტერ იუნაიტედთან" ვერაფერს გავხდებით, მაგრამ ეს ხალხი „ვილას" მენტალიტეტს არ იცნობს. ჩვენ „ოლდ ტრაფორდზე" ერთადერთი მიზნით, სამი ქულის მოსაპოვებლად გავალთ" — განაცხადა იმ გუნდის ვარსკვლავმა, რომელმაც ამ სეზონში „ჩელსისთან", „ლივერპულსა" და „არსენალთან" უკვე ითამაშა ფრე.

**პაპუნა კედია**

# ბარსელონა აჩრდილმა შეაშფოთა



რა ელის რონალდინიოს?

**რონალდინიოს** მოედანზე უსუსურობა „ბარსელონას“ მმართველი საბჭოს შეშფოთების პირველი მიზეზი გამხდარა. სამშაბათს კატალონიური გრანდის თავკაცებმა გუნდის საჭირბოროტო საქმეებზე მოითათბირეს და „რონალდინიოს ფაქტორზეც“ ყველაზე დიდხანს ისაუბრეს. ცხადია, „ბარსას“ დირექტორატის არცერთ წევრს არ მოსწონს ის, რაც გაუჩოს თავს ხდება — ერთ დროს კატალონიელთა სალოცავი ფეხბურთელი მოედანზე ძველი რონის აჩრდილად იქცა, ხოლო პირად ცხოვრებაში დისკოთეკებში ღამეული ლაშქრობების ტრფიალად მოგვევლინა. „ბარსელონას“ განვითარებაში ბრაზილიელის დღევანდელი წილი პრაქტიკულად ნულის ტოლია.

ალბათ, თქმა არ უნდა იმას, რომ რონის დაბრუნება ხალხში მრავალ ეჭვს და ჭორს ბადებს. ამიტომაც მოუწოდა „ბარსას“ ერთ-ერთმა ვიცე-პრეზიდენტმა მარკ ინგლამ მმართველ საბჭოს წევრებს, მედიასთან რონალდინიოზე საუბრისგან ჯერ-ჯერობით თავი შევიკავოთ, ყოველი ჩვენი სიტყვა შეიძლება დებატების და ჭორების კოცონზე დამატებული ნავთი გამოდგესო.

მოგეხსენებათ, „ბარსელონა“ ესპანურ პრიმერაშიც „ცოცხალია“ და ჩემპიონთა ლიგაზეც. გუნდი ორივე ტურნირში საჩემპიონო შანსებს ინარჩუნებს და ახლა ბრაზილიელთან „ცივი ომი“ უგუნური იდეა იქნება. მარკ ინგლაც და სხვებიც რონალდინიოს საკითხზე პოლემიკის გამწვავების სასტიკი წინააღმდეგნი არიან. აი, როცა სეზონი დამთავრდება, მერე ალბათ უკვე სხვანაირად იმსჯელებენ.

ფრანკ რაიკარდზეც ბევრი რამაა დამოკიდებული. საერთოდაც, რონალდინიოს ბარსელონური ბედის განმსაზღვრელი ჰოლანდიელი მწვრთნელი იქნება. თუ რაიკარდი იტყვის, რომ „კიჭა“ „კამპ ნოუზე“ უნდა დატოვონ, დირექტორატი (კატალონიური „სპორტის“ ვერსიით) ერთხელ კიდევ წავა დათმობაზე და აჩრდილად ქცეულ ვარსკვლავს გუნდში შეინარჩუნებს. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, ანუ თუ ფრანკი დისციპლინაშესუსტებულ შეგირდზე უარს განაცხადებს, შანსი იმისა, რომ ბრაზილიელს გაისადაც „ბარსას“ ფორმაში ვიხილავთ, მიზერული იქნება.

ასე თუ ისე, რონის სამომავლოდ სამი ბანალური ვარიანტი აქვს დარჩენილი. პირველი — „ბარსა“ ბრაზილიელს 2007-08-ის კამპანიის დასრულს სხვა კლუბში გაასხვისებს. მეორე — რონალდინიოს თავისუფალი აგენტის სტატუსს მისცემენ და მესამე — გაუჩო „კამპ ნოუს“ გუნდთან კონტრაქტს ბოლომდე, ანუ 2010 წლის 30 ივნისამდე მოასრულებს.

დავუშვათ, „ბარსამ“ პირველი ვარიანტი, ანუ რონის გაყიდვა გადაწყვიტა. რომელი ევროპული გრანდი მოინდომებს ფერგახუნებული ვარსკვლავის ხელში ჩაგდებას? მილანიდან და ლონდონიდან ყოველდღიური სატელეფონო ზარები უკვე შეწყდა და ბრაზილიელის დასუსტებამაც მისი სატრანსფერო ღირებულება ფრიად შეამცირა. შორეული წარსულივით ჩანს ის დრო, „ჩელსი“ რონალდინიოში 60 მილიონი ევროს გადახდას რომ აპირებდა. გაუჩოთი ვაჭრობა „ბარსელონასთვის“ სასურველ შემოსავალს დღეს ნამდვილად ვერ მოიტანს.

თავისუფალი აგენტის სტატუსი? ფეხბურთელის ძმის და აგენტის, რობერტო დე ასისის სურვილიც ეს არის. სატრანსფერო გარიგებათა ცეცხლში ნაწრთობ რობერტოს უნდა, რომ „ბარსელონადან“ „გამოისყიდოს“, რათა ხელ-ფეხი გაეხსნას და მერე მავან ახალ კლუბს თავისუფლად მოელაპარაკოს.

მსგავსი ისტორია უკვე დატრიალდა „კამპ ნოუზე“. 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ კატალონიელთა ოდინდელი ლიდერი რივალდო „მილანმა“ უფასოდ ჩაიგდო ხელში. „ბარსელონას“ მაშინდელმა პრეზიდენტმა გასპარმა უფრო მართებულად ჩათვალა, ბრაზილიელი გაესხვისებინა, ვიდრე ასტრონომიული ხელფასი გადაეხადა მისთვის.

რონალდინიოსაც ალბათ ამ გზას გაუყენებენ („მილანს“ არ ვგულისხმობთ). თუ რამე სასწაული არ მოხდა, ბრაზილიელი „მკვდრეთით აღდგომა“ არ შედგება და „ბარსელონას“ ფანებსაც აჩრდილად ქცეული კაცის კიდევ ორი სეზონის განმავლობაში ყურება ჭკუიდან შეშლის. წლეულს რონის და „ბარსას“ განშორება ალბათ ორივესთვის სასიკეთო იქნება...

**ლადო ხომერიკი**

# ჟულიო სეზარს ინტერის ეშინია



**მილანის** „ინტერის“ მეკარემ ჟულიო სეზარმა განაცხადა, რომ კლუბის ამჟამინდელი სათამაშო ფორმა ძალიან აშინებს. ბრაზილიელს ამის საფუძველი ნამდვილად აქვს, რადგან „ნერაძური“ ბოლო პერიოდში მართლაც ცუდად გამოიყურება. „რომასთან“ სხვაობა უკვე 4 ქულამდე შემცირდა და მილანელები თითქოს განაღდებული სკუდეტოს დაკარგვის საშიშროების წინაშე დგანან.

„დღეს „რომა“ ბრწყინვალე ფორმაშია, მაგრამ პირადად მე ის კი არა, „ინტერი“ მაშინებს. ფაქტია, სკუდეტო ჩვენია და მას ან ზედიზედ მესამედ მოვიგებთ, ან დავკარგავთ, ყველაფერი ჩვენს ხელშია და არა რომელიმე სხვა კლუბის. ამიტომ სიმშვიდე უნდა შევინარჩუნოთ და ბოლომდე ვიბრძოლოთ. მაქსიმალური ყურადღებაა საჭირო. ეს ადვილი არ არის, მაგრამ წარმატება იოლად არ მოდის“ — განაცხადა სეზარმა.

შეგახსენებთ, რომ მომავალ უქმეებზე „ინტერს“ „ლაციოსთან“ ელის მძიმე სტუმრობა.

**კოკი კანდელაკი**

## ამელიამ ვალენსია იცის

**„ლივორნოს“** მეკარემ მარკო ამელიამ დაადასტურა, რომ მისი შეძენით „ვალენსია“ დაინტერესდა. „მათი ინტერესის შესახებ ვიცი და სეზონის დასრულების შემდეგ მოლაპარაკებას დავიწყებთ. „ვალენსიადან“ ტიმო ჰილდებრანდის წასვლის შემთხვევაში ესპანურ კლუბში ჩემი გადასვლა სავსებით რეალურია. ვიმედოვნებ, რომ „ლივორნოს“ პრეზიდენტი ალდო სპინელი ტრანსფერის წინააღმდეგი არ იქნება“ — თქვა იტალიელმა მეკარემ.

## გალას ქომაგი დაუმალეს

**თურქეთის** ჩემპიონატის მომდევნო ტურში „გალათასარაი“ „გაზიანთეფს“ გულშემატკივრების გარეშე უმასპინძლებს. სადისციპლინო კომიტეტმა სტამბოლურ კლუბს ცარიელი ტრიბუნების თანხლებით თამაში იმიტომ მიუსაჯა, რომ 15 მარტს „ანკარასპორთან“ მატჩში „გალას“ ქომაგები ცუდად მოიქცნენ. „გალათასარაი“ 60 ქულით ცხრილში მეორე ადგილზეა, „გაზიანთეფი“ კი მეთორმეტეზე.

## ტრინიდადი ავადაა

**ზეგ** „ვესტ ჰემთან“ საშინაო მატჩში „სანდერლენდს“ ორი ტრინიდადელი ლეგიონერი დააკლდება — ნახევარმცველი კარლოს ედვარდო და ფორვარდი კენუაინ ჯონსი. ტრინიდადელი ფეხბურთელები ნაკრებშიც იყვნენ გამოძახებულნი ამხანაგური შეხვედრისთვის, მაგრამ ტრავმის გამო ვერ წავიდნენ. ედვარდს საზარდული სტკივა, ჯონსს კი გრიპი შეჰყრია.

## ბორუცი არ გააგრძელებს

**პოლონეთის** ნაკრების მეკარე არტურ ბორუცი „სელტიკთან“ კონტრაქტის გახანგრძლივებას აღარ აპირებს. 28 წლის პოლონელს ხელშეკრულება სეზონის ბოლოს ეწურება და გუნდის გამოცვლა სურს.

„სელტიკში“ პრობლემები არ მაქვს, მაგრამ მინდა, სხვა გუნდშიც გამოვცადო თავი — თქვა ბორუცმა — ევროპის რომელიმე დიდმა კლუბმა გადასვლა თუ შემომთავაზა, რატომ უნდა ვიუარო?“

## ლუნდეკვამმა დაასრულა

**ნორვეგიის** ნაკრების ყოფილმა მცველმა კლაუს ლუნდეკვამმა კარიერა დაასრულა. 35 წლის ფეხბურთელს ფეხზე ოპერაცია ხელმეორედ გაუკეთეს და ჩრდილოელი იმედოვნებდა, რომ თამაშს გააგრძელებდა, მაგრამ ტკივილმა კვლავ შეაწუხა. ბოლოს ლუნდეკვამი „საუთჰემპტონში“ იყო, რომლის შემადგენლობაშიც 357 მატჩი ითამაშა. მან ნაკრების მაისური 40-ჯერ მოირგო და ეროვნული გუნდიდან 2005 წლის სექტემბერში წავიდა.

## კუზმანოვიჩი ინგლისიდან მოიკითხეს

**„ფიორენტინას“** სერბი ნახევარმცველის, ზდრავკო კუზმანოვიჩის ყიდვა „არსენალს“ და „ნიუკასლს“ სურთ. „სანის“ ცნობით, 20 წლის ფეხბურთელს ორივე პრემიერლიგურმა კლუბმა უკვე შესთავაზა გადასვლა, სერბს კი არჩევანი ჯერ არ გაუკეთებია. ზდრავკო კუზმანოვიჩი სერია A-ში შარშან ზაფხულს „ბაზელიდან“ გადავიდა. „სანი“ იმასაც წერს, რომ „არსენალის“ და „ფიორენტინას“ შეფები მალე ერთმანეთს შეხვდებიან ფეხბურთელის ტრანსფერზე მოსალაპარაკებლად.

## ორივე ხურდაში

**მადრიდის** „რეალმა“ „სამპდორიას“ სამი ფეხბურთელის შეძენა შესთავაზა. ერთი — ანტონიო კასანო — მადრიდულმა კლუბმა გენუურს შარშან ათხოვა და მისი კონტრაქტის გამოსყიდვაზე ვაჭრობა კვლავ გრძელდება. ამ ვაჭრობის დროს „რეალმა“ გარიგებაში კიდევ ორი ფეხბურთელი ჩართო — როისტონ დრენტე და ხავიერ სავიოლა, რომლებიც ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდებიან.

## ჰანემანს ფული ეცოტავა

**„რედინგის“** მეკარემ მარკუს ჰანემანმა კონტრაქტის გახანგრძლივება იუარა. 35 წლის ამერიკელ გოლკიპერს ხელშეკრულების ერთი წლით გაგრძელება შესთავაზეს, მაგრამ პირობები არ მოეწონა. „მარკუსს ჯამაგირი ეცოტავა, მაგრამ მე ვერაფერს შევცვლი — თქვა „რედინგის“ მწვრთნელმა სტივ კოპელმა — ისედაც საკმაოდ სარფიანი კონტრაქტი გავუმზადეთ და ხელფასს ველარ მოვუმატებთ“.

## რა მინდა რუსეთში?

**„ზენიტის“** ნორვეგიელ მცველ ერიკ ჰაგენს, რომელიც „უიგანშია“ განათხოვრებული, რუსეთში დაბრუნება აღარ სურს და ინგლისში დარჩენას აპირებს. „უიგანში“ ყველაფრით კმაყოფილი ვარ, მიუხედავად იმისა, რომ სულ სამი მატჩი ვითამაშე — თქვა ჰაგენმა — აქ რუსეთზე გაცილებით უკეთესი პირობებია, მოედნებით დაწყებული, ქვეყნით დამთავრებული“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ტერი-ტორია დაიცალა

**ვფიქრობთ,** გამგებმა უნდა გაიგოს: ჯონ ტერიმ, მაგალითად, შეიტყო, რომ ინგლისის ნაკრების კაპიტანი ამიერიდან ის კი არა, რიო ფერდინანდია.

რა ხდება?

როგორც ამბობენ, ინგლისელთა იტალიელმა მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ „ჩელსის“ მცველს საფრანგეთთან გუშინდელი ამხანაგური მატჩის წინ გაკვეთილი ჩაუტარა. ისე, როდესაც კაპიტნის შეცვლის მიზეზი ჰკითხეს, მან უპასუხა:

„ჩემი გადაწყვეტილებების გამო ვინმეს წინაშე თავის მართლება საჭიროდ არ მიმაჩნია. ჩვენ, ყველანი, ინგლისის ნაკრების წევრები ვართ და საზოგადოების თვალში აუცილებლად სამაგალითონი უნდა ვიყოთ. მეტიც, ამას რომ ვამბობ, მარტო ქუჩაში ქცევას კი არ ვგულისხმობ, მხედველობაში, უპირველეს ყოვლისა, მატჩების დროს მსაჯებისა და სხვა ფეხბურთელების მიმართ დამოკიდებულება მაქვს. ვფიქრობ, რაც ბოლო ხანს დავკარგეთ, ის უნდა დავიბრუნოთ“.

ალბათ, გასაგებია, თუ რა იგულისხმა ინგლისელთა თავკაცმა: „ჩელსისა“ და „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ წინა კვირის შეხვედრაში ჯონ ტერიმ მსაჯს, რომელიც მას აჯარიმებდა, უპატივცემულოდ შეაქცია ზურგი, რაც მთელი ინგლისის მსჯელობის საგანი გახდა.

კაპელო: „კაპიტანი ის პიროვნება უნდა იყოს, დანარჩენი ფეხბურთელებისთვის მიბაძვის საგანი რომ იქნება. სწორედ მას უნდა უყურებდნენ თამაშებისა თუ ვარჯიშების დროს. რასაკვირველია, იმედი მაქვს, რომ ჯონ ტერი სწორედ ასეთი იქნება ცხოვრებაში, ქუჩაში, გარშემო. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. აქ მარტო ინგლისის ნაკრების კაპიტანზე არ არის ლაპარაკი, ზოგადად სპორტსმენი უნდა იყოს სამაგალითო, რადგან მას ახალგაზრდობა უყურებს“.

შევახსენებთ, რომ „ჩელსის“ კაპიტანმა ინგლისის ეროვნული გუნდის კაპიტნის სამკლავური სტივ მაკლარენის მწვრთნელობის ეპოქაში მოირგო. ეს 2006 წლის აგვისტოში მოხდა და მას მერე ტერის კაპიტნობით ინგლისელებმა 13 შეხვედრა ჩაატარეს.

მაკლარენის მოხსნისა და მის თანამდებობაზე სტივ მაკლარენის დანიშვნის შემდეგ, ინგლისელებს ჯერჯერობით ერთი თამაშის ჩატარება მოუხდათ. ეს იყო თებერვალში, შვეიცარიის წინააღმდეგ, ოღონდ მაშინ ტერი დაშავებული იყო და სამკლავური სტივენ ჯერარდმა გაიკეთა.

საბოლოოდ, რა გამოვიდა, ამიერიდან ინგლისი ნაკრებს სხვა კაცი უკაპიტნებს?

კაპელო: „აგვისტომდე კაპიტნებს შევცვლი, აგვისტოში კი მუდმივს დავასახელებ. აქედან გამომდინარე, ჯონ ტერის სამკლავურის კვლავ მორგების შესაძლებლობა, დიახაც, აქვს“.

და, რაც ყველაზე საინტერესოა, კაპელოს გადაწყვეტილება „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაცმა ალექს ფერგიუსონმაც მოიწონა.

„რიოსგან ინგლისის ნაკრების დიდებული კაპიტანი გამოვა. მერწმუნეთ, კაპიტნად რომ არ ვარგოდეს, „მანჩესტერ იუნაიტედის“ სამკლავურს არ მივცემდი“.

**კაკუნა ძიძია**




ფაბიო კაპელო კაპიტანს
აგვისტოში დაასახელებს

## ლიბერტადორესის თასი 2008

I ჯგუფი. IV ტური

სან ლორენსო 1:0 რეალ პოტოსი

1:0 ა. გონსალესი (29)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრუზეირო (ბრაზილია) | 4 | 2 | 2 | 0 | 7:1 | 8 |
| კარაკასი (ვენესუელა) | 4 | 2 | 1 | 1 | 5:5 | 7 |
| სან ლორენსო (არგენტინა) | 4 | 2 | 1 | 1 | 4:4 | 7 |
| რეალ პოტოსი (ბოლივია) | 4 | 0 | 0 | 4 | 3:9 | 0 |

III ჯგუფი. IV ტური

მარაკაიბო 1:1 ატლასი

0:1 ბ. მარიონი (57პ), 1:1 დ. ფიგეროა (80პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლასი (მექსიკა) | 4 | 2 | 1 | 1 | 7:4 | 7 |
| კოლო კოლო (ჩილე) | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| მარაკაიბო (ვენესუელა) | 4 | 0 | 2 | 2 | 3:8 | 2 |

IV ჯგუფი. IV ტური

კორონელ ბოლონიესი 0:0 სიენსიანო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიენსიანო (პერუ) | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 |
| ფლამენგო (ბრაზილია) | 4 | 2 | 1 | 1 | 4:4 | 7 |
| ნასიონალი (ურუგვაი) | 4 | 2 | 0 | 2 | 5:4 | 6 |
| კორონელ ბოლონიესი (პერუ) | 4 | 0 | 2 | 2 | 0:2 | 2 |

# საფეხბურთო ლეგენდები

**გიორგი კაკაბაძე**




### ლეგენდა №5:

## შენ არასოდეს იქნები მარტო

ინგლისში ამ სიმღერის ყველაზე პოპულარული ვერსია 1963 წელს ჩაიწერა ჯგუფ „Gerry & The Pakemarkers“-ის მიერ. ეს ვოკალური კომპოზიცია ასევე შესრულებული აქვთ ფრენკ სინატრას, ელვის პრესლის, რეი ჩარლზს, დორის დეის, ტომ ჯონსსა და სხვა ცნობილ შემსრულებლებს.

ეს სიმღერა მალევე იქცა ინგლისის ყველაზე ტიტულიანი კლუბის, „ლივერპულის“ ჰიმნად და სლოგანად. მერსისაიდელთა ქომაგები მას ძალიან ხშირად მღერიან. ფრაზა „You'll Never Walk Alone“, ანუ „შენ არასოდეს იქნები მარტო“ კი კლუბის გერბზეც არის და „ენფილდ როუდზე“ შესასვლელთან „შენკლის კარიბჭეზეც“ წერია (ბილ შენკლი „ლივერპულის“ ისტორიაში გამორჩეული მწვრთნელია).

1989 წელს შეფილდის „ჰილსბოროზე“ „ნოტინგემ ფორესტთან“ ინგლისის თასის ნახევარფინალური მატჩისას „ლივერპულის“ 96 ფანი ტრაგიკულად დაიღუპა, 200-ზე მეტი კი დაშავდა. დაწყებიდან ექვს წუთში, შეხვედრა მსაჯმა შეწყვიტა.

ამ საშინელი ტრაგედიიდან რამდენიმე დღეში ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში ერთმანეთს „რეალი“ და „მილანი“ ხვდებოდნენ, მსაჯმა დაწყებიდან 6 წუთში თამაში შეწყვიტა, რათა ყველას წუთიერი დუმილით პატივი მიეგო დაღუპულთათვის. დაახლოებით 20 წამში მილანელმა ტიფოზებმა სიმღერა დაიწყეს — შენ არასოდეს იქნები მარტო...

### ლეგენდა №6:

## ჩემპიონთა თასის დაარსება

1955 წელს ინგლისურმა „ვულვერჰემპტონ უონდერერზმა“ ამხანაგურ მატჩებში სძლია საბჭოთა „სპარტაკსა“ და უნგრულ „ჰონვედს“. ამის შემდეგ ბრიტანულმა პრესამ „ვულვზი“ ევროპის საუკეთესო კლუბად გამოაცხადა. ამან ყველაზე დიდი პროტესტი საფრანგეთის ნაკრების ყოფილ ფეხბურთელსა და ცნობილი ფრანგული ჟურნალ „ეკიპის“ რედაქტორ გაბრიელ ანოში გამოიწვია.

ცოტა ხანში ანო და მისი ჟურნალი ინიციატივით გამოვიდნენ და იმდროინდელი ევროპის 20 უძლიერეს კლუბს „ევროპის ჩემპიონთა თასის“ გათამაშება შესთავაზეს. ინიციატივა თითქმის ყველამ მოიწონა და გადაწყდა, რომ პირველი გათამაშება 1955-56 წლების სეზონში გაიმართებოდა. თუმცა შემდგომში მასში მონაწილეობა მხოლოდ 16-მა გუნდმა მიიღო. მათ შორის არ იყვნენ ინგლისური და რამდენიმე სხვა ქვეყნის ძლიერი კლუბები, რომლებმაც სხვადასხვა მიზეზთა გამო განაცხადეს უარი გათამაშებაში მონაწილეობაზე ტურნირის ერთ-ერთი თავდაპირველი პირობა, რომლის თანახმადაც მასში მონაწილეობა მხოლოდ თავისი ქვეყნის ჩემპიონებს უნდა მიეღოთ, პირველივე წელს დაირღვა.

### ლეგენდა №7:

## ოქროს ქალღმერთი და ძველი ჩექმა

1938 წელს იტალიის ნაკრები ზედიზედ მეორედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. „ოქროს ქალღმერთი“ ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთ ხელმძღვანელ ოტორინო ბარასის ჩააბარეს.

როგორც იცით, მალე მთელ ევროპას ომი მოედო. ოქროზე დახარბებული ფაშისტები არაერთხელ „ესტუმრნენ“ ბარასის და მისი სახლი გადაქექეს, მაგრამ ამაოდ. საბოლოოდ მათ მაინც დაუჯერეს ბარასის, რომელიც ირწმუნებოდა, „ნიკე“ ჩემთან არ არისო, რადგან ქანდაკება მართლაც არსად ჩანდა.

1946 წელს ბარასიმ ქანდაკება ფიფა-ს პრეზიდენტ ჟიულ რიმეს დაუბრუნა. მთელი იმ ხნის განმავლობაში „ნიკე“ ბარასის სახლში ინახებოდა — საწოლის ქვეშ შეგდებულ ძირგახვრეტილ ჩექმაში.

### ლეგენდა №8:

## დეპეშა ელ გრაფიკოს

1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, არგენტინული „ელ გრაფიკოს“ ჟურნალისტმა ოსვალდო არისონდომ რედაქციაში გაგზავნა დეპეშა, რომელშიც 20 ათასი სიტყვა იყო. ტექსტი დაახლოებით 6 საათი იკრიფებოდა და თითო წუთი არისონდოს ერთი გირვანქა დაუჯდა.

აღსანიშნავია, რომ დეპეშა ეძღვნებოდა არგენტინისა და გფრ-ის ნაკრებთა ამხანაგურ მატჩს, რომელიც 0:0 დამთავრდა...

მოგვიანებით არისონდოს კოლეგები ეხუმრებოდნენ — ოსვალდო, რამხელა სტატიას დაწერდი, შენს თანამემამულეებს თუნდაც ერთი ბურთი რომ გაეტანათ? ამ შემთხვევაში „ელ გრაფიკო“ ალბათ გაკოტრდებოდაო...

# კაკა: რეალმა ოცნება მილანთან შეათანხმოს




**მადრიდის „რეალი" კაკაზე ოცნებას არ ეშვება, თუმცა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელმა ესპანურ რადიო „ონდა სეროსთან" ინტერვიუში კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ მისი სამომავლო ბედი ისევ „მილანს" უკავშირდება. თუ სილვიო ბერლუსკონიმ გადაწყვეტილება არ შეცვალა (რაც ნაკლებად მოსალოდნელია), მადრიდელები ოცნებას რეალობად ვერ აქცევენ**

**— „მილანის" ბოლო მატჩი ტრავმის გამო გამოტოვეთ. ფიზიკურად თავს როგორ გრძნობთ? ტრავმიანობით არასდროს გამოირჩეოდით...**

— ჰო, პრობლემა მქონდა, თუმცა ღვთის წყალობით, ყველაფერმა ჩაიარა და ახლა ჯანმრთელად ვარ. ტრავმები კი მართლაც „მერიდებიან", კარიერაში სერიოზულად არ დავშავებულვარ.

**— წარმომიდგენია, როგორ შეწუხდებოდით, როცა რონალდოს მძიმე ტრავმას ნახავდით...**

— საშინელება იყო. თუმცა არ დაგავიწყდეთ, რომ რონალდო ყველასთვის სამაგალითო ფეხბურთელია — უმძიმესი პრობლემები ადრეც გადაულახავს.

**— ელაპარაკეთ რონალდოს? გჯერათ, რომ იგი ფეხბურთის თამაშს ისევ შეძლებს?**

— რონალდოსთან კონტაქტი სულ მაქვს, რადგანაც ის ჩემი მეგობარია და ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ ფეხბურთს კვლავ ითამაშებს.

**— „მილანმა" ჩემპიონთა ლიგაში „არსენალთან" წააგო და თქვენი გუნდი სერია A-ს ცხრილშიც დღეს საჩემპიონთალიგო პოზიციაზე არ არის... „როსონერისთვის" ეს რთული პერიოდია?**

— დიახ, სიძნელეებს ვაწყდებით, თუმცა „მილანის" მსგავსი პრობლემების მოგვარების გამოცდილება უკვე აქვს. მჯერა, რომ ამ გამოცდასაც წარმატებით ჩავაბარებთ.

**— რადგან ლიგა ვახსენეთ, „არსენალსა" და სესკ ფაბრეგასზე რას იტყვით?**

— ამჟამინდელი „არსენალის" საიდუმლო ის არის, რომ ვენგერს ახალგაზრდა ტალანტებისგან შემდგარი გუნდი ჰყავს. სესკი დიდი ფეხბურთელია, ნახევარმცველი, რომელიც პირლოს მაგონებს. ვაღიარებ, ფაბრეგასმა საკმაოდ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, ის უკვე არის „არსენალის" ლიდერი.

**— ამ სეზონში ჩემპიონთა თასის და იტალიის ჩემპიონობის ვერმოგება „ოქროს ბურთისკენ" მიმავალ გზას გაგირთულებთ...**

— ინდივიდუალური ჯილდოების მიღება შენი გუნდის წარმატებაზე დიდად არის დამოკიდებული. ყველაზე მნიშვნელოვანი, ამ მხრივ, ჩემპიონთა ლიგის მოგებაა.

**— გრანდმა კლუბებმა, „რეალის" ჩათვლით, თქვენზე სატრანსფერო ნადირობა 2002 წელს გააჩაღეს, როცა „სანტიაგო ბერნაბეუზე" სამეფო გუნდის „სენტენარიოს" (შექმნიდან ასი წლისთავს) აღმნიშვნელ მატჩში ითამაშეთ...**

— ამ შეხვედრის შემდეგ მართლაც ყველამ მომაქცია ყურადღება, თუმცა ერთადერთი სატრანსფერო შემოთავაზება „მილანისგან" მივიღე და ჩემი ცხოვრებაც შეიცვალა. ევროპულ გრანდში მინდოდა თამაში და „მილანმა" ამის შესაძლებლობა მომცა.

**— „რეალი" მთელი ამ ხნის განმავლობაში კვალში გიდგათ. კაკას ხელში ჩასაგდებად მადრიდელებს რა შანსი აქვთ?**

— „სან სიროდან" ჩემი წასვლა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ „მილანისა" და „რეალის" პრეზიდენტები ამაზე ერთმანეთში შეთანხმდებიან. რამდენადაც ვიცი, მსგავსი ხელშეკრულება ჯერ არ არსებობს და მეც „მილანში" თავს ბრწყინვალედ ვგრძნობ. ქალაქის მიტოვებაც არ მინდა...

**— „რეალის" წარმომადგენლები თუ დაგიკავშირდნენ?**

— პირადად მე — არა, ჩემს აგენტს დაუკავშირდნენ და მან მადრიდელებს აუხსნა, რომ ჯერ საქმე „მილანთან" უნდა მოაგვარონ. თუ ამას შეძლებენ, მერე დავსხდეთ და ვილაპარაკოთ...

**— ახლა რონალდინიოს სამომავლო მილანელობაზეც საუბრობენ. თქვენ რას იტყვით ამის შესახებ?**

— თუ „მილანში" მოვა, კეთილი იყოს მისი მობრძანება. რონალდინიო დიდებული ფეხბურთელია.

# ომი სანჩეს პისხუანთან

**ბოლო** რამდენიმე სეზონია, პრიმერადივიზიონში „სევილიას" და „ატლეტიკოს" დაპირისპირება მეტწილად ინჩასთა შორის კელური შეხლა-შემოხლით მთავრდება. ეს ორი ბანაკი ერთმანეთს გადაეკიდა და, რაც დრო გადის, ერთმანეთს მით უფრო დაუნდობლად ექცევიან. გამონაკლისი არც შაბათს მომხდარა და სევილიური „სანჩეს პისხუანის" სტადიონის სიახლოვეს კარგა გვარიანი ჩხუბი გაიმართა.

მუშტი-კრივში ყველაზე დაზარალებული „ატლეტიკოს" მავანი ბეჩავი ულტრასი გამოდგა, რომელსაც გამხეცებულმა სევილიელებმა დაუნდობლად სცემეს. ვიღაცამ ეს სასაკლაო მობილურით გადაიღო და მერე ვიდეოგამოსახულება ინტერნეტში გაავრცელა.

სევილიელებმა ჯერ „ატლეტიკოს" ფანთა დაჯგუფება დაიფრინეს, მერე კი ხსენებულ ბეჩავს სულ ხელკეტებით და ქამრის ბალთებით დაუხეთქეს თავპირი. მადრიდელი ძირს ეგდო მაშინ, როცა ვიღაც მთვრალმა ანდალუზიელმა კიდევ ერთხელ ჩასცხო და მერე უღრიალა: „ამის შემდეგ ალბათ კარგად დაგვიმახსოვრებ!"

ჩხუბი ამით არ დასრულებულა. „ატლეტიკოს" გაქცეული ფანები დაბრუნდნენ, თავისიანის უბედურება ნახეს და შურიც იძიეს — ფეხში ხანჯალგაყრილი სევილიელი ინჩასი სასწრაფო დახმარების მანქანამ ჰოსპიტალში გააქანა... პოლიციამ კი ხულიგანთა დაკავება ვერ შეძლო.

**ლადო ხომერიკი**

## როტენი დაამუხრუჭეს

**პსჟ-ს** ნახევარმცველი ჟერომ როტენი სიჩქარის გადაჭარბებისთვის 1 500 ევროთი დააჯარიმეს და მართვის მოწმობა ხუთი თვით ჩამოართვეს. 4 თებერვალს როტენი პარიზიდან „პორშეთი" ფასიანი გზით მიდიოდა, რომელზეც 130 კმ/საათში სიჩქარისთვის არ უნდა გადაეჭარბებინა. ფეხბურთელი 232-ით მიქროდა და ქალაქ პონტ-ოდმერის პოლიციამ დააკავა. სასამართლოზე ადვოკატმა თქვა, რომ მისი კლიენტი ძალიან ნანობს, მაგრამ როტენს მონანიებამ არ უშველა.

## გულწასული მწვრთნელი

**ავსტრალიის** ნაკრების ჰოლანდიელმა მწვრთნელმა პიმ ვერბეეკმა პრესკონფერენციაზე გონება დაკარგა და საავადმყოფოში გააქანეს. ცხადია, პრესკონფერენცია გადაიდო და მოგვიანებით, როცა ვერბეეკი გონზე მოვიდა, ჟურნალისტების წინაშე ისევ წარდგა და თქვა, რომ თავს უკეთ გრძნობს. მსოფლიოს ჩემპიონატის (2010) შესარჩევ მატჩში გუშინ ავსტრალია ჩინეთს სტუმრად უგოლოდ დაუზავდა.

## მაკენკეზი და ბუტანა გაგიჟდნენ

**სამხრეთ აფრიკის** ნაკრების მწვრთნელმა კარლოს ალბერტო პარეირამ ქვეყნის პოლიტიკოსებს სთხოვა, რომ მის საქმეში ცხვირი არ ჩაყონ. სპორტის მინისტმა მაკენკეზი სტოფილემ ცოტა ხნის წინ თქვა, რომ ნაკრების 50-მა კანდიდატმა მთავრობასთან კონტრაქტი უნდა გააფორმოს და 2008 წლიდან თავ-თავიანთ კლუბებში აღარ ითამაშონ, სამშობლოში ჩავიდნენ და მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოემზადონ. პარლამენტარმა ბუტანა კომპელმაც დაუკრა კვერი. მაგრამ პარეირა გაბრაზდა: „კორიდაზე საუბარი ადვილია, ხართან ბრძოლა კი სხვაა. სად გინახავთ, კლუბი ფეხბურთელს ორი წლით ათავისუფლებდეს? ვერ წარმომიდგენია, რომ ფაბიო კაპელომ სტივენ ჯერარდი „ლივერპულს" წაართვას და მხოლოდ ნაკრებისთვის გამოიყენოს. ამის უფლებას ვინ მისცემს?!"

## ჰერენვენმა სოლიედი დაიბევა

**„ჰერენვენის"** მწვრთნელად ნორვეგიელი ტრონდ სოლიედი დანიშნეს და ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს. „რუსენბორგის", „ბრიუგესა" და „ოლიმპიაკოსის" ყოფილი თავკაცი ჰოლანდიურ კლუბს 1 ივლისიდან ჩაიბარებს. ამჟამად იგი „გენტშია" და სამწვრთნელო კარიერაში ხუთჯერ გამხდარა ჩემპიონი, ოთხჯერ კი თასი მოუგია. „ჰერენვენის" ახლანდელ თავკაც გერტ იან ვერბეეკს კონტრაქტი ივნისის ბოლოს ეწურება და მას „ფეიენოორდში" ეპატიჟებიან, საიდანაც ბერტ ვან მარვაიკი მიდის. იგი ივლისიდან ჰოლანდიის ნაკრებს უხელმძღვანელებს.

## ამსტერდამიდან მადრიდში

**„აიაქსისა"** და ჰოლანდიის ნაკრების მცველი ჯონი ჰეიტინგა მომავალი სეზონიდან მადრიდის „ატლეტიკოში" ითამაშებს. ფეხბურთელი ხუთწლიან კონტრაქტს გააფორმებს, კლუბები კი ტრანსფერის ფასზე ჯერ არ მორიგებულან. ჰეიტინგას „აიაქსთან" ხელშეკრულებაში უწერია, რომ მის სანაცვლოდ 10 მილიონ ევროზე მეტის მოთხოვნის უფლება არ აქვთ და „ატლეტიკოსაც" ალბათ ამდენის გადახდა მოუწევს. 24 წლის მცველს ნაკრებში 32-ჯერ უთამაშია, „აიაქსში" მისი დებიუტი კი 2001-ში შედგა, როცა 17 წლის იყო.

## ბოთლი 10 ათასად

**ღამის** კლუბში „ბოთლებით მოთამაშე" მარსელინიო კლუბმა 10 ათასი ევროთი დააჯარიმა. შეგახსენებთ, რომ „ვოლფსბურგის" ბრაზილიელ ლეგიონერს 44 წლის კაცმა უჩივლა — თავში ბოთლი ჩამარტყაო. „მარსელინიოს ვესაუბრე და მითხრა, რომ ბოთლი არ უხმარია და ცილს სწამებენ. ვიცი, მას უყვარს მოლხენა, მაგრამ ჩხუბში შემჩნეული არასოდეს არ ყოფილა" — თქვა მწვრთნელმა ფელიქს მაგათმა.

## ნედვედს ლიგა უნდა

**პაველ ნედვედი** „იუვენტუსთან" კონტრაქტის გახანგძლივებაზე მოლაპარაკების დაწყებას აპირებს. ვარაუდობდნენ, რომ 35 წლის ჩეხი ამ სეზონის ბოლოს კარიერას დაასრულებდა, მაგრამ „იუვეს" ჩემპიონთა ლიგაში თამაშის შანსი აქვს და ნედვედს სიბერეში ერთხელ კიდევ სურს ლიგაში ბურთის გაგორება. „გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, ჩეხი ჯამაგირის შემცირებაზეც თანახმაა, ოღონდ კი ერთწლიან კონტრაქტს გამოჰკრას ხელი.

## რომა შეთხელდა

**„რომას"** მომდევნო ტურში „კალიარისთან" მძიმე ბრძოლის გადატანა მოუწევს, რადგან ძირითადი შემადგენლობის სამი ფეხბურთელი დისკვალიფიკაციის გამო დააკლდება, სამშაბათს კი ფრანჩესკო ტოტი ვარჯიშზე დაშავდა. დისკვალიფიცირებულნი არიან დანიელე დე როსი, მირკო ვუჩინიჩი და სიმონე პეროტა, მცველი ჟუანი კი ჯერ არ გამოკეთებულა.

**გაგა ხუციშვილი**

# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | 29 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 1 | რედინგი-ბლეკბერნი | 2.30 | 3.20 | 3.00 | 1.33 | 1.30 | 1.54 |
| 19:00 | 2 | სანდერლენდი-ვესტ ჰემი | 2.20 | 3.20 | 3.20 | 1.30 | 1.30 | 1.60 |
| 19:00 | 4 | ბირმინგემი-სიტი | 2.20 | 3.20 | 3.20 | 1.30 | 1.30 | 1.60 |
| 19:00 | 5 | ბოლტონი-არსენალი | 5.00 | 3.40 | 1.70 | 2.02 | 1.26 | 1.13 |
| 19:00 | 9 | დერბი-ფულემი | 2.90 | 3.20 | 2.30 | 1.52 | 1.28 | 1.33 |
| 21:15 | 11 | მანჩესტერი-ასტონ ვილა | 1.30 | 4.80 | 10.00 | 1.02 | 1.15 | 3.24 |
| 19:00 | 13 | პორტსმუთი-უიგანი | 1.70 | 3.50 | 4.60 | 1.14 | 1.24 | 1.98 |
| | | 30 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 3 | ტოტენჰემი-ნიუკასლი | 1.60 | 3.60 | 5.50 | 1.10 | 1.23 | 2.17 |
| 17:30 | 7 | ჩელსი-მიდლსბრო | 1.30 | 4.30 | 10.00 | 1.00 | 1.15 | 3.00 |
| 20:00 | 10 | ლივერპული-ევერტონი | 1.80 | 3.30 | 4.30 | 1.16 | 1.26 | 1.86 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | 29 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 14 | პრესტონი-შეფილდი | 2.20 | 3.30 | 2.90 | 1.32 | 1.25 | 1.54 |
| 19:00 | 15 | უოტფორდი-სტოკი | 2.60 | 3.20 | 2.45 | 1.43 | 1.26 | 1.38 |
| 19:00 | 16 | ბრისტოლი-ნორვიჩი | 1.75 | 3.30 | 4.40 | 1.14 | 1.25 | 1.88 |
| 19:00 | 17 | ვესტ ბრომვიჩი-კოლჩესტერი | 1.35 | 4.15 | 8.35 | 1.01 | 1.16 | 2.77 |
| 19:00 | 18 | ბარნსლი-ბერნლი | 1.80 | 3.40 | 4.00 | 1.17 | 1.24 | 1.83 |
| 19:00 | 19 | კარდიფი-საუთჰემპტონი | 1.85 | 3.40 | 3.70 | 1.19 | 1.23 | 1.77 |
| 21:15 | 20 | ჩარლტონი-ვულვერჰემპტონი | 2.10 | 3.30 | 3.10 | 1.28 | 1.25 | 1.59 |
| 19:00 | 21 | ქვინს პარკი-პლიმუთი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 19:00 | 22 | კრისტალ პალასი-ბლეკპული | 1.75 | 3.40 | 4.20 | 1.15 | 1.23 | 1.87 |
| 19:00 | 23 | ჰალი-კოვენტრი | 2.30 | 3.30 | 2.75 | 1.35 | 1.25 | 1.50 |
| 19:00 | 24 | იპსვიჩი-ქპრ | 1.85 | 3.30 | 3.75 | 1.18 | 1.23 | 1.75 |
| 19:00 | 25 | ლესტერი-სკანთორპი | 1.75 | 3.40 | 4.20 | 1.15 | 1.23 | 1.87 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | 28 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 40 | ტრანმერი-სუონსი | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 23:45 | 44 | დონკასტერი-ნოტინჰემი | 2.20 | 3.30 | 2.90 | 1.32 | 1.25 | 1.54 |
| | | 29 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 38 | პორტ ვეილი-ლუტონი | 2.75 | 3.30 | 2.30 | 1.50 | 1.25 | 1.35 |
| 19:00 | 39 | საუთენდი-უოლსოლი | 1.95 | 3.30 | 3.50 | 1.22 | 1.25 | 1.69 |
| 19:00 | 41 | ბრაიტონი-მილუოლი | 2.35 | 3.30 | 2.70 | 1.37 | 1.25 | 1.48 |
| 19:00 | 42 | იოვილი-როვერსი | 2.05 | 3.30 | 3.20 | 1.26 | 1.24 | 1.62 |
| 19:00 | 43 | ჩელტენჰემი-ნორთჰემპტონი | 2.20 | 3.30 | 2.90 | 1.32 | 1.25 | 1.54 |
| 19:00 | 45 | ჯილინგემი-კარლაილი | 3.40 | 3.30 | 1.95 | 1.67 | 1.23 | 1.22 |
| 19:00 | 46 | ჰარტლპული-სუინდონი | 3.00 | 3.30 | 2.15 | 1.57 | 1.25 | 1.30 |
| 19:00 | 47 | ლიდსი-ბორნმუთი | 1.85 | 3.30 | 3.90 | 1.18 | 1.25 | 1.78 |
| 19:00 | 48 | ლეიტონი-კრიუ | 2.20 | 3.30 | 2.90 | 1.32 | 1.25 | 1.54 |
| 19:00 | 49 | ოლდემი-ჰადერსფილდი | 2.15 | 3.30 | 3.00 | 1.30 | 1.25 | 1.57 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | 29 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 62 | მორკემბი-როტერჰემი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 19:00 | 63 | ნოტსი-მენსფილდი | 2.00 | 3.30 | 3.30 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| 19:00 | 64 | პეტერბორო-ლინკოლნი | 1.45 | 3.90 | 5.90 | 1.05 | 1.16 | 2.34 |
| 19:00 | 65 | ბარნეტი-რექსემი | 1.90 | 3.30 | 3.60 | 1.20 | 1.24 | 1.72 |
| 19:00 | 66 | შრუსბერი-ბერი | 2.20 | 3.30 | 2.90 | 1.32 | 1.25 | 1.54 |
| 19:00 | 67 | ბრენტფორდი-როჩდეილი | 2.30 | 3.30 | 2.70 | 1.35 | 1.24 | 1.48 |
| 19:00 | 68 | ჩესტერი-სტოკპორტი | 3.00 | 3.30 | 2.15 | 1.57 | 1.25 | 1.30 |
| 19:00 | 69 | დაგ ენდ რედი-ჩესტერფილდი | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| 19:00 | 70 | დარლინგტონი-ბრედფორდი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 19:00 | 72 | მაკლსფილდი-აკრინგტონი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| | | **ინგლისი. კონფერენცია** | | | | | | |
| | | 27 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 723 | დროილსდენი-ოლდერშოტი | 7.20 | 4.30 | 1.35 | 2.69 | 1.13 | 1.02 |
| 23:45 | 724 | ქროული-კიდერმინსტერი | 1.85 | 3.40 | 3.70 | 1.19 | 1.23 | 1.77 |
| 23:45 | 725 | სოლსბერი-სტივენიჯი | 2.45 | 3.30 | 2.55 | 1.40 | 1.24 | 1.43 |
| | | 29 მარტი | | | | | | |
| 18:00 | 87 | უოკინგი-ჰისტონი | 2.55 | 3.30 | 2.65 | 1.43 | 1.29 | 1.46 |
| 18:00 | 88 | ოლტრინჰემი-ტორკი | 4.20 | 3.40 | 1.85 | 1.87 | 1.28 | 1.19 |
| 18:00 | 89 | გრეისი-ქროული | 2.20 | 3.30 | 3.15 | 1.32 | 1.29 | 1.61 |
| 18:00 | 90 | სტაფორდი-ოლდერშოტი | 7.00 | 4.00 | 1.45 | 2.54 | 1.20 | 1.06 |
| 18:00 | 92 | იორკი-ებსფლიტი | 2.20 | 3.20 | 3.35 | 1.30 | 1.32 | 1.63 |
| 18:00 | 93 | ფარსლი-ვეიმუთი | 2.40 | 3.30 | 2.85 | 1.38 | 1.30 | 1.52 |
| 18:00 | 94 | ექსეტერი-ჰალიფაქსი | 1.65 | 3.50 | 5.35 | 1.12 | 1.26 | 2.11 |
| 18:00 | 95 | ოქსფორდი-ნორთვიჩი | 1.90 | 3.30 | 4.20 | 1.20 | 1.30 | 1.84 |
| 18:00 | 96 | კემბრიჯი-კიდერმინსტერი | 1.70 | 3.40 | 5.20 | 1.13 | 1.28 | 2.05 |
| 18:00 | 97 | რაშდენი-დროილსდენი | 1.55 | 3.70 | 6.00 | 1.09 | 1.23 | 2.28 |
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 86 | ფორესტ გრინი-ბარტონი | 2.60 | 3.40 | 2.55 | 1.47 | 1.28 | 1.45 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | 29 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 150 | ფოლკირკი-კილმარნოკი | 1.80 | 3.30 | 4.20 | 1.16 | 1.25 | 1.84 |
| 19:00 | 151 | ჰარტსი-დანდი იუნაიტედი | 2.05 | 3.20 | 3.25 | 1.24 | 1.25 | 1.61 |
| 19:00 | 152 | ინვერნესი-აბერდინი | 2.60 | 3.30 | 2.45 | 1.45 | 1.26 | 1.40 |
| 19:00 | 153 | მაზერველი-ჰიბერნიანი | 2.20 | 3.20 | 2.95 | 1.30 | 1.26 | 1.53 |
| 16:30 | 154 | რეინჯერსი-სელტიკი | 2.15 | 3.30 | 3.00 | 1.30 | 1.25 | 1.57 |
| 18:00 | 155 | სტ.მირენი-გრეტნა | 1.45 | 4.00 | 6.50 | 1.06 | 1.18 | 2.47 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | 29 მარტი | | | | | | |
| 18:00 | 156 | ქუინი-მორტონი | 1.70 | 3.60 | 3.95 | 1.15 | 1.18 | 1.88 |
| 18:00 | 157 | სტ.ჯონსტონი-დანფერმლაინი | 1.65 | 3.55 | 4.55 | 1.12 | 1.21 | 1.99 |
| 18:00 | 158 | დანდი-კლაიდი | 1.40 | 4.30 | 6.20 | 1.05 | 1.14 | 2.53 |
| 18:00 | 159 | ჰამილტონი-პარტიკი | 1.44 | 4.00 | 6.25 | 1.05 | 1.17 | 2.43 |
| 18:00 | 160 | ლივინგსტონი-სტირლინგი | 1.70 | 3.55 | 4.10 | 1.14 | 1.20 | 1.90 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | 29 მარტი | | | | | | |
| 18:00 | 161 | კოუდენბიტი-ბრეჩინი | 3.00 | 3.55 | 2.00 | 1.62 | 1.20 | 1.27 |
| 18:00 | 162 | რეითი-ქუინზ პარკი | 1.65 | 3.60 | 4.30 | 1.13 | 1.19 | 1.95 |
| 18:00 | 163 | ეირდრი-როსი | 2.50 | 3.40 | 2.40 | 1.44 | 1.22 | 1.40 |
| 18:00 | 164 | ალოა-ეირი | 1.85 | 3.50 | 3.50 | 1.21 | 1.21 | 1.75 |
| 18:00 | 165 | ბერვიკი-პიტერჰედი | 5.40 | 3.60 | 1.55 | 2.16 | 1.20 | 1.08 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი** | | | | | | |
| | | 29 მარტი | | | | | | |
| 18:00 | 166 | ფორფარი-ისტ ფაიფი | 2.95 | 3.50 | 2.05 | 1.60 | 1.20 | 1.29 |
| 18:00 | 167 | მონტროუზი-სტენჰაუსმუირი | 1.75 | 3.50 | 4.00 | 1.16 | 1.21 | 1.86 |
| 18:00 | 168 | დამბარტონი-სტრანრაერი | 2.85 | 3.45 | 2.10 | 1.56 | 1.20 | 1.30 |
| 18:00 | 169 | ისტ სტერლინგი-ალბიონი | 2.75 | 3.50 | 2.20 | 1.53 | 1.22 | 1.35 |
| 18:00 | 170 | ელგინი-არბროთი | 2.35 | 3.50 | 2.50 | 1.40 | 1.21 | 1.45 |
| | | **გერმანია. I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | 28 მარტი | | | | | | |
| 23:30 | 180 | ჰანზა-ვოლფსბურგი | 2.55 | 3.20 | 2.55 | 1.41 | 1.27 | 1.41 |
| | | 29 მარტი | | | | | | |
| 18:30 | 171 | კარლსრუე-შალკე | 2.70 | 3.20 | 2.40 | 1.46 | 1.27 | 1.37 |
| 18:30 | 172 | ნიურნბერგი-ბაიერნი | 6.20 | 3.50 | 1.55 | 2.23 | 1.24 | 1.07 |
| 18:30 | 174 | ბოხუმი-დორტმუნდი | 2.50 | 3.20 | 2.65 | 1.40 | 1.28 | 1.44 |
| 18:30 | 176 | ჰამბურგი-არმინია | 1.35 | 4.20 | 8.50 | 1.02 | 1.16 | 2.81 |
| 18:30 | 178 | ლევერკუზენი-აინტრახტი | 1.65 | 3.40 | 5.30 | 1.11 | 1.25 | 2.07 |
| 18:30 | 181 | ვერდერი-დუისბურგი | 1.30 | 4.40 | 11.00 | 1.00 | 1.16 | 3.14 |
| | | 30 მარტი | | | | | | |
| 20:00 | 175 | კოტბუსი-ჰერტა | 2.50 | 3.20 | 2.60 | 1.40 | 1.27 | 1.43 |
| 20:00 | 182 | ჰანოვერი-შტუტგარტი | 2.75 | 3.20 | 2.35 | 1.47 | 1.26 | 1.35 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | 28 მარტი | | | | | | |
| 21:00 | 184 | აუე-მაინცი | 2.90 | 3.20 | 2.20 | 1.52 | 1.25 | 1.30 |
| 21:00 | 185 | ფრაიბურგი-ალემანია | 1.90 | 3.30 | 3.60 | 1.20 | 1.24 | 1.72 |
| 21:00 | 188 | ჰოფენჰაიმი-აუგსბურგი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| | | 30 მარტი | | | | | | |
| 17:00 | 186 | ვეენი-ფიურტი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| 16:00 | 189 | ოფენბახი-კიოლნი | 2.90 | 3.20 | 2.20 | 1.52 | 1.25 | 1.30 |
| 16:00 | 190 | მიონხენგლადბახი-კობლენცი | 1.50 | 3.60 | 5.70 | 1.05 | 1.18 | 2.20 |
| 16:00 | 191 | მიუნხენი 1860-კარლ ცაისი | 1.70 | 3.40 | 4.30 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| 16:00 | 192 | პადერბორნი-ზტ.პაული | 2.30 | 3.30 | 2.70 | 1.35 | 1.24 | 1.48 |
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 23:15 | 187 | ოსნაბრიუკი-კაიზერსლაუტერნი | 2.60 | 3.15 | 2.45 | 1.42 | 1.26 | 1.37 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | 29 მარტი | | | | | | |
| 21:00 | 211 | ალტახი-მატერსბურგი | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| 21:00 | 212 | შტურმი-ავსტრია | 2.35 | 3.30 | 2.65 | 1.37 | 1.24 | 1.46 |
| 21:00 | 215 | რაპიდი-ტიროლი | 1.25 | 4.75 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.22 |
| 20:00 | 217 | ავსტრია კერნტენი-ლინცერი | 2.65 | 3.20 | 2.60 | 1.44 | 1.31 | 1.43 |
| | | 30 მარტი | | | | | | |
| 18:30 | 213 | რიდი-ზალცბურგი | 2.95 | 3.20 | 2.15 | 1.53 | 1.24 | 1.28 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | 29 მარტი | | | | | | |
| 20:45 | 224 | სტ.გალენი-გრასჰოპერი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| 20:45 | 225 | ლუცერნი-ბაზელი | 3.80 | 3.40 | 1.85 | 1.79 | 1.24 | 1.19 |
| | | 30 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 227 | სიონი-აარაუ | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 19:00 | 228 | თუნი-იანგ ბოისი | 4.50 | 3.40 | 1.70 | 1.93 | 1.23 | 1.13 |
| 19:00 | 230 | ციურიხი-ქსამაქსი | 1.65 | 3.50 | 5.00 | 1.12 | 1.24 | 2.05 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | 29 მარტი | | | | | | |
| 23:30 | 247 | ლაციო-ინტერი | 4.20 | 3.00 | 1.90 | 1.75 | 1.30 | 1.16 |
| 21:00 | 253 | კალიარი-რომა | 4.80 | 3.20 | 1.75 | 1.91 | 1.28 | 1.13 |
| | | 30 მარტი | | | | | | |
| 17:00 | 242 | ლივორნო-სიენა | 2.20 | 2.90 | 3.40 | 1.25 | 1.33 | 1.56 |
| 17:00 | 243 | კატანია-ტორინო | 2.10 | 2.90 | 3.60 | 1.21 | 1.32 | 1.60 |
| 17:00 | 244 | მილანი-ატალანტა | 1.37 | 4.20 | 8.00 | 1.03 | 1.16 | 2.75 |
| 17:00 | 246 | უდინეზე-ფიორენტინა | 2.45 | 2.80 | 3.05 | 1.30 | 1.35 | 1.45 |
| 23:30 | 249 | ნაპოლი-პალერმო | 2.05 | 3.00 | 3.80 | 1.21 | 1.33 | 1.67 |
| 17:00 | 250 | იუვენტუსი-პარმა | 1.35 | 4.30 | 8.70 | 1.02 | 1.16 | 2.87 |
| 17:00 | 252 | ჯენოა-რეჯინა | 1.90 | 3.00 | 4.35 | 1.16 | 1.32 | 1.77 |
| 17:00 | 254 | ემპოლი-სამპდორია | 2.45 | 2.90 | 2.95 | 1.32 | 1.33 | 1.46 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | 29 მარტი | | | | | | |
| 18:00 | 255 | მოდენა-პიზა | 2.70 | 2.70 | 2.70 | 1.35 | 1.35 | 1.35 |
| 18:00 | 256 | პიაჩენცა-რიმინი | 2.40 | 2.70 | 3.10 | 1.27 | 1.35 | 1.44 |
| 18:00 | 257 | ბრეშა-სპეცია | 1.35 | 3.90 | 9.00 | 1.00 | 1.17 | 2.72 |
| 18:00 | 258 | ფროზინონე-ტრევიზო | 2.05 | 2.80 | 3.85 | 1.18 | 1.33 | 1.62 |
| 18:00 | 259 | ბარი-ტრიესტინა | 2.05 | 2.65 | 4.20 | 1.15 | 1.37 | 1.62 |
| 18:00 | 260 | რავენა-აველინო | 2.25 | 2.80 | 3.30 | 1.24 | 1.33 | 1.51 |
| 18:00 | 261 | ასკოლი-ბოლონია | 3.60 | 2.80 | 2.10 | 1.57 | 1.32 | 1.20 |
| 18:00 | 262 | ალბინოლეფე-კიევო | 2.50 | 2.75 | 2.95 | 1.30 | 1.35 | 1.42 |
| 18:00 | 263 | გროსეტო-ლეჩე | 3.40 | 2.80 | 2.20 | 1.53 | 1.33 | 1.23 |
| 18:00 | 264 | ჩეზენა-მანტოვა | 2.10 | 2.80 | 3.60 | 1.20 | 1.32 | 1.57 |
| 18:00 | 265 | ვიჩენცა-მესინა | 1.80 | 2.90 | 4.85 | 1.11 | 1.31 | 1.81 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | 29 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 284 | ვილიარეალი-ატლეტიკო | 2.15 | 3.20 | 3.25 | 1.28 | 1.29 | 1.61 |
| 23:00 | 288 | ბეტისი-ბარსელონა | 4.60 | 3.50 | 1.70 | 1.98 | 1.24 | 1.14 |
| | | 30 მარტი | | | | | | |
| 20:00 | 285 | ალმერია-ლევანტე | 1.60 | 3.60 | 5.10 | 1.10 | 1.21 | 2.11 |
| 20:00 | 287 | ვალიადოლიდი-სარაგოსა | 2.30 | 3.20 | 2.85 | 1.33 | 1.27 | 1.50 |
| 20:00 | 290 | ხეტაფე-ოსასუნა | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 20:00 | 291 | უელვა-ბილბაო | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 20:00 | 292 | ესპანიოლი-რასინგი | 2.10 | 3.20 | 3.30 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| 22:00 | 293 | დეპორტივო-მურსია | 1.75 | 3.30 | 4.60 | 1.14 | 1.26 | 1.92 |
| 20:00 | 294 | ვალენსია-მალიორკა | 1.95 | 3.20 | 3.80 | 1.21 | 1.28 | 1.73 |
| 23:45 | 295 | რეალი-სევილია | 1.85 | 3.30 | 4.00 | 1.18 | 1.26 | 1.80 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | 29 მარტი | | | | | | |
| 21:30 | 299 | ალავესი-კასტელონი | 2.35 | 2.90 | 2.95 | 1.29 | 1.30 | 1.46 |
| 21:30 | 302 | გრანადა-ლას პალმასი | 2.05 | 2.90 | 3.65 | 1.20 | 1.31 | 1.61 |
| 21:00 | 306 | ტარაგონა-ნუმანსია | 2.65 | 2.90 | 2.60 | 1.38 | 1.31 | 1.37 |
| | | 30 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 297 | სოსიედადი-ფეროლი | 1.65 | 3.20 | 5.20 | 1.08 | 1.25 | 1.98 |
| 19:00 | 298 | ჰერკულესი-კორდობა | 2.25 | 2.90 | 3.15 | 1.26 | 1.31 | 1.50 |
| 19:00 | 300 | სალამანკა-ეიბარი | 2.10 | 2.90 | 3.50 | 1.21 | 1.31 | 1.58 |
| 19:00 | 301 | ტენერიფე-ეხიდო | 1.65 | 3.20 | 5.25 | 1.08 | 1.25 | 1.98 |
| 19:00 | 303 | კადისი-ელჩე | 2.25 | 2.90 | 3.15 | 1.26 | 1.31 | 1.50 |
| 19:00 | 305 | მალაგა-ალბასეტე | 1.60 | 3.35 | 5.50 | 1.08 | 1.23 | 2.08 |
| 15:00 | 307 | სელტა-სპორტინგი | 2.30 | 2.90 | 2.95 | 1.28 | 1.29 | 1.46 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | 29 მარტი | | | | | | |
| 20:10 | 308 | ბორდო-ნანსი | 1.80 | 3.10 | 4.40 | 1.13 | 1.27 | 1.81 |
| | | 30 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 310 | ლილი-ოსერი | 1.75 | 3.10 | 4.75 | 1.11 | 1.27 | 1.87 |
| 19:00 | 311 | ლე მანი-კაენი | 1.80 | 3.10 | 4.60 | 1.13 | 1.29 | 1.85 |
| 19:00 | 312 | სოშო-ნიცა | 2.15 | 2.90 | 3.55 | 1.23 | 1.33 | 1.59 |
| 19:00 | 313 | ვალენსიენი-ლიონი | 3.85 | 3.00 | 2.00 | 1.68 | 1.31 | 1.20 |
| 23:45 | 315 | ლორიანი-მარსელი | 2.70 | 2.80 | 2.70 | 1.37 | 1.35 | 1.37 |
| 19:00 | 320 | მეცი-ტულუზა | 2.55 | 3.10 | 2.65 | 1.39 | 1.29 | 1.42 |
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 22:00 | 314 | მონაკო-რენი | 2.20 | 2.90 | 3.40 | 1.25 | 1.33 | 1.56 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | 28 მარტი | | | | | | |
| 22:00 | 322 | ბულონი-ბასტია | 2.90 | 2.80 | 2.45 | 1.42 | 1.32 | 1.30 |
| 22:00 | 323 | ამიენი-ბრესტი | 2.35 | 2.80 | 3.10 | 1.27 | 1.33 | 1.47 |
| 22:00 | 325 | ანჟე-კლერმონი | 2.60 | 2.80 | 2.80 | 1.34 | 1.34 | 1.39 |
| 22:00 | 326 | გენგამი-გრენობლი | 2.10 | 2.85 | 3.60 | 1.20 | 1.32 | 1.59 |
| 22:00 | 327 | დიჟონი-გენიონი | 1.70 | 3.00 | 5.20 | 1.08 | 1.28 | 1.90 |
| 22:00 | 328 | აიაჩიო-ლე ავრი | 3.50 | 2.80 | 2.10 | 1.55 | 1.31 | 1.20 |
| 22:00 | 329 | ნიორი-ლიბურნი | 2.20 | 2.85 | 3.30 | 1.24 | 1.32 | 1.52 |
| 22:00 | 331 | მონპელიე-რეიმსი | 1.75 | 3.00 | 5.00 | 1.10 | 1.29 | 1.87 |
| | | 30 მარტი | | | | | | |
| 18:15 | 324 | სედანი-შატორუ | 1.75 | 3.00 | 4.80 | 1.10 | 1.28 | 1.84 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | 29 მარტი | | | | | | |
| 22:00 | 332 | შარლერუა-ბრიუგე | 1.55 | 3.60 | 5.25 | 1.08 | 1.19 | 2.13 |
| 22:00 | 335 | ბეერსხოტი-ვესტერლო | 1.65 | 3.50 | 4.50 | 1.12 | 1.20 | 1.96 |
| 22:00 | 336 | ლოკერენი-ვარეგემი | 2.15 | 3.25 | 3.00 | 1.29 | 1.25 | 1.55 |
| 22:00 | 337 | მეხელენი-სტანდარდი | 4.25 | 3.30 | 1.75 | 1.85 | 1.23 | 1.14 |
| 22:00 | 339 | მუსკრონი-დენდერი | 1.85 | 3.25 | 3.85 | 1.17 | 1.24 | 1.76 |
| 22:00 | 340 | მონსი-გენტი | 2.70 | 3.25 | 2.35 | 1.47 | 1.25 | 1.36 |
| 22:00 | 341 | სტ.ტრუიდენი-რუსელარე | 1.95 | 3.25 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.68 |
| | | 30 მარტი | | | | | | |
| 23:30 | 333 | ბრიუსელი-გენკი | 1.45 | 3.75 | 6.25 | 1.04 | 1.17 | 2.34 |
| 21:00 | 342 | ანდერლეხტი-სერკლე | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | 28 მარტი | | | | | | |
| 21:30 | 353 | გრაფსხაპი-გრონინგენი | 3.35 | 3.25 | 2.00 | 1.64 | 1.25 | 1.23 |
| | | 29 მარტი | | | | | | |
| 21:30 | 354 | ჰერენვენი-აიაქსი | 2.75 | 3.20 | 2.35 | 1.47 | 1.26 | 1.35 |
| 23:00 | 355 | ექსელსიორი-ვილემი | 2.15 | 3.25 | 3.00 | 1.29 | 1.25 | 1.55 |
| 23:00 | 356 | ჰერაკლესი-როდა | 2.45 | 3.25 | 2.60 | 1.39 | 1.26 | 1.44 |
| 23:30 | 357 | ნაიმეგენი-ფსვ | 4.15 | 3.35 | 1.75 | 1.85 | 1.23 | 1.14 |
| | | 30 მარტი | | | | | | |
| 16:30 | 359 | უტრეხტი-ტვენტე | 2.45 | 3.25 | 2.60 | 1.39 | 1.26 | 1.44 |
| 16:30 | 360 | სპარტა-ფოლენდამი | 2.05 | 3.25 | 3.25 | 1.25 | 1.25 | 1.62 |
| 16:30 | 361 | ალკმაარი-ვიტესი | 1.95 | 3.25 | 3.45 | 1.21 | 1.24 | 1.67 |
| 15:30 | 362 | ბრედა-ფეიენოორდი | 2.50 | 3.25 | 2.50 | 1.41 | 1.25 | 1.41 |
| | | **პორტუგალია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | 28 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 727 | გიმარაეში-მარიტიმუ | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| | | 29 მარტი | | | | | | |
| 20:00 | 732 | ამადორა-აკადემიკა | 2.05 | 3.10 | 3.40 | 1.23 | 1.27 | 1.62 |
| | | 30 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 728 | ბენფიკა-ფერეირა | 1.20 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.43 |
| 23:15 | 729 | ნავალი-სპორტინგი | 4.40 | 3.40 | 1.75 | 1.91 | 1.25 | 1.15 |
| 23:00 | 730 | ბელენენსეში-პორტუ | 4.50 | 3.40 | 1.70 | 1.93 | 1.23 | 1.13 |
| 20:00 | 731 | ნასიონალი-ლეირია | 1.50 | 3.60 | 6.30 | 1.05 | 1.21 | 2.29 |
| 20:00 | 733 | ბრაგა-ლეიშოეში | 1.45 | 3.60 | 6.70 | 1.03 | 1.19 | 2.34 |
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 734 | სეტუბალი-ბოავიშტა | 2.15 | 2.90 | 3.40 | 1.23 | 1.31 | 1.56 |
| | | **თურქეთი** | | | | | | |
| | | 30 მარტი | | | | | | |
| 15:00 | 385 | მანისა-რიზე | 2.15 | 3.20 | 3.05 | 1.28 | 1.26 | 1.56 |
| 15:00 | 386 | ბეშიქთაში-ფენერბაჩე | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| 15:00 | 387 | გალათასარაი-გაზიანთეპი | 1.20 | 5.50 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.66 |
| 15:00 | 389 | დენიზლი-გენჩლერბირლიგი | 1.85 | 3.25 | 3.85 | 1.17 | 1.24 | 1.76 |
| 15:00 | 390 | კონია-ოსმანსპორი | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| 15:00 | 391 | კაისერი-ისტანბული | 1.55 | 3.60 | 5.60 | 1.08 | 1.21 | 2.19 |
| 15:00 | 392 | კასიმპაშა-სივასსპორი | 3.65 | 3.25 | 1.90 | 1.71 | 1.24 | 1.19 |
| 15:00 | 393 | ანკარა-ტრაბზონი | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| 15:00 | 394 | ანკარაგუჯუ-ბურსა | 1.95 | 3.25 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.68 |
| | | **რუსეთი** | | | | | | |
| | | 29 მარტი | | | | | | |
| 17:00 | 395 | ტერეკი-ნალჩიკი | 1.85 | 3.15 | 4.05 | 1.16 | 1.26 | 1.77 |
| 12:00 | 396 | ყუბანი-შინიკი | 1.75 | 3.05 | 4.75 | 1.11 | 1.27 | 1.85 |
| 17:00 | 397 | ტომსკი-მოსკოვი | 2.70 | 2.70 | 2.70 | 1.35 | 1.35 | 1.35 |
| 17:00 | 398 | ხიმკი-სპარტაკი მ | 5.25 | 3.25 | 1.65 | 2.00 | 1.25 | 1.09 |
| | | 30 მარტი | | | | | | |
| 17:00 | 399 | ამკარი-დინამო მ | 2.40 | 2.75 | 3.05 | 1.28 | 1.34 | 1.44 |
| 17:00 | 400 | ცსკა-სატურნი | 1.50 | 3.50 | 6.25 | 1.04 | 1.20 | 2.24 |
| 17:00 | 401 | ლოკომოტივი მ-კრილია | 1.65 | 3.15 | 5.50 | 1.08 | 1.26 | 2.00 |
| 17:00 | 402 | ზენიტი-რუბინი | 1.45 | 3.75 | 7.00 | 1.04 | 1.20 | 2.44 |
| | | **დანია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | 29 მარტი | | | | | | |
| 20:00 | 428 | ოდენსე-მიდტიულანდი | 2.05 | 3.30 | 3.20 | 1.26 | 1.24 | 1.62 |
| | | 30 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 425 | ორჰუსი-ესბიერგი | 2.70 | 3.30 | 2.35 | 1.48 | 1.25 | 1.37 |
| 21:00 | 426 | ბრონდბი-ოლბორგი | 2.20 | 3.30 | 2.90 | 1.32 | 1.25 | 1.54 |
| 19:00 | 427 | ლინგბი-ნორდსელანდი | 4.30 | 3.40 | 1.70 | 1.89 | 1.21 | 1.15 |
| 22:00 | 429 | ვიბორგი-კოპენჰაგენი | 8.50 | 4.30 | 1.30 | 2.85 | 1.12 | 1.00 |
| 17:00 | 430 | ჰორსენსი-რანდერსი | 2.40 | 3.30 | 2.60 | 1.38 | 1.24 | 1.42 |
| | | **ნორვეგია. ტიპლიგა** | | | | | | |
| | | 29 მარტი | | | | | | |
| 22:00 | 447 | ვოლერენგა-ოლესუნდი | 1.45 | 4.00 | 6.00 | 1.06 | 1.16 | 2.40 |
| | | 30 მარტი | | | | | | |
| 21:00 | 448 | ლილესტრომი-ტრომსო | 1.60 | 3.50 | 5.25 | 1.09 | 1.22 | 2.09 |
| 21:00 | 449 | მოლდე-სტაბეკი | 2.60 | 3.30 | 2.45 | 1.45 | 1.26 | 1.40 |
| 21:00 | 450 | ბოდო გლიმტი-ჰამარი | 2.25 | 3.40 | 2.75 | 1.35 | 1.23 | 1.52 |
| 21:00 | 451 | ვიკინგი-სტრომსგოდსეტი | 1.45 | 3.90 | 6.00 | 1.05 | 1.16 | 2.36 |
| 23:00 | 452 | ბრანი-ფრედრიკსტადი | 1.40 | 4.10 | 7.00 | 1.04 | 1.16 | 2.58 |
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 22:00 | 453 | როზენბორგი-ლინი | 1.40 | 4.20 | 7.00 | 1.04 | 1.16 | 2.62 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა** | | | | | | |
| | | 30 მარტი | | | | | | |
| 17:30 | 744 | ნორჩოპინგი-იურგორდენი | 2.80 | 3.00 | 2.40 | 1.44 | 1.29 | 1.33 |
| 18:00 | 745 | ჰალმსტადი-გეფლე | 1.80 | 3.20 | 4.20 | 1.15 | 1.25 | 1.81 |
| 18:00 | 746 | გაისი-ელფსბორგი | 3.00 | 3.20 | 2.20 | 1.54 | 1.26 | 1.30 |
| 18:00 | 747 | აიკ-კალმარი | 2.20 | 3.10 | 3.10 | 1.28 | 1.28 | 1.54 |
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 21:00 | 748 | ლანდსკრონა-ჰამარბი | 3.70 | 3.30 | 1.90 | 1.74 | 1.25 | 1.20 |
| 21:00 | 749 | ორებრო-ტრელებორგი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 21:00 | 750 | სუნდსვალი-ჰელსინგბორგი | 2.70 | 3.30 | 2.35 | 1.48 | 1.25 | 1.37 |
| 21:45 | 751 | მალმო-გეტებორგი | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| | | **საფრანგეთი. თასი** | | | | | | |
| | | 29 მარტი | | | | | | |
| 23:00 | 726 | პსჟ-ლანსი | 2.45 | 3.00 | 2.75 | 1.34 | 1.29 | 1.43 |
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | 27 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 722 | დანუბიო-დეპორტივო | 1.80 | 3.50 | 3.70 | 1.18 | 1.21 | 1.79 |
| 23:45 | 752 | ბოკა ხუნიორსი-კოლო კოლო | 1.45 | 3.80 | 6.30 | 1.04 | 1.17 | 2.37 |
| 23:45 | 753 | კუკუტა-სანტოსი | 2.05 | 3.20 | 3.35 | 1.24 | 1.27 | 1.63 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**



ბადრი ქეთილაძის ფოტო

# გიორგი ქობელაშვილი: იტალიის დამარცხება შეიძლებოდა

## ესპანეთში ნაკრებს ხალხი დააკლდა

ხელბურთელთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა ესპანეთის ქალაქ ლუგოლში ევროშესარჩევის თამაშები მარცხიანად მოილია. სლოვაკეთთან 21:35 წაგებას, ეპანეთთან 14:34 და იტალიასთან კინკილა ქულით, 22:23 დასანანი დამარცხება მოჰყვა. არადა, ჩვენებს კენჭისყრაში გაუმართლათ, ისეთ ჯგუფში მოხვდნენ, საიდანაც ფინალურ ეტაპზე ორი გუნდი გადიოდა. ესპანური წარუმატებლობის მიზეზად ორი გარემოება დასახელდა. შემადგენლობაში შვიდი ძირითადი მოთამაშის გარდა, მათი სრულფასოვანი შემცვლელები არ მოიძებნებოდა და თან ბიჭებს ნაკრების ლიდერი რატი მსხვილიძე ტრავმის გამო გამოაკლდათ. დღეს რეალობა ასეთია — რატი შეუცვლელი მოთამაშეა და მისი ვინმეთი ღირსეული ჩანაცვლება შეუძლებელია. ნაკრებს ესპანეთში გიორგი ქობელაშვილი თავკაცობდა, რომელიც გუშინ იქაურ ამბებზე გვესაუბრა

— სლოვაკეთთან პირველ თამაშში 25-ე წუთზე ვიგებდით და მეტოქე მერელა გაგვექცა. სლავებს მართლა კარგი გუნდი ჰყავდათ, თან შემადგენლობა დაბალანსებული ჰქონდათ და ძირითადის ბიჭებს სხვები უპრობლემოდ ცვლიდნენ, რასაც ვერ ვიტყვი ჩვენზე. ძირითადი შვიდეულის სათანადო შემცვლელები არ გვყავდა სათადარიგოთა სკამზე. ეს შვიდი კაცი კი ბოლომდე დაიხარჯა და მერე ფიზიკურად გადაიღალა. იმიტომ კი არა, რომ სათანადო დონეზე არ იყვნენ მომზადებულნი. უბრალოდ, მთელი თამაში ამოსუნთქვის საშუალება ვერ მივეცი. თან ყველაფერთან ერთად, რატი მსხვილიძეც დაგვაკლდა. ეს ბიჭი ნაკრებისთვის შეუცვლელია.. ესპანეთთან 14 წუთის მერე 4:2 ვაგებდით. თუმც გამოცდილებამ და მეტმა სათამაშო პრაქტიკამ თავისი ქნა და...

— იტალიას მეორე ტაიმში ოთხ ბურთს ვუგებდით, მაგრამ მაინც გვაჯობეს. არადა, ეს ნაკრები ისეთი ძლიერიც არ იყო...

— დღესაც ვერ მომინელებია ეს მარცხი. მთელი თამაში ანგარიში ჩვენ მიგვყავდა და ბოლოსღა გადაგვასწრეს — ბიჭები იმედგაცრუებულნი იყვნენ. თან მათთან ტრავმამ ორი კაციც გამოგვაკლო. ისიცაა, რომ იტალიას ღილით დავუპირისპირდით. ამ დროს კი ქართველებს უჭირთ თამაში. ამას საკუთარი გამოცდილებიდან ვამბობ. ორგანიზმი გამოფხიზლებული არ არის.

— ხომ არ ჯობდა, ესპანეთთან შეხვედრაში ძირითადის მოთამაშეებს დაესვენათ და იტალიას უფრო მომაგრებულები დახვედროდნენ?

— ამას ვერ გავაკეთებდი. ინსაიდი მხოლოდ ერთი მყავდა და კუთხის მოთამაშეს ხომ არ დავაყენებდი. იგივე ითქმის სხვა პოზიციებზეც. თან მერე უფრო დიდი ანგარიშით წავაგებდით, რაც, ბუნებრივია, არ გვინდოდა.

— ესპანეთში ჩატარებულმა თამაშებმა რა ძირითადი პრობლემები დაგანახათ და, საერთოდ, რითი ჩაგრავენ ევროპელი თანატოლები ჩვენებს?

— მთავარი პრობლემა უკვე ნახსენები შემადგენლობა იყო და კიდევ ის, რომ ამ ბიჭებს სათამაშო პრაქტიკა თითქმის არ აქვთ. შარშან თურქეთს გაეჯიბრნენ და წლეულს სტუს-თან მოუწიათ დაპირისპირება. ეს კი ზღვაში წვეთია. კონკრეტული ტურნირისთვის კი არ უნდა ემზადებოდეს გუნდი, არამედ მუდმივ მზადების პროცესში უნდა იყოს, თორემ ისე თამაში ყველასთან შეიძლება, დაუმარცხებელი არავინაა.

სხვა მხრივ, ბიჭების მაინც კმაყოფილ ვარ, რაც შეეძლოთ, გააკეთეს. მაგრად ითამაშა მეკარე გიგა ტორონჯაძემ, ასევე მიშა საჯაიამ, ვანო ქარდავამ, ნიკა ჯობენაძემ.

**ლექსო მაისურაძე**



# ცინცაძის ვარსკვლავი 9 წუთით აენთო

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გიორგი ცინცაძეს** ევროთასზე ჩაუქობა ამ ტურნირის ოლ სტარში თამაშით დაუფასდა. ყველა ვარსკვლავის მატჩს კვიპროსის ქალაქმა ლიმასოლმა უმასპინძლა და მასში ევროპისა და დანარჩენი მსოფლიოს ნაკრებები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

ცინცაძეს ბევრი არ უთამაშია. ის მოედანზე მხოლოდ 9 წუთით გაიყვანეს და ჩვენიანმაც რაც შეეძლო, გააკეთა. გიორგიმ თითო სამ და ორქულიანი ჩააგდო, 3 პასი გაჩარხა და საკუთარ ფარქვეშ ერთხელ მოხსნა ბურთი. მიუხედავად არცთუ უბარაქო გარჯისა, ცინცაძემ ძირითად სათადარიგო სკამიდან უყურა ვარსკვლავების თამაშს.

ქართველის სათამაშო დრო შეიწირა გენიოსად მიჩნეულმა ფრანგმა ნანდო დე კოლომ, რომელიც მართლაც შთამბეჭდავად თამაშობდა. ფრანგული „შოლეს“ 20 წლის უკანახაზელმა 30 წუთში 24 ქულა, 5 მოხსნა და 3 პასი მიითვალა. დე კოლომ 7 ცდიდან 6 სამქულიანი ჩააგდო და ევროპელ ვარსკვლავებში საუკეთესო იყო.

მატჩის გმირი და უძვირფასესი მოთამაშე „დანარჩენი მსოფლიოს“ ამერიკელი გამთამაშებელი, სანკტ პეტერბურგის „სპარტაკის“ ლიდერი, ჯოზეფ სმიტი გახდა. მან 28 ქულა და 4 პასი მიითვალა, პერიმეტრსმიღმიდან კი დე კოლოსაც აჯობა და 7 სამქულიანი მოინადირა.

მატჩის ფინალი საინტერესო გამოდგა. „ევროპა“ სირენამდე 4 წუთით ადრე 97:92 იგებდა, მაგრამ „დანარჩენმა მსოფლიომ“ ძალიან მოინდომა და ბოლო წამებზე დაძაბულ ბრძოლაში გამარჯვება გამოადნო — 118:116.



ცინცაძეს უფრო მნიშვნელოვანი მატჩები შუა აპრილში ელის. ევროთასის ოთხთა ფინალში მისი „როკის“ მეტოქე ლატვიური „ბაროსია“.

**ირაკლი პერტაია**

# ნექტარმა რვეული გაინაღდა

## უგრეხელიძე ბოსნიით კმაყოფილია



*ლეგიონერთა მიმოხილვაში არ ვაშუქებთ ბოსნიურ „ნექტარში“ მოთამაშე დავით უგრეხელიძის ამბებს. ამის მიზეზი ამ ქვეყანაში საინტერნეტო მეურნეობის მოუწესრიგებლობაა. ბოსნიის ჩემპიონატის შედეგები შესაბამის ვებგვერდზე კი იდება, მაგრამ გვარიანი დაგვიანებით, როცა მას მნიშვნელობა და აქტუალობა დაკარგული აქვს. სად აღარ უთამაშიათ ქართველებს, მაგრამ მეორე-მესამე დღეს რომ თამაშის ოქმი ინტერნეტში ვერ გვენახოს, არასდროს და არსად არ მომხდარა. გუშინ დავით უგრეხელიძეს ბოსნიის ქალაქ ბანია ლუკაში შევეხმიანეთ და იქაური ამბები გამოვკითხეთ*

— რა ეტაპზეა ბოსნიის ჩემპიონატი და როგორ მისდის საქმეები „ნექტარს“?

— რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე 2 ტურია დარჩენილი და ჩემმა გუნდმა მომდევნო ეტაპზე გასვლა უკვე გაინაღდა.

— მეორე ეტაპში რა იგულისხმება, პლეი ოფით გაგრძელდება პირველობისთვის ბრძოლა?

— არა, 8 საუკეთესო გუნდი მეორე ეტაპზე გადის, სადაც ორ წრედ ჩატარდება თამაშები და საუკეთესო ოთხეული ნახევარფინალში დაწყვილდება. მეორე ეტაპზე ჩემპიონატში ჩაერთვება „შიროკი“, რომელიც ამჟამად ადრიატიკის ლიგაში თამაშობს. ეს გუნდი საუკეთესოდ ითვლება ბოსნიაში და ამ შეღავათით იმიტომ სარგებლობს.

— ახლა დაგროვილი ქულები მეორე ჯგუფურ ეტაპზეც გადაგყვებათ?

— არა, იქ თავიდან იწყება ქულების ათვლა და ამიტომაცაა, ბოლო ორ ტურში რომ წავაგეთ. 8 გუნდში მოხვედრა რომ გავინაღდეთ, მწვრთნელმა გადაწყვიტა, წამყვანი მოთამაშეები დაესვენებინა. არ ითამაშეს ასევე იმათ, რომელთაც მცირე ტრავმა აწუხებდათ.

— შენც გაგაწვალა ტრავმამ, ოღონდ სეზონის დასაწყისში. ახლა როგორაა საქმე?

— ტრავმიანობა წარსულს ჩავაბარე. ახლა აღარაფერი მაწუხებს და სრული დატვირთვით ვთამაშობ.

— საინტერესოა, რა შედეგიანობით...

— ბოლო ტურებში 20 წუთზე მეტხანს ვითამაშე და ქულებიც საკმარისად ვაგროვე და მოხსნებიც. ისე კი, 15 წუთს ვთამაშობ საშუალოდ და 5-6 მოხსნას და 10-მდე ქულას ვაგროვებ. ვერ ვიტყვი, გუნდის ლიდერი ვარ-მეთქი, მაგრამ ჩემი საკეთებელი ნამდვილად მაქვს და თავსაც არ ვირცხვენ.

— სეზონის ნახევარზე მეტი გაილია და ახლა ალბათ ზუსტად გეცოდინება, ბოსნიაში წასვლა მართებული ნაბიჯი იყო თუ მცდარი...

— რა თქმა უნდა, მართებული იყო. ბოსნიის ჩემპიონატის დონე ხელწამოსაკრავი არაა. მართალია, იტალიისა და ესპანეთის ლიგებს ვერ გაუტოლდება, მაგრამ საშუალო ევროპული დონის ნამდვილად არის. განსაკუთრებით კი იმითაა გამორჩეული, რომ თანაბარი ლიგაა, ძნელია, პროგნოზების გაკეთება. ყველა მატჩში შეიძლება ნებისმიერი შედეგი დაფიქსირდეს. მაგალითად, ჩვენმა გუნდმა ახლახანდელ ლიდერ „ბოსნას“ სტუმრად მოუგო. „ნექტარი“ ამჟამად მეექვსე ადგილზეა და ძალებს მეორე ჯგუფური ეტაპისთვის ინახავს, რომელიც 12 აპრილს დაიწყება.

— ამ სეზონში რას გეგმავს „ნექტარი“?

— ჩემპიონობა თითქმის გამორიცხულია, თუმც პრიზიორებში შესვლა შეგვიძლია და ამისთვის ვიბრძოლებთ. ისე, „ნექტარმა“ ახლახან ყველა გააკვირვა, როცა თასის ფინალში გავიდა და იქ ტიტულს რომ გამართლებოდა, მთლად სენსაციას მოახდენდა. ჩვენი მეტოქე „შიროკი“ იყო, რომელმაც დაძაბულ ბრძოლაში ბოლო წამებზე 2 ქულით დაგვამარცხა.

— „ნექტართან“ კონტრაქტი როდემდე გაქვს?

— სეზონის ბოლომდე, მაგრამ ჯერ მის გაგრძელებაზე არაფერს ლაპარაკობენ. არ ვიცი, რა იქნება. ჯერ სეზონი დამთავრდეს და მომავალზე მერე ვიზრუნებ. თუ აქ დარჩენის შანსი მექნება, ხელიდან არ გავუშვებ.

**ირაკლი პერტაია**





# ფედერერი: ისევ ის ბიჭი ვარ
## ჯოკოვიჩი: მალე პირველი ვიქნები

**წუხელ** მასტერსის რიგით მეორე ტურნირი დაიწყო — მსოფლიოს საუკეთესო მეჩოგნეებმა კალიფორნიიდან ფლორიდაში, მაიამისთან მდებარე პატარა ქალაქ კიბისკეინში გადაინაცვლეს და უახლოესი კვირა-ნახევრის განმავლობაში წლის კიდევ ერთ დიდ ტიტულს გაითამაშებენ.

ტურნირის დაწყებამდე კი მართლაც უნიკალური სიტუაცია შეიქმნა — ბოლო წლებში ჩამოყალიბებული და შესისხლხორცებული ტრადიციის საპირისპიროდ, როჯერ ფედერერი მთავარ ფავორიტად არსად არ მოიხსენიება. დიდმა ალპელმა უჩვეულოდ სუსტად დაიწყო სეზონი და წლეულს ჯერ ტიტულიც კი არ მოუგია. მეტიც, „მხიარულ როჯერს“ ჯერ ფინალშიც არ უთამაშია — ასეთი მშრალი დასაწყისი შვეიცარიელს ბოლოს 2000 წელს ჰქონდა.

კარგა ხანს ფედერერი თავს იმით იმართლებდა, რომ ხან მუცელი აწუხებდა, ხანაც მონონუკლიოზი სტანჯავდა. მაგრამ ძნელია, როჯერის ინდიან უელსის ნახევარფინალში მსოფლიოს 98-ე მეჩოგნე მარდი ფიშისგან განადგურებას ახსნა მოეძებნოს. სწორედ ამ მატჩის შემდეგ ალაპარაკდა ბევრი ხმამაღლა — ფედერერმა თავისი მოჭამა და მის დომინირებასაც ბოლო მოეღო. თუმცა თავად როჯერი სხვა განწყობაზეა:

„არ მესმის, ფიშთან დამარცხებას ამხელა აჟიოტაჟი რატომ მოჰყვა. ის თითქმის შეუცდომლად თამაშობდა და კორტზე ყველანაირი ჩანაფიქრი გამოსდიოდა. ასეთი მომენტი ყველა მეჩოგნეს უდგება. თან ჩემამდე ნიკოლაი დავიდენკოსა და ლეიტონ ჰიუიტსაც მოუგო. ჰოდა, კარიერის საუკეთესო ფორმაში მყოფ მეჩოგნესთან თუ წავაგე, დიდი ამბავი. უფრო ის მიკვირს, ბოლო ხუთ წელიწადში როგორ გადავურჩი ამდაგვარ ლაფსუსებს“.

ფედერერი მაინც მთლად გულახდილი არ უნდა იყოს, თორემ კარგად მოეხსენება, რომ თვითონ ვერ არის საჭირო ფორმაში და ამიტომაც წააგო. ფიშისავით გახელებულ ჩოგბურთელებს ხომ აქამდეც ბევრჯერ გადაჰყრია და ყველასთვის ადგილი მიუჩენია.

თუმცა იგივე ფიში აცხადებს, რომ ფედერერის ძალებში ეჭვი არ ეპარება და მსოფლიოს საუკეთესო მეჩოგნედ ისევ მას მიიჩნევს:

„გასახდელში ჩოგბურთელთა შორის ეს რაღაც საერთო ხუმრობასავით იქცა, ღმერთო ჩემო, დახეთ, ფედერერს წლეულს ჯერ არაფერი მოუგიაო. კარგით რა — დიდი ამბავი, პატარა ჩავარდნა თუ აქვს. ის კვალავაც უძლიერესია და მალე ამას ყველა დაინახავთ“.

საკუთარ ძალებში ბოლომდეა დარწმუნებული თავად ფედერერიც, რომელიც აცხადებს, რომ საკუთარ თამაშში რადიკალურად არაფრის შეცვლას არ აპირებს:

„მთავარია, ფიზიკური კონდიციები ბოლომდე აღვიდგინო, რათა დაცვაში მოვუმატო, ახალგაზრდა ოპონენტთა ტემპს ავყვე და აგრესიულად თამაშის საშუალება მქონდეს. ჩემს შეტევით პოტენციალში კი ეჭვი არ მეპარება, ამ მხრივ პრობლემები არასდროს მექნება“.

შვეიცარიელი კი არის იმედიანად, მაგრამ მოპოვებული პოზიციების დათმობას არც წლის უმთავრესი გმირი ნოვაკ ჯოკოვიჩი აპირებს. 20 წლის სერბმა კალიფორნიაში გამარჯვების შემდეგ პირდაპირ განაცხადა, აღებული ტემპის დაგდებას არც კიბისკეინში ვაპირებ და შარშან მოპოვებული ტიტულის შესანარჩუნებლად ყველაფერს ვიღონებო. ბალკანელს დღითი დღე ეზრდება ამბიციები და უკვე არ მალავს თავის მიზანს — ნოვაკს გულში მსოფლიოს პირველ ჩოგნად გახდომა ამოუჭრია. სერბმა აქეთკენ უკვე გადადგა პირველი ნაბიჯები და მეორე საფეხურზე გამაგრებულ რაფაელ ნადალთან ჩამორჩენა 450 ქულამდე დაიყვანა.

მაგრამ პირველობამდე ჯოკოვიჩს ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი. ფლორიდაში რაც არ უნდა მოხდეს, სერბს ფედერერის გადასწრება ჯერ მაინც არ უწერია — ალპელმა პირველ წრეშიც რომ წააგოს, საკმარისი ჰანდიკაპი აქვს საიმისოდ, რომ რეიტინგის მწვერვალზე დარჩენა მოახერხოს.

ასე რომ, კარს მომდგარ კიბისკეინს დამატებითი ინტრიგა აქვს — ბოლოს და ბოლოს, დაიწყებს ფედერერი ფედერერობას?

**კახა ლომაშვილი**

# ქვაცაბაია მეორე წრეშია



**წარმატებით** დაიწყო საბერძნეთის დედაქალაქ ათენის 10-ათასიან ტურნირზე თამაში სოფო ქვაცაბაიამ, რომელმაც პირველ წრეში 6:4 1:6 6:3 მოუგო მე-7 ნომრად განთესილ ვეტერან ბულგარელს, 32 წლისა და რეიტინგში 617-ე ადგილზე მყოფ ბილინა პავლოვას. ქვაცაბაიას მეორე მეტოქე კლასიფიკაციის 692-ე ადგილზე მყოფი 17 წლის სლოვაკი კლაუდია ბოკზოვა იქნება, რომელმაც, თავის მხრივ, 6:1 6:2 აჯობა იტალიელ მარტინა კაკუტის.

ათიათასიანი შეჯიბრია ეგვიპტის მთავარქალაქ ქაიროშიც. იქაურ თიხნარზე ორი ჩვენებური, მანანა შაფაქიძე და ოქსანა კალაშნიკოვა თამაშობს და წილისყრის შედეგად, ისინი ფინალამდე არ შეხვდებიან ერთმანეთს. პირველ წრეში კალაშნიკოვას მეტოქე მე-7 ნომრად განთესილი ბელარუსი ალექსანდრა მალიარჩიკოვაა, ვინც რეიტინგის 640-ე ნომერია, ხოლო მე-5 ნომრად განთესილი შაფაქიძე კვალიფიკაციიდან წამოსულ ურეიტინგო ავსტრიელ ლიზა ზუმერერს დაუპირისპირდება.

მოსკოვურ მაგარსაფარზე კი 25ათასიანი ტურნირი ტარდება, რომელშიც სოფო შაფათავა მონაწილეობს. პირველ წრეში სოფო შეჯიბრზე ორგანიზატორთა მიწვევით მოთამაშე, ურეიტინგო რუს ირინა კოტკინას ხვდება და, თუ ამ უკანასკნელს მოუგებს, შემდეგ მე-2 ნომრად განთესილ ბელარუს ეკატერინა ზეჰალევიჩსა და კვალიფიკაციიდან წამოსულ რუს პოლინა როდიონოვას შორის გამარჯვებულს დაუპირისპირდება.



# ოზურგეთმა ხელბურთით დაიწყო
## სამტრედიამ პატარებში იპირველა

**გუშინწინ** ოზურგეთის სპორტის სასახლე ოფიციალურად გაიხსნა. საკმაოდ ლამაზი ნაგებობა, უკვე შემოდგომაზე მომზადდა სპორტული ღონისძიებების სამასპინძლოდ, მაგრამ აქამდე უქმად იყო, ახლა კი 16-წლამდელ ვაჟ ხელბურთელთა 2007-2008 წლის ჩემპიონატის დასკვნით ტურს უმასპინძლა. სათქმელია, რომ მოედანი სრულად აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს როგორც ზომებით, ასევე მოედნის საფარით. გახსნის ცერემონიალს გურიის გუბერნატორი [illegible] ნიკოლაიშვილი და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ხამგალაური დაესწრნენ.

ოზურგეთს ხელბურთის გუნდი არ ჰყავს, თუმც ამ მხრივ გარკვეული ნაბიჯების გადადგმა იგეგმება, მით უმეტეს, რომ მოედნის მხრივ პრობლემა არ იქნება. ის კი არა, მსგავსი დარბაზით ბევრი თბილისშიც ვერ დაიკვეხნის.

რაც შეეხება უშუალოდ მატჩებს, ლიდერმა „სამტრედიამ“ „ყვარელს“ 32:24 მოუგო და ჩემპიონობაც მოიპოვა. მე-5 ტურამდე სამტრედიელებს სოლიდური უპირატესობა ჰქონდათ სხვა გუნდებთან და მათი პირველობა ეჭვქვეშ არ იდგა. ახლა მათ 36 ქულა აქვთ. კიდევ თითო თამაშის ჩატარება კი უწევს ყველას, მაგრამ „სამტრედიის“ დამწევი აღარავინაა. სხვა დაპირისპირებებში „გორმა“ 29:21 დაჩაგრა „ქუთაისი“, „რუსთავმა“ „ბათუმს“ 24:23 მოუგო, თბილისის „ქარიშხალმა“ კი „დინამოსთან“ წააგო 18:23. ხელბურთის ფედერაციას უნდა, რომ მომავალში გუნდების რაოდენობა გაიზარდოს და ჩემპიონატში მონაწილეობა, რაც შეიძლება, მეტი რეგიონის წარმომადგენლებმა მიიღონ.

**ლექსო მაისურაძე**







# ბოლო იმედის ჩხუბი

**საქართველოს** მოკრივეთა ნაკრების თავკაცი თენგიზ მესხაძე ათენში ექვს მოკრივეს იახლებს, ორით ნაკლებს, ვიდრე პეკინის სალიცენზიო ტურნირზე ჰყავდა. ათენის ბოლო სალიცენზიო ტურნირზე კონსტანტინე კუპატაძე (60 კგ) და ბექა ლობჟანიძე (91 კგ) არ წავლენ. მოკრივეები 6 აპრილამდე გლდანის კრივის დარბაზში მომზადდებიან და მერე საბერძნეთს მიაშურებენ. ჩვენს მოჩხუბრებს მეტი შანსი ექნებათ, რომ ჩინეთის საგზურები დაისაკუთრონ.

ათენში ეს ბიჭები იკრივებენ — ნიკოლოზ იზორია (54 კგ), კობა ფხაკაძე (60 კგ), ლევან ღვამიჩავა (64 კგ), კახა ჭყანია (69 კგ), გიორგი ნაკანი (75 კგ), რევაზ ქარელიშვილი (81 კგ). ამათგან, იტალიაში მხოლოდ ქარელიშვილი არ ყოფილა, ის დავით წიკლაურის ნაცვლად იჩხუბებს.

**ლექსო მაისურაძე**

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

# უნოვიცკო დალასი ახალ ცხოვრებას იწყებს

25 მარტი

**ჩიკაგო 103:94 ატლანტა**

ჩიკაგო: ჰაინრიხი (14 ქულა, 10 პასი), ჰიუზი (9), დენგი (14), გუდენი (31 ქულა, 16 მოხსნა), ნოა (13); გორდონი (16), სეფოლოშა (4), ტომასი (2), ნოჩიონი
ატლანტა: ბიბი (18), ჯონსონი (15), უილიამსი (10), სმიტი (16), ჰორფორდი (3 ქულა, 13 მოხსნა); ჩილდრესი (22), ფაჩულია (14 წუთი, 8 ქულა, 5 მოხსნა, 2 ჩაჭრა, 1 დაფარება), ლოუ (2), ვესტი

**დალასი 103:90 კლიპერსი**

დალასი: ჰოვარდი (32), სტეკჰაუსი (20), დამპიე (19 ქულა, 17 მოხსნა)
კლიპერსი: მაგეტი (21), ტომასი (13)

**ორლანდო 97:107 სან ანტონიო**

ორლანდო: ჰოვარდი (24 ქულა, 21 მოხსნა), ლუისი (24), დულინგი (19), აროიო (17)
სან ანტონიო: ჯინობილი (28), ფინლი (24), დანკანი (19 ქულა, 15 მოხსნა, 4 დაფარება)

**ინდიანა 106:111 ნიუ ორლეანი**

ინდიანა: გრეინჯერი (26), დანლივი (17), უილიამსი (17)
ნიუ ორლეანი: ვესტი (35 ქულა, 16 მოხსნა), პოლი (31 ქულა, 14 პასი), სტოიაკოვიჩი (16)

**იუტა 128:106 შარლოტი**

იუტა: ბუზერი (28 ქულა, 13 მოხსნა), ოქური (20 ქულა, 10 მოხსნა), ჰარპრინგი (18), ბრიუერი (16), კირილენკო (16), უილიამსი (14 ქულა, 15 პასი)
შარლოტი: რიჩარდსონი (26), ვოლესი (21), ბოიკინსი (14)

**პორტლენდი 102:82 ვაშინგტონი**

პორტლენდი: ვებსტერი (23), აუთლოო (20), ჯეკი (17)
ვაშინგტონი: ბატლერი (19), დანიელსი (16)

**უმნიშვნელოვანესი** თამაში დათმო ზაზა ფაჩულიას „ატლანტამ“. „ჩიკაგოს“ უგემური სეზონი აქვს: აწყობილი გუნდი დაენგრა და ბევრსაც აგებს, მაგრამ იმის შანსი მაინც შერჩენია, რომ პლეი ოფში მოსახვედრად იბრძოლოს და აი, უშუალო კონკურენტ „ატლანტასაც“ აართვა გამარჯვება.

„ხარებს“ ულიდერა „კლივლენდიდან“ შუა სეზონში გადაყვანილმა შავწვერა დრიუ გუდენმა, რომელმაც ახალ გუნდში საუკეთესო მატჩი ჩაატარა და 31 ქულასთან ერთად 16 მოხსნაც მოიხვეჭა. გუდენმა განსაკუთრებით მძლავრად ჩაატარა პირველი მეოთხედი, როცა ქულათა პირადი მონაგრის ნახევარი მოიხვეჭა, მაგრამ მაინც, მას არ გადაუწყვეტია მატჩის ბედი. პირველ და მეორე მეოთხედებშიც „ატლანტა“ მყარად იდგა ფეხზე და მასპინძელთა მოძალებას უძლებდა, პირველი ტაიმი 53:51 მოუგო, მაგრამ მესამე მეოთხედი ჩააგდო, როცა „ჩიკაგოს“ დაცვას და ლუოლ დენგის დაფარებებს გადააწყდა. მასპინძლებმა ეს მეოთხედი ორმაგი სხვაობით, 28:14 მოიგეს და საბოლოოდ დაწინაურდნენ. „ატლანტამ“ ბოლო მეოთხედში გაიბრძოლა, ჯოშ ჩილდრესმა ზედიზედ სამი შეტევა დაასრულა შედეგიანად, მაიკ ბიბიმ კი სამიანით ორ ქულამდე შეამცირა სხვაობა, მაგრამ ეს იყო სტუმართა მაქსიმუმი და გამარჯვება მასპინძლებს შერჩათ.

...ზაზა ფაჩულიამ გადასარევად არა, მაგრამ რიგიანად კი ითამაშა.

ამ გამარჯვებით „ჩიკაგო“ ორი მოგების მანძილზე მიეწია „ატლანტას“, რომელიც ან გაუძლებს ზეწოლას და შეინარჩუნებს აღმოსავლეთში მერვე ადგილს, ან ვერა. მათმა კიდევ ერთმა კონკურენტმა, „ინდიანამ“, შინ ვერ აჯობა ყოჩაღ დასავლელ „ნიუ ორლეანს“ და ზედიზედ მოგებათა ოთხმატჩა სერიაც ასე შეწყვიტა.

დიდი ბრძოლებია გამართული დასავლეთშიც, სადაც იმდენივე კარგი საპლეიოფო გუნდია, რამდენი ცუდი საპლეიოფო გუნდიც არის აღმოსავლეთში. მაგალითად, „დალასს“ ჩემპიონობა უნდოდა, მაგრამ ისეთ კონკურენციაში აღმოჩნდა, მეშვიდე ადგილზე ყურყუტი უწევს. თანაც წინა შეხვედრაში ტეხასელებს დირკ ნოვიცკი დაემტვრათ და ვინ იცის, საერთოდ უპლეიოფოდ დარჩნენ. ამდენად მათ გამარჯვებას „კლიპერსთან“ ოქროს ფასი ჰქონდა. უნოვიცკო გუნდს შარშანდელი ოლსტარელი ჯოშ ჰოვარდი გაუძღვა, ვინაც 32 ქულა მოიხვეჭა. კარგები იყვნენ ჯერი სტეკჰაუზი და ერიკ დამპიეც. ამ უკანასკნელმა 19 ქულა და 17 მოხსნა გაახერხა მაშინ, როდესაც ნოვიცკის გვერდით ამის ნახევარი ძლივს გამოსდიოდა.

**კოტე ყორშია**

| აღმოსავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| ბოსტონი | 55 | 15 | 78,6 |
| დეტროიტი | 50 | 20 | 71,4 |
| ორლანდო | 46 | 27 | 63,0 |
| კლივლენდი | 40 | 31 | 56,3 |
| ვაშინგტონი | 36 | 34 | 51,4 |
| ფილადელფია | 36 | 35 | 50,7 |
| ტორონტო | 35 | 35 | 50,0 |
| ატლანტა | 30 | 40 | 42,9 |
| ნიუ ჯერსი | 30 | 41 | 42,3 |
| ჩიკაგო | 29 | 42 | 40,8 |
| ინდიანა | 28 | 42 | 40,0 |
| შარლოტი | 25 | 45 | 35,7 |
| მილუოკი | 24 | 45 | 34,8 |
| ნიუ იორკი | ·19 | 51 | 27,1 |
| მაიამი | 13 | 57 | 18,6 |
| **დასავლეთი** | | | |
| ნიუ ორლეანი | 48 | 21 | 69,6 |
| ლეიკერსი | 49 | 22 | 69,0 |
| ჰიუსტონი | 48 | 23 | 67,6 |
| იუტა | 47 | 25 | 65,3 |
| სან ანტონიო | 48 | 23 | 67,6 |
| ფინიქსი | 47 | 23 | 67,1 |
| დალასი | 45 | 26 | 63,4 |
| გოლდენ სტეიტი | 43 | 27 | 61,6 |
| დენვერი | 43 | 28 | 60,6 |
| პორტლენდი | 38 | 34 | 52,8 |
| საკრამენტო | 31 | 39 | 44,3 |
| კლიპერსი | 21 | 49 | 30,0 |
| მინესოტა | 18 | 51 | 25,7 |
| მემფისი | 18 | 52 | 25,7 |
| სიეტლი | 17 | 54 | 23,9 |

# ძველმა მეომარმა ქუდი დაიხურა



**კრის ვებერს** იქ მოუხდა კარიერის დასრულება, სადაც დაიწყო, „გოლდენ სტეიტ ვორიორზში“, ოღონდ იმაზე ნაადრევად, ვინემ თავად ისურვებდა.

35 წლის ვეტერანი „მეომრებს“ შუა სეზონში შეუერთდა, როცა მწვრთნელმა დონ ნელსონმა უქმად მყოფი გაიხსენა და თავისთან უხმო, აქაოდა, შენი გამოცდილება წაადგება ჩვენს საპლეიოფო, მაგრამ მაინც ახალგაზრდულ გუნდსო. ვებერიც მივიდა, მაგრამ ვერ აჰყვა გუნდის სწრაფ ტემპს, მხოლოდ რვა თამაშში მიიღო სიმბოლური მონაწილეობა (საშუალოდ 3,9 ქულა აკეთა), მერე კი მუხლის ძველი ტრავმა გაიმიზეზა და ძალაუნებურად ჩამოშორდა გუნდს. ახლა კი ამბობს, ბარემ ოფიციალურად დავამთავრებ კარიერას და ამას პრესკონფერენციაზე გავაკეთებო.

კრის ვებერმა 1993 წელს „გოლდენ სტეიტში“ სწორედ დონ ნელსონის ხელქვეით დაიწყო კარიერა. სეზონის საუკეთესო ახალბედაც გახდა, მერე კი „ვაშინგტონში“ გადავიდა და კარიერის დასრულებამდე კიდევ სამი გუნდი მოიარა — „საკრამენტო“ „ფილადელფია“, და „დეტროიტი“. ყველაზე წარმატებული წლები მან უდავოდ „საკრამენტოში“ გაატარა. 15-წლიან კარიერაში კრის ვებერმა ითამაშა 5 ოლ სტარში და აგროვა საშუალოდ 20,7 ქულა, 9,8 მოხსნა და 4,2 პასი. დიდების დარბაზში ალბათ არ აირჩევენ, მაგრამ საამაყო მოგონებად გაჰყვება; რომ თავისი ეპოქის ერთ-ერთი გამორჩეული ვარსკვლავი იყო.

**კოტე ყორშია**

# რეგულარული ჩემპიონატი

25 მარტი

**ბუფალო 3:6 ატლანტა**

*0:1 1:0 2:5*

0:1 შუბერტი (12), 1:1 როი (34), 2:1 როი (43), 3:2 პომინვილი (44), 3:2 მაკამონდი (53), 3:3 ალფრედსონი (55), 3:4 ვოლჩენკოვი (59), 3:5 ალფრედსონი (59), 3:6 ვერმეტი (60)

**კაროლინა 2:3 ვაშინგტონი**

*1:0 1:2 0:0 0:0 (0:1 ბულიტებით)*

1:0 ჰემილტონი (20), 1:1 სიომინი (28), 1:2 ოვეჩკინი (30), 2:2 კოული (37)

**ნიუ ჯერსი 0:2 პიტსბურგი**

*0:1 0:0 0:1*

0:1 მელოუნი (6), 0:2 ჰოსა (60)

**რეინჯერსი 1:2 ფილადელფია**

*1:0 0:0 0:1 0:1 (ოვერტაიმში)*

1:0 იაგრი (2), 1:1 ბრიარი (48), 1:2 რიჩარდსი (63)

**ტამპა 3:1 ფლორიდა**

*1:0 0:1 2:0*

1:0 გულე (3), 1:1 ბუტი (43), 2:1 ჰელპერნი (42), 3:1 კუბა (60)

**ტორონტო 2:6 ბოსტონი**

*0:1 1:2 1:3*

0:1 მიურეი (4), 0:2 კრეიჩი (22), 0:3 შტურმი (29), 1:3 ბლეიკი (36), 1:4 [illegible]ტონი (44), 2:4 პონიკაროვსკი (55), 2:5 კესელი (57), 2:6 რიჩი (60)

**ნეშვილი 3:0 კოლუმბუსი**

*2:0 0:0 1:0*

1:0 ჰლავაჩი (6), 2:0 არნოტი (16), 3:0 ბონკი (46)

**სენტ ლუისი 1:2 დეტროიტი**

*0:1 1:0 0:1*

0:1 ზეტერბერგი (16), 1:1 მაკდონალდი (23), 1:2 ფრენცენი (49)

**კალგარი 3:2 ვანკუვერი**

*0:2 1:0 2:0*

0:1 ნესლუნდი (10), 0:2 დ. სედინი (10), 1:2 იგინლა (23), 2:2 ლენგკოუ (51), 3:2 ფანაფი (52)

**ფინიქსი 5:4 სან ხოსე**

*0:0 2:0 2:4 1:0 (ოვერტაიმში)*

1:0 მორისი (29), 2:0 ლისინი (39), 3:0 დოუნი (43), 3:1 ტორნტონი (43), 3:2 ვლასიჩი (44), 4:2 რაინპრეხტი (45), 4:3 ტორნტონი (45), 4:4 ტორნტონი (58), 5:4 ჰანზალი (64)

| აღმოსავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონრეალი | 77 | 43 | 24 | 10 | 247:213 | 96 |
| პიტსბურგი | 77 | 44 | 26 | 7 | 236:208 | 95 |
| კაროლინა | 77 | 41 | 30 | 6 | 234:236 | 88 |
| ოტავა | 77 | 42 | 28 | 7 | 249:232 | 91 |
| ნიუ ჯერსი | 76 | 42 | 27 | 7 | 191:182 | 91 |
| რეინჯერსი | 76 | 39 | 26 | 11 | 199:186 | 89 |
| ფილადელფია | 77 | 39 | 28 | 10 | 233:221 | 88 |
| ბოსტონი | 76 | 38 | 28 | 10 | 199:211 | 86 |
| ვაშინგტონი | 77 | 38 | 31 | 8 | 224:225 | 84 |
| ბუფალო | 76 | 35 | 30 | 11 | 238:228 | 81 |
| ფლორიდა | 77 | 36 | 32 | 9 | 206:212 | 81 |
| ტორონტო | 77 | 35 | 32 | 10 | 219:239 | 80 |
| აილენდერსი | 77 | 34 | 36 | 7 | 185:228 | 75 |
| ატლანტა | 77 | 31 | 38 | 8 | 204:259 | 70 |
| ტამპა | 76 | 30 | 38 | 8 | 214:246 | 68 |

NHL NHL NHL NHL NHL NHL

| დასავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეტროიტი | 77 | 51 | 20 | 6 | 244:171 | 108 |
| სან ხოსე | 76 | 45 | 21 | 10 | 204:179 | 100 |
| კალგარი | 77 | 40 | 27 | 10 | 215:213 | 90 |
| ანაჰაიმი | 77 | 43 | 26 | 8 | 192:180 | 94 |
| დალასი | 76 | 42 | 29 | 5 | 221:191 | 89 |
| მინესოტა | 77 | 40 | 28 | 9 | 207:210 | 89 |
| ვანკუვერი | 76 | 38 | 28 | 10 | 200:190 | 86 |
| კოლორადო | 77 | 40 | 31 | 6 | 210:204 | 86 |
| ნეშვილი | 77 | 38 | 31 | 8 | 220:220 | 84 |
| ედმონტონი | 77 | 39 | 33 | 5 | 224:238 | 83 |
| ჩიკაგო | 76 | 36 | 32 | 8 | 220:217 | 80 |
| ფინიქსი | 77 | 37 | 34 | 6 | 205:215 | 80 |
| კოლუმბუსი | 76 | 33 | 32 | 11 | 182:201 | 77 |
| სენტ ლუისი | 76 | 30 | 34 | 12 | 186:222 | 72 |
| ლოს ანჯელესი | 76 | 30 | 40 | 6 | 215:246 | 66 |

*კონფერენციებში პირველი სამი ადგილი დივიზიონების ლიდერებს უკავიათ; თანაბარი ქულების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ურთიერთშეხვედრებში უკეთესი მაჩვენებლის მქონე გუნდს. მუქი ფერით გამოყოფილნი არიან პლეი ოფში გასული გუნდები*




ჯო ტორნტონი (მარჯვნივ) ლიგის საუკეთესო პლეიმეიკერია

ბომბარდირები: ალექსანდრ ოვეჩკინი (ვაშინგტონი) 107 (61+46); ევგენი მალკინი (პიტსბურგი) 102 (44+58); ჯერომ იგინლა (კალგარი) 93 (49+44); პაველ დაციუკი (დეტროიტი) 91 (31+60); ვენსან ლეკავალიე (ტამპა) 89 (40+49); ჯო ტორნტონი (სან ხოსე) 89 (24+65); ჯეისონ სპეცა (ოტავა) 88 (32+56); დანიელ ალფრედსონი (ოტავა) 87 (40+47); ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტროიტი) 86 (41+45); ილია კოვალჩუკი (ატლანტა) 83 (50+33); მარტინ სენ ლუი (ტამპა) 80 (24+56); დენი ჰიტლი (ოტავა) 80 (39+41); ალექსეი კოვალიოვი (მონრეალი) 79 (33+46); მარკ სავარი (ბოსტონი) 78 (15+63); მაიკ რიბეირო (დალასი) 78 (27+51); მატს სუნდინი (ტორონტო) 77 (32+45); რაიან გეცლაფი (ანაჰაიმი) 77 (23+54)

გოლეადორები: ოვეჩკინი 61; კოვალჩუკი 50; იგინლა 49; მალკინი 44; ზეტერბერგი 41; ლეკავალიე, ალფრედსონი 40-40; ჰიტლი 39; ბრედ ბოისი (სენტ ლუისი), რიკ ნეში (კოლუმბუსი), მარიან გაბორიკი (მინესოტა) 38-38; პატრიკ შარპი (ჩიკაგო), ერიკ სტაალი (კაროლინა) 35-35; კვალიოვი, ოლი იოკინენი (ფლორიდა) 33-33

ასისტენტები: ტორნტონი 65; სავარი 63; დაციუკი 60; ნიკლას ლიდსტრომი (დეტროიტი), მალკინი 58-58; ჰენრიკ სედინი (ვანკუვერი), სპეცა, სენ ლუი 56-56; გეცლაფი 54; ნიკლას ბექსტრომი (ვაშინგტონი) 52; სკოტ გომესი (რეინჯერსი), რიბეირო 51-51; სერგეი გონჩარი (პიტსბურგი) 50

ნაყოფიერების კოეფიციენტი: ლიდსტრომი 41; დაციუკი 40; ჰიტლი 33; ზეტერბერგი 29; დუნკან კეიტი (ჩიკაგო) 28; ბრაიან რაფალსკი (დეტროიტი) 27; იგინლა, გეცლაფი 26-26; ვიქტორ კოზლოვი (ვაშინგტონი) 25; სპეცა, ოვეჩკინი, ნიკლას კრონველი (დეტროიტი) 24-24

მეკარეები

გაშვებულ გოლთა საშუალო მაჩვენებელი: კრის ოსგუდი (დეტროიტი) 2,01; ჟან სებასტიან ჟიგერი (ანაჰაიმი) 2,11; მარტინ ბროდო (ნიუ ჯერსი) 2,15; ევგენი ნაბოკოვი (სან ხოსე) 2,16; დომინიკ ჰაშეკი (დეტროიტი) 2,17; პასკალ ლეკლერი (კოლუმბუსი) 2,22; რობერტო ლუონგო (ვანკუვერი) 2,24; ჰენრიკ ლუნდკვისტი (რეინჯერსი) 2,27; მარტი ტურკო (დალასი) 2,31

დარტყმათა მოგერიების პროცენტი: ტაი კონკლინი (პიტსბურგი) 92,3; ჟიგერი 92,3; დენ ელისი (ნეშვილი) 92,2; ლუონგო 92,2; ბროდო 92,0; ლეკლერი 91,9; ილია ბრიზგალოვი (ფინიქსი) 91,9; ტომაშ ვოკოუნი (ფლორიდა) 91,9; ტიმ ტომასი (ბოსტონი) 91,9; მარტინ ბირონი (ფილადელფია) 91,8; ოსგუდი 91,7; კრისტობალ იუე (ვაშინგტონი) 91,7

მოგებული მატჩები: ნაბოკოვი 43; ბროდო 40; მიკა კიპრუსოფი (კალგარი) 39; კემ უარდი (კაროლინა) 35; ლუონგო, ლუნდკვისტი 34-34; ჟიგერი, რაიან მილერი (ბუფალო) 33-33; ვესა ტოსკალა (ტორონტო) 32; ტურკო, ვოკოუნი 30-30

შატაუტები: ლეკლერი, ლუნდკვისტი 9-9; ნაბოკოვი, ლუონგო 6-6; ელისი 5; ვოკოუნი, ოსგუნდი, მეტიუ გერონი (ედმონტონი), ბროდო, მარკ-ანდრე ფლერი (პიტსბურგი), კრის მეისონი (ნეშვილი), ჰაშეკი, ჟიგერი, უარდი, მენი ლეგასი (სენტ ლუისი) 4-4

# ამხანაგური მატჩები

**ნეპალი 2:1 პაკისტანი**
0:1 ესა (21), 1:1 ხავასი (77), 2:1 გურუნგი (86)

**გაბონი 0:0 კონგოს დრ**

**გვინეა 2:0 ტოგო**
1:0, 2:0 დუმბუია (80, 90)

**ბელარუსი 2:2 თურქეთი**
1:0 კუტუზოვი (34), 1:1 თუნჯაი (37), 2:1 ა. გლები (64), 2:2 მეტინი (70)

**ბულგარეთი 2:1 ფინეთი**
0:1 ლიტმანენი (22პ), 1:1 ლაზაროვი (49), 2:1 გენჩევი (90)

**ესტონეთი 2:0 კანადა**
1:0 სტალტერი (59ს.კ.), 2:0 ზაჰოვაიკო (90)

**ისრაელი 1:0 ჩილე**
1:0 ბენაიუნი (30)

**მალტა 7:1 ლიხტენშტაინი**
1:0, 2:0, 3:0 მიფსუდი (2პ, 17, 21პ), 4:0 პეისი (35), 4:1 ბურგმაიერი (51), 5:1, 6:1 მიფსუდი (59, 69), 7:1 საიდი (86)

**ალჟირი 1:1 კონგო**
0:1 მბოკანი (25), 1:1 ჟილსი (90პ)

**კოტ დივუარი 0:2 ტუნისი**
0:1 ჩიხაუი (54), 0:2 ზუაგი (79)

**უნგრეთი 0:1 სლოვენია**
0:1 სისიჩი (58)

**ლიტვა 1:0 აზერბაიჯანი**
1:0 კლიმავიჩიუსი (38)

**სამხრეთ აფრიკა 3:0 პარაგვაი**
1:0 მორირი (37), 2:0 მაკკარტი (46), 3:0 ჩაბალალა (63)

**უკრაინა 2:0 სერბეთი**
1:0 შევჩენკო (54), 2:0 ნაზარენკო (57)

**სომხეთი 1:0 ყაზახეთი**
1:0 მანუჩარიანი (68)

**ეგვიპტე 0:2 არგენტინა**
0:1 აგუერო (66), 0:2 ბურდისო (84)

**ჩერნოგორია 3:1 ნორვეგია**
1:0 ბურზანოვიჩი (7), 2:0 ბოშკოვიჩი (37), 3:0 დიალოვიჩი (60), 3:1 კარეუ (72)

**რუმინეთი 3:0 რუსეთი**
1:0 მარიკა (45), 2:0, 3:0 ნიკულაე (61, 75)

**ანდორა 0:3 ლატვია**
0:1 ივანოვსი (10), 0:2 პერეპლიოტკინსი (24), 0:3 რიმკუსი (41)

**ბოსნია 2:2 მაკედონია**
1:0, 2:0 დამიანოვიჩი (17, 19), 2:1, 2:2 მაზნოვი (40, 45)

**დანია 1:1 ჩეხეთი**
1:0 ბენდტნერი (25), 1:1 კოლერი (42)

**ლუქსემბურგი 0:2 უელსი**
0:1, 0:2 ისტვუდი (37, 46)

**სლოვაკეთი 1:2 ისლანდია**
0:1 ტორვალდსონი (71), 1:1 მინტალი (72), 1:2 გუდიონსენი (82)

**ავსტრია 3:4 ჰოლანდია**
1:0 ივანშიჩი (6), 2:0, 3:0 პრიოლი (18, 35), 3:1 ჰუნტელაარი (37), 3:2 ჰეიტინგა (67), 3:3, 3:4 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (83, 86)

**პოლონეთი 0:3 აშშ**
0:1 დონოვანი (12), 0:2 ონიევუ (35), 0:3 ლუისი (73)

**პორტუგალია 1:2 საბერძნეთი**
0:1, 0:2 კარაგუნისი (34, 60), 1:2 ნუნუ გომეში (76)

**ბელგია 1:4 მაროკო**
0:1 ალუდი (14), 0:2 სეკტიუი (35), 1:2 ვიტზელი (50), 1:3 ზარი (85), 1:4 ბენიელუნი (90)

**ბრაზილია 1:0 შვედეთი**
1:0 პატო (72)

**შვეიცარია 0:4 გერმანია**
0:1 კლოზე (23), 0:2, 0:3 გომესი (61, 67), 0:4 პოდოლსკი (88)

**საფრანგეთი 1:0 ინგლისი**
1:0 რიბერი (32პ)

**მექსიკა 2:1 განა**
0:1 ესიენი (55), 1:1 სალსიდო (77), 2:1 პარდო (86პ)

**შოტლანდია 1:1 ხორვატია**
0:1 კრანჩარი (10), 1:1 მილერი (30)

**ესპანეთი 1:0 იტალია**
1:0 ვილია (77)

**ახალგაზრდულები**

**ჩრდ. ირლანდია 1:3 რუმინეთი**

**ხორვატია 3:1 უნგრეთი**

**სლოვენია 0:4 რუსეთი**

**დანია 0:1 შვედეთი**

**ნორვეგია 1:0 უკრაინა**

**საფრანგეთი 4:1 ჩეხეთი**


დევიდ ბექჰემს მეასე სანატრელი მატჩი ფრანგმა რიბერიმ ჩაუშხამა


გერმანელებმა შვეიცარია მოინელეს

# ევროპის 2009 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი (U-21)

I ჯგუფი
**ალბანეთი — საბერძნეთი** გადაიდო

II ჯგუფი
**თურქეთი 3:0 ლიხტენშტაინი**

III ჯგუფი
**პორტუგალია 2:0 ბულგარეთი**

V ჯგუფი
**მაკედონია 2:1 შვეიცარია**
**ჰოლანდია 3:0 ესტონეთი**

VI ჯგუფი
**შოტლანდია 2:1 ფინეთი**

VII ჯგუფი
**კვიპროსი 0:2 ბელგია**
**ავსტრია 1:0 სლოვაკეთი**

VIII ჯგუფი
**სან მარინო 0:5 სერბეთი**

IX ჯგუფი
**ისრაელი 1:0 მოლდოვა**

X ჯგუფი
**ბოსნია 1:2 უელსი**


კლაას-იან ჰუნტელაარის ჰოლანდიამ ავსტრიის ტრილერში მოუგო


გეორგიოს კარაგუნისის საბერძნეთმა პორტუგალია სტუმრად დასცა

# მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. აზია. II ტური

I ჯგუფი

**ჩინეთი 0:0 ავსტრალია**

**ყატარი 2:0 ერაყი**
1:0 სორია (1), 2:0 სიზარია (67)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრალია | 2 | 1 | 1 | 0 | 3:0 | 4 |
| ყატარი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| ჩინეთი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ერაყი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |

II ჯგუფი

**ტაილანდი 0:1 ომანი**
0:1 ალ აჯმი (1)

**ბაჰრეინი 1:0 იაპონია**
1:0 ალ ჰუბაილი (77)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაჰრეინი | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| იაპონია | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| ომანი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| ტაილანდი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |

III ჯგუფი

**ჩრდ. კორეა 0:0 სამხ. კორეა**

**თურქმენეთი 0:2 იორდანია**
0:1 ალ ბზური (32), 0:2 აკელი (83)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამხ. კორეა | 2 | 1 | 1 | 0 | 4:0 | 4 |
| ჩრდ. კორეა | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| იორდანია | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| თურქმენეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

IV ჯგუფი

**უზბეკეთი 3:0 ს. არაბეთი**
1:0 კაპაძე (45), 2:0 შაცკიხი (67), 3:0 ჯეპაროვი (70პ)

**სინგაპური 2:0 ლიბანი**
1:0 დურიჩი (8), 2:0 შაჰული (24)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უზბეკეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| სინგაპური | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ს. არაბეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| ლიბანი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |

V ჯგუფი

**სირია 1:1 საამიროები**
1:0 ჩააბო (2), 1:1 ალ იუნაიბი (54)

**ქუვეითი 2:2 ირანი**
0:1 ნიკბახტი (2), 0:2 სადექი (5), 1:2 აჯაბი (38), 2:2 ალრაშიდი (82)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საამიროები | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ირანი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| სირია | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ქუვეითი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ძასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი აზვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 18 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge